# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 31 მარტი 2000 №59 (1081) | ფასი 50 თეთრი


2

## ნემსაძე დღეს გაერკვევა



ხვალიდან შოტლანდიაში სატრანსფერო სეზონი იხურება. გახდება გიორგი ჰიბერნიანელი?

2

## ახალგაზრდული საფრანგეთში უჯაკობიოდ წავა

ვეზეტელმა ლაშა ჯაკობიამ თეძო დაიშავა

7 10

ევროპის გათასება 1972

## გერმანია პირველად



## ჩეხოსლოვაკია პირველად და უკანასკნელად



16

## დმიტრი ქალდაცემული



უკრაინელმა დმიტრი პარამარჩუკმა ქალი ააგდო და თავი შეუშვირა

# რა ვუპასუხოთ ძოძუაშვილს?

## საქართველოს ნაკრების მწვრთნელთაგანი პროგრესზე ალაპარაკდა

## ქინქლაძემ გაიტანა, ბერკოვიჩმა მოარტყა



რევაზ ძოძუაშვილი ისრაელიდან კმაყოფილი და გახარებული ბრუნდება

— მოულოდნელი ანგარიშით დამთავრდა მატჩი აშქელონში, სადაც ისრაელის ნაკრებმა ქართველებს უმასპინძლა. გიორგი ქინქლაძის ბრწყინვალე გოლით ანგარიში სტუმრებმა გახსნეს, თუმც ერთბურთიანი უპირატესობა ბოლომდე ვერ შეინარჩუნეს. მასპინძლებმა მხოლოდ 83-ე წუთზე მოახერხეს საპასუხო გოლის გატანა, ბერკოვიჩმა გაათანაბრა. ჩვენების დამმარცხებელ ისრაელის ნაკრებს ქართველებთან ერთობ გაუჭირდა, თავადვე წარმოიდგინეთ, რუსებზე რამდენად ღირსეულად ითამაშა საქართველოს გუნდმა: ჩვენ ხომ ისრაელში 1:4 წავაგეთ — დაახლოებით ამგვარი რამ თქვა გუშინწინდელი ამხანაგური მატჩების სერიალის შემდეგ რუსული ტელეკომპანია ენტევეს საფეხბურთო არხის წამყვანმა. რუსებისგან ასეთ სიტყვებს ჩვეულნი არ ვართ, მოვუსმინეთ ამას და მერე ისრაელში საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელ რევაზ ძოძუაშვილსაც შევეხმიანეთ. ძოძუაშვილმა მოგვიბოდიშა, ცოტა ხანში გადმომირეკეთ, ახლა ბანკეტზე მივდივართ, ქართველმა ებრაელებმა დაგვპატიჟესო. წვეულებაზე მყოფი მწვრთნელი იმ დღეს აღარ შეგვიწუხებია, გუშინ კი ბატონმა რეზომ მატჩის თაობაზე ეს გვითხრა:

— ბიჭებმა გაგვახარეს, კარგად ითამაშეს, რაც დავავალეთ, თითქმის ყველაფერი შეასრულეს. კმაყოფილი ვარ, თუმცა რომ მოგვეგო, უფრო ნასიამოვნები დავრჩებოდი. მატჩის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე ბერკოვიჩმა ისეთი დაარტყა, იმ ბურთს სამი გვარამაძე ვერ აიღებდა. ცხრიანში მოარტყა. მთლიანად თამაში საყურებლადაც ვარგოდა.

— *პირველ ტაიმში უკეთ გითამაშიათ...*

— მეორესაც არა უშავდა. ადრეც გითხარით, აქცენტი თავდასხმაზე გავაკეთეთ. შესვენებამდე თამაში მართლაც ჩვენი იყო. ქინქლაძემ, ებრაელებმა მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად რომ დაასახელეს, ჩინებული გოლი გაიტანა, ამისთანა დარტყმას და გოლს გიორგი ნაჩვევია. ამის გარდა, ბიჭებმა სამი-ოთხი რეალური მომენტიც ვერ გამოიყენეს. ნაკრების ვეტერანებად ვინც ითვლებიან — ჯამარაული, ქეცბაია, ქინქლაძე, არველაძე, ნემსაძე — ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს.

— *დანარჩენებმა?*

— ყველამ ნორმალურად ითამაშა... მარცხენა ფლანგზე ხიზანიშვილმა და კობიაშვილმა კაცი არ გააჭაჭანეს, შუაში კალაძე ტანკივით იდგა, სილაგაძემ, ვისაც მეურვებდა, ფეხი არ გაანძრევინა, დემეტრაძემ ებრაელ მცველებს უამრავი შეცდომა დააშვებინა, ბევრს მოძრაობდა, გოლიც უნდა გაეტანა, მაგრამ ბურთი კარს ოდნავ აცილა. მეკარეებითაც კმაყოფილი დავრჩი, ეგაა, გრიშიკაშვილს ტვინის შერყევის ნიშნები აქვს, თავდამსხმელს შეეჯახა.

— *ჩვენმა ებრაელმა კოლეგამ გვითხრა, თქვენების დაცვა ძალიან ორგანიზებული იყოო...*

— სწორი უთქვამს. რამდენიმე უმნიშვნელო შეცდომას თუ არ ჩავთვლით, რაც დავავალეთ, შეასრულეს. ნემსაძემ იყოჩაღა, პარტნიორებს გონივრულად აზღვევდა.

— *ამ თამაშისთვის 23 ფეხბურთელის გამოძახება საჭირო იყო?*

— გახოკიძე, ქოქოშვილი, დარასელია ისრაელში თამაშობენ და ვთხოვეთ, ნაკრებთან ერთად ევარჯიშათ, შევხედეთ, წარმოდგენა შევიქმენით. რა ვიცით, როდის გამოგვადგებიან. ქოქოშვილსა და დარასელიას ნაკრებში მოხვედრის შანსი მივეცით. დანარჩენებს კი, იმათ, ვინც განაცხადში გვყავდა, ვათამაშებდით, მაგრამ საჭიროდ აღარ ჩავთვალეთ. ისე, ოთხი ფეხბურთელი ხომ შევცვალეთ? თუმცა, გრიშიკაშვილი რომ ჯანზე ყოფილიყო, გვარამაძის თამაშს არც ვაპირებდით.

— *ებრაელებთან მატჩის მერე შეგიძლიათ, თქვათ, ნაკრების თამაში უწინდელისგან სასიკეთოდ განსხვავდებაო?*

— აბა, რა გიპასუხოთ, პროგრესი რომ აშკარაა, ვფიქრობ, თქვენც დამეთანხმებით. ჯერ თამაში არ წაგვიგია. შესარჩევების დაწყებამდე რამდენიმე ამხანაგური მატჩი კიდევ გვაქვს დაგეგმილი და უკეთ მოვემზადებით.

რევაზ ძოძუაშვილთან საუბარს რომ მოვრჩით, უკვე ლონდონში მყოფ ჩელსელ რატი ალექსიძეს დავუკავშირდით, რომელმაც აშქელონში სულ რვა წუთი ითამაშა.

— ვერ გეტყვით, ძირითადში რატომ არ დამაყენეს. მწვრთნელებს არაფერი უთქვამთ და თავად რაღა მეკითხა? მინდორზე გავედი თუ არა, ბერკოვიჩმა ისეთი დაარტყა, მგონი, თავად გაუკვირდა. თამაში კი ისე დამთავრდა, გახურება ვერც მოვასწარი. უნდა მოგვეგო, ბიჭებმა ძალიან კარგად ითამაშეს. ყველა საგოლე მომენტი რომ გამოგვეყენებინა, ებრაელებს დიდი ანგარიშით დავამარცხებდით. იღბალმა გვიმტყუნა. თუმცა ეგ არაფერი, მთავარი შესარჩევი მატჩებია.

ნაკრების სხვა წევრები ისრაელიდან თბილისში დღეს უნდა დაბრუნდნენ. გუშინ და გუშინწინ თელ ავივიდან წამოსასვლელად უფრო ხელსაყრელი რეისი არ ყოფილა და ჩვენებურებიც მოსკოვის გავლით ჩამოვლენ.

**ძოგა ინასარიძე**

# ოთხთა ფინალი შეივსო

გუშინ გაირკვა ის ოთხეული, რომელიც 18-20 აპრილს საბერძნეთის ქალაქ სალონიკში საკალათბურთო ევროლიგის ჩემპიონის ტიტულს გაითამაშებს. ამ ოთხიდან ბოლო ორი სეზონის „ოთხთა ფინალში“ არც ერთი ყოფილა. ნახევარფინალში ითამაშებენ

**პანათინაიკოსი — ეფესი**

**ბარსელონა — მაკაბი**

ამ წყვილებში გამარჯვებულნი 20 აპრილს ფინალურ მატჩში შეხვდებიან ერთმანეთს.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი




REUTERS სტამბოლიდან

ეფესი — ვილერბანი 68:66. ეფესელი იბრაჰიმ ქუთლუაი „ოთხთა ფინალშია“

# შეურაცხყოფილი თოვლი

მართალი გითხრათ, არ ველოდი. ბევრი ფიქრობდა ჩემსავით. ქართული ტოტალიზატორებიც, საფეხბურთო შედეგების ეს უებრო მანიპულატორები, მოხიბლა რუსეთთან ებრაელების 4:1-მა და საკმაოზე მცირე ფსონი გაუმწესეს ისრაელის ნაკრებს. ახლა უადგილოა წარსულზე, ქინქლაძეზე, ჯამარაულზე, კალაძეზე, ბერკოვიჩზე, ნიმნიზე, რევივოზე საუბარი — ისრაელის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად გაიქაჩა, ხოლო ჩვენი გუნდი...

შეურაცხყოფილი თოვლის ასოციაცია კი ჩვენში ზოგადად საფეხბურთო სიწმინდეების შებღალვამ გამოიწვია ჩემში. ყველაფერი გავიუფასურეთ — აქ საუბარია რაღაც-რაღაცეების მოთმენასა და პატიებაზე და არა, ვთქვათ, საერთოდ ქართული ფეხბურთის უბადრუკ იმიჯზე.

4:1-ით რუსეთის მომგებ ისრაელის ნაკრებს „შინდისფერებმა" 1:1 გაუგორეს, თანაც ისე, მთელი მატჩი იგებდნენ და მხოლოდ მიწურულს შეძლეს მასპინძლებმა გათანაბრება. თითქოს იმედს უნდა გაეჭიატა კარგის მოსურნე კაცის გულში, მაგრამ როგორც აქამდელ წაგებათა ჯაჭვის შემთხვევაში — ჭორი, ქილიკი, ეჭვი, ურწმუნოება...

და სტატისტიკურად ყველაზე „დაგრუზული" დასკვნა — ქართულ-ებრაული „ჩახუტება" და „ჩასახუტებელი" შედეგი.

კი მაგრამ, იუდეველთა „თაფლობის თვე"? რიხარდ მიოლერ-ნილსენი? რევაზ ძოძუაშვილის დებიუტი „შინდისფერთა" მთავარი მწვრთნელის რანგში? ნუთუ ეს არაფერს ნიშნავს?

საყოველთაო აზრის ჩამოყალიბებაზე გარკვეული გავლენა, თქმა არ უნდა, ჩვენს ფეხბურთში არსებულმა ბანაკთა სხვადასხვაობამაც იქონია, აშქელონური შეხვედრის შედეგისა გამო, ზოგი უქეიფოდ ბრძანდება, ზოგი საქეიფოდ და რამდენადაც კარგია მეორე (საქეიფოდ ყოფნა), იმდენად ცუდია პირველი (უქეიფოდ ყოფნა).

მაგრამ ყველაზე ცუდი და მიულებელი ასეთ დროს ქილიკია, ქირქილი და ყველაფრისთვის ნიორ-ნაქურჩალისოდენა ფასის დადება, ამბიციამ, პოზიციამ, სენტენციამ შეიძლება ნაკრების შედეგისა გამო გაგხადოს „უქეიფოდ" ან დაგაყენოს „ქეიფის" გუნებაზე, მაგრამ...

ხომ ყველასთვის ცნობილია, რომ გულგრილობა, ყველა სიწმინდის ფეხზე დაკიდება ყველაზე ცუდი თვისებაა მიწის გულზე.

ადრე სხვანაირები ვიყავით (ფეხბურთთან მიმართებაში) — არათუ კარგი, ცუდიც მისალებად მიგვაჩნდა და ეს ძალიან ცუდია.

ვუსმენ „ქართულ ფეხბურთზე ქართულ საუბრებს" და ვრწმუნდები, რომ უამრავია კაცი, რომელსაც თავი ჩვენი ფეხბურთიდან ძალიან მაღლა, მაღლა, „ცათა შინა" წარმოუდგენია და ახლა რა მედიდურობით საუბრობენ „ქართულ ფეხბურთზე ქართულ საუბრებში"?! საუბრობენ კორუფციაზე, არაკვალიფიციურობაზე, გარიგებულ მატჩებზე, ათას ჭორ-მართალზე, სიბინძურეზე და ავიწყდებათ, რომ „სცენაზე ბავშვებს არ კლავენ" და „სცენაზე ბავშვის მოკვლა" ერთნაირად მძიმე ცოდვაა ლენჩისთვისაც და პროფესორებისთვისაც.

ყველაფრის ლაფში გასვრა არ შეიძლება (ნუ ჩამითვლით კატეგორიულობად, ჭკუის სწავლებად, მიიღეთ თხოვნად, სურვილად).

ის კი, მავან ფეხბურთელს ისრაელზე ძლიერ ნაკრებებთან უკეთესი შედეგი რომ გაუკეთებია...

მავან მწვრთნელს რომ ისრაელზე ძლიერი გუნდებისთვის მოუგია...

ვილაცას რომ „ენტევეზე" ან სხვაგან გაცილებით მაღალი დონის მატჩები უნახავს...

დიდი არაფერი ბედენაა. თუნდაც იმიტომ, რომ — არსებობენ იმ „მავან ფეხბურთელებზე" ძლიერი მოთამაშეები...

„მავან მწვრთნელებზე" ძლიერი მწვრთნელები...

„ენტევე" და სხვა არხები ისევ გვაჩვენებენ მაღალი დონის მატჩებს...

და საერთოდ, მსოფლიო ფეხბურთის ისტორია სულაც არ არის ქართული ფეხბურთის ისტორია... ისევე, როგორც მსოფლიო ფეხბურთის ისტორია ვერ იქნება ქართული ფეხბურთის ისტორიის გარეშე...

ერთი მეორეს ავსებს და ასე იქნება მუდამ.

მსოფლიო ფეხბურთის ისტორია კი ერთი გრძელი მწკრივია დაცემათა და აღზევებათა, შურისა და ლიქნისა, ორკესტრისა და სოლისტისა...

და რადგან ჩვენი ფეხბურთის ისტორია იყო პაიჭაძის, ჟორდანიას, მესხის, ახალკაცის, ყიფიანის, ხურცილავას ისტორია...

რადგან ქართული ფეხბურთის ისტორია უპირველესად ფეხბურთელთა და მწვრთნელთა, პიროვნებათა ისტორიაა...

ეგებ ახალი ათვლის წერტილი იწყება?

ყოველ შემთხვევაში, უიმედობას იმედი სჯობს...

ურწმუნოებას რწმენა...

იმის თქმას, რომ საქართველოს ნაკრებმა დანიის ნაკრებთან 0:5-ზე წამგებ ებრაელებთან ფრე ითამაშა...

სჯობს იმის თქმა, რომ საქართველოს ნაკრებმა რუსეთის ნაკრებთან 4:1-ზე მომგებ ებრაელებთან ფრე ითამაშა...

თორემ 0:5 „მანჩესტერ იუნაიტედსაც" წაუგია...

არა მგონია, ჩვენი მამაპაპური არსენალისდა მიუხედავად, არგენტინელებზე ჩემპიონები ვიყოთ ლანძღვაში, მაგრამ მათაც შეძლეს „ბილარდო, წაეთრიედან!" „ბოდიში, ბილარდო და გმადლობთ"-მდე ამაღლება.

ამათ შუა მსოფლიო ჩემპიონობა კი იდო, მაგრამ...

თუ არ ამაღლდი, ჩემპიონი როგორ გახდები.



ბადრი იოსებაშვილის ფოტო

ეგებ წარსული ცუდი სიზმარია

აქედან გამომდინარე, ვამბობ, „ძოძუაშვილის დებიუტი შედგა" და...

ეგებ ახალი ათვლის წერტილი იწყება?

ყოველ შემთხვევაში, ახლა ქირქილს გამამხნევებელი შეძახილი სჯობს.

„ქართულ ფეხბურთზე ქართულ საუბრებს" კი ყველაფერი მირჩევნია.

რადგან შეიძლება გაიარო, გათელო, დატკეპნო თოვლი, მაგრამ... თოვლში არ უნდა მოშარდო.

ამაზრზენია შეურაცხყოფილი თოვლი.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# ვინ არის მართალი?

„გიორგი ანჩაბაძისა და გიორგი კიკნაძის ვლადიკავკაზის „ალანიაში" ტრანსფერი თბილისის „დინამოსა" და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის წარმოშობილმა კონფლიქტმა ჩაშალა" — განუცხადა ვლადიკავკაზელთა მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმერ გუცაევმა რუსეთის ყველაზე პოპულარულ სპორტულ გამოცემა „სპორტ ექსპრესს", რომელმაც „ალანიას" თავკაცის ნათქვამი თავის მკითხველს რამდენიმე დღის წინ ამცნო. გუშინწინ კი „სპორტ ექსპრესმა" საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან წერილი მიიღო. ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელებმა გუცაევის ნათქვამი უარყვეს და რუსები საქმის ვითარებაშიც გაარკვიეს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ირწმუნება, რომ გიორგი ანჩაბაძის სატრანსფერო ფურცელი რუსეთის საფეხბურთო კავშირს დროულად გაუგზავნა, ხოლო რატომ ვერ შეიყვანა „ალანიამ" იგი განაცხადში, მისთვის უცნობია. რაც შეეხება გიორგი კიკნაძეს, მისი სატრანსფერო ფურცელი სფფ-ში საერთოდ არ ყოფილა. ეს ფეხბურთელი თურქულ „სამსუნსფორს" ეკუთვნის, თავისუფალი აგენტი კი მხოლოდ მას შემდეგ გახდება, როცა თურქული კლუბი მის სანაცვლოდ კომპენსაციის სახით გარკვეულ თანხას მიიღებსო, წერია წერილში.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აზრით, „ალანია" და მისი მთავარი მწვრთნელი ამ ფაქტებთან დაკავშირებით კარგად არიან ინფორმირებულნი. წერილის ბოლოს კი სფფ-მ მასსა და თბილისის „დინამოს" შორის კონფლიქტიც უარყო.

ისე, მართლაც გასაკვირია, თუ რუსეთის საფეხბურთო კავშირმა დროულად მიიღო ანჩაბაძის ტრანსფერი, რატომ არ მოხერხდა მისი განაცხადში შეყვანა. „ალანიას" რომ ძალიან უნდა ქართველი გამთამაშებლის დამატება, დიდი ხანია, ცნობილია. თავად ფეხბურთელიც გაურკვევლობაშია. „ჩვენს თავს რაღაც ხდება. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო და უცებ ამხელა დაბრკოლება გადაგველობა. არც კი ვიცი, მიზეზი რა არის" — უთხრა ანჩაბაძემ ცოტა ხნის წინ „სარბიელს".

ფაქტია, ან საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია არ ამბობს სიმართლეს ან რუსეთის საფეხბურთო კავშირი მალავს სატრანსფერო ფურცელს, ანაც ვლადიკავკაზელები მაიმუნობენ რაღაცას. რომელი მხარეა მართალი, ღმერთმა უწყის...

**ვანო ოქროპირიძე**

# ლაშა ჯაკობია საფრანგეთში ვერ წავა

## ტრავმამ ქართველ თავდამსხმელს გადაწყვეტილება შეაცვლევინა



ბადრი იოსებაშვილის ფოტო

საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს მომავალ კვირაში საფრანგეთის საერთაშორისო ტურნირზე გამგზავრება ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის, ლაშა ჯაკობიას გარეშე მოუწევს. ბელგიის პირველი დივიზიონის აუტსაიდერ „ვეზეტის" ქართველი თავდამსხმელი ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მურთაზ ხურცილავამ გუნდში კი მოიწვია, მაგრამ ფეხბურთელი ვერ ჩამოვა. ჯაკობიას ტრავმა აწუხებს.

„ლაშას ძალიან უნდოდა ჩამოსვლა და ნაკრებში თამაში, თუმც ბოლოს რომ დავურეკეთ, გვითხრა, რომ ტრავმა აქვს და თამაშს ვერ შეძლებს. მას საზარდული აწუხებს და შესაძლოა ოპერაციაც დაჭირდეს " — განაცხადა ხურცილავამ ოთხშაბათს რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე.

ჯაკობიას საზარდული ადრეც აწუხებდა. ტრავმას ლაშა კარგა ხანს მკურნალობდა და ამის გამო ახალგაზრდული თუ თვრამეტწლამდელთა ნაკრების რამდენიმე ოფიციალური მატჩის გამოტოვებაც მოუხდა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით დაინტერესებულნი გუშინ ლაშა ჯაკობიას ბელგიაში შევეხმიანეთ.

— საშიში არაფერია — დაგვაიმედა ლაშამ — ბოლო მატჩში სტუმრად „როულერსთან" თეძო ვიტკინე. ექიმთა თქმით, ტრავმა სერიოზული არაა, თუმც ათდღიანი დასვენება მაინც გამომიწერეს.

„როულერსთან" დაშავების მიუხედავად, ჯაკობიამ ის მატჩი მაინც ბოლომდე ითამაშა. შეხვედრა „ვეზეტმა" 1:4 წააგო, თუმც მეორე ნახევარში ჯაკობიას გოლით 1:0-საც იგებდა.

— ახლა მომავალი ტურის გამოტოვება მომიწევს. ვარჯიშს ორშაბათს შევუდგები, ფორმაში კი კვირის ბოლოს შევალ, ამიტომ ჩემს საფრანგეთში ჩასვლასაც აზრი აღარ აქვს. არადა, თბილისში წამოსვლა და ნაკრებთან ერთად მომზადება უკვე გადაწყვეტილი მქონდა — გვითხრა ფეხბურთელმა, რომელსაც „ვეზეტის" ფორმა ცამეტჯერ მოურგია და თერთმეტი გოლი გაუტანია.

როგორც იცით, ჯაკობია „ვეზეტში" „სტანდარდმა" მაისის ბოლომდე გაანათხოვრა, ამიტომ ლაშას მომავლის გეგმებზეც ვკითხეთ.

— სეზონის დასრულების შემდეგ „ვეზეტში" აღარ დავრჩები. ალბათ „სტანდარდში" გავაგრძელებ კარიერას. შევიტყვე, რომ რამდენიმე კლუბი იყო ჩემით დაინტერესებული, მათი სახელები არ გაუმხელიათ. ისე კი ყველაზე მეტად „სტანდარდს" ვსურვარ და უფრო რეალურიც ამ გუნდში თამაშია. საბოლოოდ ყველაფერი მაისის დამდეგისთვის უნდა გადაწყდეს — აღნიშნა ახალგაზრდული ნაკრების წევრმა საუბრის დასასრულს.

**ვანო ოქროპირიძე**

# გიორგი ნემსაძის საკითხი დღეს უნდა გაირკვეს

დღეს უნდა გაირკვეს, საბოლოოდ გახდება თუ არა გიორგი ნემსაძე შოტლანდიის „ჰიბერნიანის" წევრი. გუშინ ებრაულ გაზეთ „იერუსალიმ პოსტზე" დაყრდნობით გაცნობეთ, რომ „ჰიბერნიანის" მენეჯერი ალექს მაკლიში დაესწრო თელ ავივში ისრაელი-საქართველოს ამხანაგურ მატჩს. გუშინ კი „პოსტმა" თავის წინანდელ ინფორმაციაში შესწორება შეიტანა. მაკლიშს გიორგი ნემსაძისა და ისრაელის ნაკრების წევრ ოსფერ ტალქარის სანახავად ასისტენტი — ენდი ვატსონი გაუგზავნია. თავად მაკლიშს ისრაელში გამგზავრება ბოლო წამს პირადი პრობლემების გამო გადაუფიქრებია.



ბადრი იოსებაშვილის ფოტო

გუშინ მაკლიშმა „დეილი რეკორდს" განუცხადა, რომ გიორგი ნემსაძე შეიძლება გახდეს ჰიბერნიანის წევრი მხოლოდ მას შემდეგ, რაც ვატსონის მოხსენებას მოისმენს. „ქართველი მხოლოდ ორი კვირა იყო ჩვენთან, რაც სათანადო დასკვნების გასაკეთებლად ძალიან ცოტა დროა. მან კარგი ფეხბურთელის შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ ეს არასაკმარისია. მართალია, ნემსაძეს, როგორც ფეხბურთელს და პიროვნებას, ძალიან დადებითად მიხასიათებენ, მაგრამ ამაში თავად უნდა დავრწმუნდე" — აღნიშნა მაკლიშმა.

მაკლიში ენდი ვატსონისგან ასევე მოისმენს ოსფერ ტალქარის დახასიათებას, რომელსაც „დანდი იუნაიტედიც" აკვირდება. გუშინ მაკლიშმა ასევე გამოაცხადა, რომ იწყებს მოლაპარაკებას „მანჩესტერ სიტისთან" ჩრდილოეთ ირლანდიის ახალგაზრდული ნაკრების წევრის, შონ ჰოლმსის გადასაბირებლად.

გიორგი ნემსაძის საკითხი კი, რომელიც 1 500 000 გირვანქა ღირს, მაკლიშმა დღესვე, პარასკევს, უნდა გადაწყვიტოს. ხვალიდან შოტლანდიაში სატრანსფერო პერიოდი იხურება.

**სიმონ მენაბდე**

## საუბრები ღმერთთან



### საუბარი მეექვსე

**ღმერთმა** დალოცოს ამ ბოლოხანს ჩვენში სოკოებივით (და საფეხბურთო საქმოსნებივით) მომრავლებული აფთიაქები. ამ აფთიაქებში, ღვთის ნებით, პროვიზორებია ცოტა, თორემ „სარბიელის“ მკითხველი და სპორტის მოყვარული, რამდენიც გინდა...

ჰოდა, წაუკითხავს მავან გულისხმიერ, დაახლოებით ნოშრევან კუჭუხიძის ჰაბიტუსის აფთიაქარს, ჩემი ზევით-ქვევით სირბილისა და მიკროინფარქტების ამბავი და ერთ დღეს იმდენი და იმდენნაირი პილულით მომადგა რედაქციაში...

— ა. ბიძიკო, გულისაა აგენი სუყველა და გაიმაგრე გული. რაა, შე კაცო, რუსიკო ხოფერიასავით რომ დახტიხარ ზევით-ქვევით, არ ხარ მთლად ბავშვი შენ და დროა დალვინდე აწი. ისე, რა გულსუსტი ყოფილხარ, შე საცოდავო — ეს მითხრა და ისე სიბრალულით შემომხედა, ვითომ ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულების გუბერნატორი ვყოფილიყავი (0:8 წააგეს ამას წინათ).

დავუჯერე. დავლიე ერთი — ბიჭოს, დამიწყნარდა გული. დავლიე მეორე — აუჰ, მხეცი ვარ მგონი. დავლიე მესამე — მხეცი ვარ მართლა. მივაყოლე და მივაყოლე (მარადონასა და ინგლისის ნაკრების ფეხბურთელებისა არ იყოს) მეოთხე, მეხუთე, მეექვსე... მეკარე! დარტყმა! არის! უჰ, გამოვშტერდი სულ. რა დროს მეკარე და დარტყმაა, საგულეებს ვყლაპავ ქიონია ქუთათელაძის ინდაურივით.

მოვედი ჯანზე, მარა რა ჯანზე — რის დევიდ ბეტი, რა შაკილ ონილი — ლომი ვარ მამალი.

მაგრამ ღმერთიც მომენატრა, ხომ იცით. ასეთი გულით და წნევით ღმერთთან მარტო იური გაგარინი მოხვდა და საგიჟეში გამოამწყვდიეს ისიც (დაილუპა, არა!).

დავჯექი და დავფიქრდი. მაგრამ იფიქრე რამდენიც გინდა — ღმერთთან რომ გინდა და კოსმონავტის გულ-წნევა გაქვს, ცოტა ძნელია სურვილის შესრულება, ხომ იცი. რახან ჩემით გზას ბარაქა ვერ დავაყარე, ავდექი და მივრეკ-მოვრეკე ნაცნობებში...

ბესტმა — ვისკიო, ბაჯომ — ბუდა და ნირვანაო, კლიუვერტმა — ყველაფრის დედაცო, სვენ-გორან ერიქსონმა — „ლაციოში“ ჩამოდი და ორწლიანს გაგიფორმებ, ვინ იცის, როდის გამომადგებიო, ვან გაალმა — თქვენში ბლოკნოტები იაფი ყოფილა, შპს დავაარსოთ და ვუბეროთო — ერთი სიტყვით, რუსეთის პირველი ნაკრებივით ამირიეს ტვინი. პელესთან არ დამირეკია, მაგის სულელი, არაპროგნოზისტი თავი...

ისევ დიეგომ მიჯიგრა — ჩამო, ძმაო, მიაფურთხე ყველაფერს, ჰავანიდან ზეცამდე ჩემი ხაზები მაქვს და რამეს მოგიხერხებო — ყველაზე მაგარია, დიეგო.

ჩავედი. დამხვდა პალატაში. იქაურობა თეთრად, თეთრად ქათქათებდა — სცოდნია ძმობა კომანდანტეს. მოვუყევი ყველაფერი და ჯიბიდან პალატასავით თეთრი ფხვნილი დააძრო დიეგომ. თვალწინ შინაგან საქმეთა სამინისტროს უსიმპათიურესი შენობა წარმომიდგა და ისე ვიტკიცე, ვითომ ბაგრატიონი ვიყავი და მეჯღანუაშვილის ქალს მრთავდნენ ცოლად. დიეგო მეფის, (ფეხბურთის მეფის), სიდარბაისლით შეხვდა ჩემს რეაქციას და — იყნოსე, იუზგარ, იყნოსე, შენს ქვეყანაში იმდენი დამპალის ზიარ ჰაერს სუნთქავ, არ გეზიზღება და ამას რას ერჩიო. მე ნარკომანი არც ვყოფილვარ, არც ვიქნები, ვერთობი ხანდახან და ჩემქვეყნელი დამპლებისგან ვისვენებ კომანდანტესთან, თორემ რა გული, რის გული, გული მაქვს პოკრიშკინივით.

— ახლა კაცი ვარ, ცოდვილი, მალემრწმენი, ჩვენი მთავრობის დაპირებებს ვუჯერებ მთელი შეგნებული ცხოვრების მანძილზე და ერთხელ მარადონას რომ დავჯერო, რა იქნება-მეთქი — ეს ვიფიქრე. ის ფხვნილი ნესტოებზე მივისვ-მოვისვი და...

ანალვლეე... ეს ვინ ვყოფილვარ, ხალხო, მიმიქარავს ბოინგი, იაკი, ტუ სტო პიდისიატჩეტირე, კარაველა და თქვენ წარმოიდგინეთ, სოიუზ დვა — მირ ვოსემ...

მოკლედ, ბექემივით მოვჭრი — წამებში იქ ვიყავი რა, სადაც მინდოდა.

#### ღმერთთან (მისაღებში)

ამას რას ხედავს ჩემი თვალები, ეს ვინ მადგას თავზე კურნიკოვას ქათქათა ქალის მაგიერ, რავა ნიგუზალივით გაშავებულა ეს უპატრონო-თქო, ამის გაფიქრება მოვასწარი და იმ ღვთისნიერი აფთიაქარის მოტანილი წამლები, ხიმინჯებივით რომ ეხიდებოდნენ ჩემს რუმინეთის „სტიაუასავით“ ნატანჯ გულს აქეთ-იქიდან, ერთიმეორის მიყოლებულ გამომეცალნენ. ეს რომ დაინახა „შავმა“, ლოყაში დაშხოშიანად გამილაწუნა და — სად მიხვალ, ბიჭო, მე ვარ, ვერ მიცანიო — მომაძახა. ფორჰენდზე ვიცანი, სერენა იყო უილიამსი — გიცანი, გიცანი შე შობელიღლოველომეთქი (ალავერდი შარაძესთან) და ყოველი შემთხვევისთვის მეორე ლოყა მივუშვირე რიჩარდია-შერეკილის ასულს (ქრისტიანი ვარ და რა ქრისტიანი).

საპასუხოდ მაკოცეს (გაერტყათ ჯობდა) — ჩემთან ხარ თუ ყოვლიშემძლესთან? — შენთან რა საქმე მაქვს, შენი იელოველი თავი ვნახე კლასიფიკაციაში 1241-ე, ერთბაშად ჩახნაშვილს ან ლუარსაბიშვილს არ დაუთმო რამე კორტზე — გავიფიქრე და პასუხად სულ სხვა ვუთხარი — არა, სერენ, აქ თუ გნახავდი, ნაღდად არ მეგონა, კი ბისკეინში მეგონე. პირდაპირ შევალ — ჩემს გვერდით წამოწოლილ რიჩარდის ასულს გადავალაჯე (ისე ტანი კი უგავს დელფინს) და შევედი რა.

#### ღმერთთან (კაბინეტში)

მამაზეციერი სავარძელში ჩაფლულიყო და კედელზე ბატისტუტას პლაკატის მაგიერ გაკრულ ნელსონ მანდელასა და მარტინ ლუთერ კინგის სურათებს მისჩერებოდა ფიქრიანად. აღვშფოთდი, მაგრამ რა აღვშფოთდი — ან ღმერთი სადაა, ან სამართალი, ბატისტუტას ადგილზე ამათ რა უნდათ, უფალო?! — ღმერთმა ისე ამხედდამხედა, ვითომ კუ კლუქს კლანის დამაარსებელი ვყოფილიყავი და უსიტყვოდ შავკანიანთა წინსვლის ეროვნული ასოციაციის (NAACP) მიმართვა ამაფარა თვალებზე — ოჰ, თქვენი ტამტამებზე გაკეთებული თავი... — შევუკურთხე გულში კაცობრიობის მუქ ნახევარს დანიიდან იორდანიამდე.

— ტამტამებზე არავინ გაუკეთებიათ, ბავშვობაში სამი ძმის სურათი ვიპოვე, გავაფერადე შავი და ყვითელი ფანქრით და ა, ხომ ხედავ, რა დღეში ვარ — ხელები უმწეოდ გაშალა მამაზეციერმა. შემეცოდა, ხომ იცით. ამდენი შავის გაძლება არ გინდა?

— მერე ესენი რომ გამოგიჭიმავს, დავკიდებდი ნაომი კემპბელის, ჯორდანის, პელეს სურათებს — პელე არ მიხსენო — ყურებზე ხელები აიფარა ღმერთმა — მამათმავალია, მაგის სურათი გლდანში, ავეტიკას დაწესებულებაში გადმოკიდონ — ეს რა გავიგე, არადა, დიეგოზე იძახოდა ნარკომანიაო. მერე რაღაც მომაფიქრდა, ჰიტლერის გეგმებივით ჯოჯოხეთური — ღმერთო, ხომ ხარ ღმერთი — დავიწყე მორცხვად— ვარ! — ხომ შეგიძლია ყველაფერი? — გააჩნია, რა — თავი დაიზლვია უფალმა. — ხომ შენ თქვი — რომელი საწყაოთი მიუზღავ, იგივეთი მოგეზღოსო? — მე ვთქვი, კი — ხმადაბლა მიპასუხა მამაზეციერმა და გაინაბა. — აგაშენა ღმერთმა — ამოვისუნთქე მარადონას



პელეს სალამიც ღვთისაა

კოკაინი მთლიანად — მოვძებნოთ ის კაცი, პელემ რომ... და მივუზღოთ პელეს რაც ეკუთვნის — მოვა მაგის დროც — ეტყობა უარესს ელოდა ღმერთი და ადვილად დამთანხმდა — მაინც არ ასცდება მაგას, ისეთ პროგნოზებს აკეთებს — მერე ჰაერი მოყნოსა და — ეს რა გიქნია, ბიჭო, მთლიანად რომ ამოაფრქვიე თეთრი ფხვნილი, რა გგონია, მე ქამარი კი არა მაქვს, აქ რომ დაგამაგრო, ჩაბრძანდი ახლა ძირს! — გამიჯავრდა მამაშვილურად. — ჩავალ, მაგრამ ამდენ ხანს რომ არ მინახავხარ, სათხოვარი დამიგროვდა უამრავი.

მიცნობდა უკვე და — ჩქარა, დაფქვიო — მითხრა.

— ახლა ამბობ ზანგებზე მასე, თორმეს გამოტენილი გაქვს NBA შავებით — საყვედურის იმხელა დოზა გავურიე ფრაზაში, ღმერთის გარდა ყველას წააქცევდა.

— ბიჭო, შენ მეუბნები მაგას? — თვალები აუწყლიანდა მამაზეციერს — სტეფანია ზანგია? ბოისა, უგრეხელიძე, ცქიტიშვილი, ის ბავშვი „ულქერის“ ძირითადში მე არ გავამწესე? — მარტო ეგ ვის ეყოფა, უფალო — დავუყვავე — სტეფანიამ სკამის ფორმა მიიღო ამდენი ჯდომით, იმ არამზადას, ვესტფოლია თუ ნორდფოლი, ჩაუკაკუნე ერთი შენებურად და ან ათამაშოს ბიჭი, ან გაყიდოს სადმე. დანარჩენებისთვის გმადლობთ, აბა შენ იცი, ფაჩულიას როგორ მიმიხედავ.

— კი, კაი ბიჭია და არ დავტოვებ უყურადღებოდ. მაგის გაჩენაში მართლა ურევია ჩემი ხელი — დამეთანხმა ღმერთი და მსუბუქად მიბიძგა — წადი, ახლა, ზანგებს უნდა შევხვდე ოკლაჰომაში.

კვირას რაგბია ეროვნულზე არ დაგვივიწყო, გადაგვათელინე რუმინელები შენებურად — მივაძახე და გამოვედი.

მისაღებში დელფინისტანიანი და მაიმუნისთავიანი სერენა ბუფონისმაისურისფერ დივანზე წამოწოლილიყო და ბალალაიკის თანხლებით „ჩემო ტკბილო მეგობაროს“ ამღერებდა.

ნაცნობმა ჰანგმა სამშობლო გამახსენა, სამშობლომ საპრეზიდენტო არჩევნები, არჩევნებმა გულისტკივილი და...

სამარშრუტო ტაქსში ვიჯექი. „რადიო 105“ დონეს გვიწუნებდა ქართველებს. უცნობი — მუქი ფერებია ქვეყანაშიო — გვიმტკიცებდა.

კიდევ კარგი, უცნობი რომ ამერიკელი არ არის. გადაამშავეს შტატები ზანგებმა.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

## დინამო ათას დოლარად ძლიერდება

**საქართველოს** ათგზის ჩემპიონი თბილისის „დინამო“ მეთერთმეტე ჩემპიონატის მეორე ეტაპის მეხუთე ტურს გაძლიერებული შეხვდება. თუ რაიმე მოულოდნელი არ მოხდა, კვირას სამტრედიის „იბერიას“ წინააღმდეგ დინამოელთა რიგებში მამუკა მინაშვილიც ითამაშებს.

მინაშვილი მონასელიძესთან, წიკლაურთან, ფოფხაძესთან და გვარამაძესთან ერთად ბოლო დროს სამარის „კრილია სოვეტოვში“ იყო.

ცოტა ხნის წინ კი მინაშვილსა და მონასელიძეს „დინამოს“ ხელმძღვანელობა შეეხმიანა და თბილისში გადმოსვლა შესთავაზა. ფეხბურთელებიც დასთანხმდნენ და სამშობლოში დაბრუნდნენ. თუმცა მათი „დინამოს“ განაცხადში შეყვანა არ ხერხდებოდა, „კრილია სოვეტოვი“ სატრანსფერო ფურცლების გამოგზავნას აგვიანებდა.

წინა ტურში ქუთაისში „ტორპედოსთან“ მატჩამდე მონასელიძეს თამაშის საშუალება მიეცა, მინაშვილი კი კვლავაც პასუხს ელოდა.

„მამუკას სატრანსფერო ფურცელი უკვე მოსკოვშია. მის სანაცვლოდ 1000 ამერიკული დოლარი გვაქვს გადასახდელი. ფულს ამ დღეებში გადავიხდით და მინაშვილსაც განაცხადში შევიყვანთ. ვფიქრობ, „იბერიასთან“ მატჩისთვის ყველა პრობლემა მოგვარდება და მამუკაც დაგვეხმარება“ — გვითხრა გუშინ თბილისელთა თავკაცმა ოთარ კორღალიძემ.

შეგახსენებთ, მინაშვილი პირველი ეროვნულიდან მოყოლებული სამი წელი თბილისის „შევარდენის“ ღირსებას იცავდა. იგი გუნდის საუკეთესო თავდამსხმელი იყო და აწ უკვე დაშლილი კლუბის ისტორიაში 39 გოლით საუკეთესო ბომბარდირის სახელით შევიდა. საქართველოში მამუკა მინაშვილს „შევარდენი 1906“-ის გარდა ხაშურის „ივერიაშიც“ უთამაშია. ქართველ თავდამსხმელს თავი რუსეთშიც არ შეურცხვენია. იგი სამარის „კრილია სოვეტოვში“ ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრი გახლდათ.

**ვანო ოქროპირიძე**

## გორდას ბედი ფოლადზე ჰკიდია

**საფეხბურთო** გუნდს, რომ პატრონი, ანუ სპონსორი არ ჰყავს, კაპიკია მისი ფასი. უხელფასო-უფულო ქართული გუნდი კი რელსებზე მიტოვებულ ჩახნილ ვაგონს ჰგავს. რამდენი ასეთი გუნდია ეროვნულ ჩემპიონატში, თავადაც მოგეხსენებათ, საილუსტრაციოდ კი ეროვნული პირველობის სატურნირო ცხრილებიც გამოგადგებათ (განსაკუთრებით „ბ“ ზონაში შექმნილი მდგომარეობა მოგჭრით თვალს). დაწყებული არ იყო ჩემპიონატის მეორე ეტაპი, რომ ბევრი უკვე ხმამაღლა ამბობდა — „არსენალი“, „ხობი“ და „სამგურალი“ გავარდებიან, „ლოკომოტივს“, „მერანს“ და „გორდას“ კი საამისო არაფერი სჭირთო. ვერც შეედავებით ამის მთქმელს. ფული დღევანდელ ფეხბურთში ბევრ რამეს განსაზღვრავს. ელემენტალური ამბავია, მაძღარი, იმედიანად მყოფი ფეხბურთელი მშიერზე და ენთუზიასტზე უკეთ ითამაშებს. „ლოკომოტივს“ რომ გასავარდნი პირი არ უჩანდა, ისედაც ნათელი იყო. ღვთის მადლით, რკინიგზის დეპარტამენტის სახით ამ კლუბს ძლიერი და შეძლებული მფარველი ჰყავს, პატრონიანი გუნდების რიცხვს „ბ“ ზონიდან სეზონის განახლების წინ „მერანიც“ შეემატა. დავით ფურცელაძემ ქართული გუნდის სპონსორობა იტვირთა და საქმესაც ენერგიულად შეუდგა. მისი მისვლაც დაეტყო მეორე ეტაპზე ჯერაც დაუმარცხებელ „მერანს“. „გორდა“ კი...

სეზონის განახლების წინ ამ გუნდში შეძლებული ხალხის მოსვლაზე დაიწყო საუბარი. ეს ხმებიც კი საკმარისი გამოდგა საიმისოდ, რომ რუსთაველებს რიხით დაეწყოთ მეორე ეტაპი — სძლიეს „თბილისს“, არ წააგეს „მერანთან“ და მოუგეს „არსენალს“. „გორდას“ დღესაც არ ჰყავს ოფიციალური სპონსორი, მაგრამ სამომავლო პატრონის ყურადღებას მაინც გრძნობს. სააქციო საზოგადოება „აზოტის“ და ქალაქის მერიის დიდი სურვილია, დააფინანსონ ეს კლუბი, მაგრამ ჯერჯერობით ამას ვერ ახერხებენ. იქნებ გაგიკვირდეთ კიდეც, რადგან გუნდის შენახვის შესაძლებლობა არ აკლიათ „აზოტს“ და მერიას, მაგრამ მათი „გორდას“ სათავეში მისვლა ოფიციალურად მაინც ვერ ხერხდება. საქმე ისაა, რომ მთავარი პრობლემა, „ფოლადი“ სტადიონი, მეტალურგიული ქარხნის საკუთრებაა, ამ ქარხანას კი ბიუჯეტის ვალი აქვს და მისი ქონებაც აუქციონზეა გატანილი, ბაზის და სარბიელის გარეშე კი სააქციო საზოგადოება ხელფეხშეკრულია, „გორდას“ ვერ იბარებს. არადა, პრივატიზაციის კანონი ითვალისწინებს, რომ კულტურული და სპორტული ნაგებობები ვალის გადახდის მიზნით არ გაიყიდოს, ჰოდა, რუსთავის მერიაც იბრძვის, რომ სტადიონი მის ბალანსზე გადაიყვანოს, ამის შემდეგ კი იჯარით სააქციო საზოგადოება „აზოტს“ გადაულოცოს.

ეს ბრძოლა არ დასრულებულა და შესაბამისად საქმეს მოწყურებული ხალხიც ჯერჯერობით თავს იკავებს, თუმცა „გორდა“ ისედაც გრძნობს „აზოტის“ და მერიის ყურადღებას. ეს გუნდში ამასწინათ დარიგებულ ხელფასშიც გამოიხატა, „აზოტი“ კლუბის ტრანსპორტირებისთვისაც ზრუნავს და სააქციო საზოგადოების წარმომადგენლები და ქალაქის ხელმძღვანელები „გორდას“ თამაშებსაც რეგულარულად ესწრებიან. მოკლედ, „გორდას“ ბედი „ფოლადზე“ ჰკიდია, სტადიონის გამოხსნის შემთხვევაში „აზოტი“ და მერია ოფიციალურად შეუდგებიან საქმეს და „გორდაც“ თითებზე ჩამოსათვლელი სოლიდურპატრონიანი ქართული კლუბების რიცხვს შეუერთდება.

**პაატა ქვანტალიანი**

ბატონი ანატოლი... ნაცნობთათვის ბატონი გიგა...

ამქვეყნიდან ადრიანად წასული, ძალიან ბევრისთვის გულისდამწყვეტი.

მანამდე დიდი სიხარული უჩუქნია — არაერთხელ.

საბჭოურ ხანაში „ტორპედოს“ წვრთნიდა. მერე „ცხუმის“ და საქართველოს ნაკრების სათავესთან იდგა.

მას ბევრი ეკითხებოდა ჭკუას. ძველი კაცი იყო და თანამედროვეობას ფეხს მაინც იოლად უწყობდა, სტერეოტიპებით არასდროს აზროვნებდა.

მწვრთნელობა უძნელესი პროფესიაა, ისიც საბჭოეთში და ისიც საქართველოში. ამ ფოტოზე გიგა ნორაკიძის ერთ-ერთი ბოლო დღეთაგანია აღბეჭდილი.

თითქოს მოხუცი ჩანს, საზეფიქრიანი, მაგრამ 64 წელი განა ბევრია? გიგა ნორაკიძეს ხომ გუშინ 70 წელი შეუსრულდებოდა.



# საქართველოს ეროვნული ნაკრების

## ყველა მატჩი, ყველა მოთამაშე

| | | |
|---|---|---|
| 27.05.90 | ამ | საქართველო 2:2 ლიტვა<br>გურული, კაჭარავა |
| 02.07.91 | ამ | მოლდოვა 2:4 საქართველო<br>ქეცბაია, დარასელია, მ. ჯიშკარიანი<br>ყაველაშვილი |
| 02.09.92 | ამ | ლიტვა 1:0 საქართველო |
| 17.09.92 | ამ | საქართველო 6:3 აზერბაიჯანი<br>ყიზილაშვილი 2, გ. დარასელია,<br>შ. არველაძე, გოგიჩაიშვილი, გ. ჯიშკარიანი |
| 22.12.92 | ამ | კვიპროსი 1:0 საქართველო |
| 25.05.93 | ამ | აზერბაიჯანი 1:0 საქართველო |
| 08.02.94 | მტ | სლოვენია 1:0 საქართველო |
| 10.02.94 | მტ | მალტა 0:1 საქართველო<br>ქეცბაია |
| 12.02.94 | მტ | ტუნისი 0:2 საქართველო<br>ყაველაშვილი, კუდინოვი |
| 23.02.94 | ამ | ისრაელი 2:0 საქართველო |
| 11.06.94 | ამ | ნიგერია 5:1 საქართველო<br>რ. არველაძე |
| 26.06.94 | ამ | ლატვია 1:3 საქართველო<br>დ. ჯანაშია, კაჭარავა, ჯამარაული |
| 19.07.94 | ამ | საქართველო 1:1 მალტა<br>შ. არველაძე |
| 07.09.94 | ეჩშ | საქართველო 0:1 მოლდოვა |
| 12.10.94 | ეჩშ | ბულგარეთი 2:0 საქართველო |
| 16.11.94 | ეჩშ | საქართველო 5:0 უელსი<br>ქეცბაია 2, ქინქლაძე, შ. არველაძე, გოგრიჭიანი |
| 14.12.94 | ეჩშ | ალბანეთი 0:1 საქართველო<br>შ. არველაძე |
| 29.03.95 | ეჩშ | საქართველო 0:2 გერმანია |
| 26.04.95 | ეჩშ | საქართველო 2:0 ალბანეთი<br>შ. არველაძე, ქეცბაია |
| 07.06.95 | ეჩშ | უელსი 0:1 საქართველო<br>ქინქლაძე |
| 06.09.95 | ეჩშ | გერმანია 4:1 საქართველო<br>ქეცბაია |
| 11.10.95 | ეჩშ | საქართველო 2:1 ბულგარეთი<br>შ. არველაძე, ქინქლაძე |
| 15.11.95 | ეჩშ | მოლდოვა 3:2 საქართველო<br>დ. ჯანაშია, კულიბაბა (ს.კ.) |
| 27.03.96 | ამ | კვიპროსი 0:2 საქართველო<br>ქეცბაია, ჯამარაული |
| 24.04.96 | ამ | რუმინეთი 5:0 საქართველო |
| 08.05.96 | ამ | საბერძნეთი 2:1 საქართველო<br>გოგრიჭიანი |
| 01.09.96 | ამ | ნორვეგია 1:0 საქართველო |
| 09.10.96 | მჩშ | იტალია 1:0 საქართველო |
| 09.11.96 | მჩშ | საქართველო 0:2 ინგლისი |
| 05.12.96 | ამ | ლიბანი 4:2 საქართველო<br>იაშვილი, კიკნაძე |
| 08:12.96 | ამ | ლიბანი 3:2 საქართველო<br>გახოკიძე, ცქიტიშვილი |
| 30.03.97 | ამ | საქართველო 7:0 სომხეთი<br>შ. არველაძე 3, ა. არველაძე 2,<br>ქინქლაძე, ყაველაშვილი |
| 30.04.97 | მჩშ | ინგლისი 2:0 საქართველო |
| 07.06.97 | მჩშ | საქართველო 2:0 მოლდოვა<br>შ. არველაძე, ქინქლაძე |
| 14.06.97 | მჩშ | პოლონეთი 4:1 საქართველო<br>შ. არველაძე |
| 10.09.97 | მჩშ | საქართველო 0:0 იტალია |
| 24.09.97 | მჩშ | მოლდოვა 0:1 საქართველო<br>ქეცბაია |
| 11.10.97 | მჩშ | საქართველო 3:0 პოლონეთი<br>ა. არველაძე, ცხადაძე, ქეცბაია |
| 06.02.98 | მტ | საქართველო 2:1 ლატვია<br>ჯამარაული 2 |
| 08.02.98 | მტ | საქართველო 3:0 ალბანეთი<br>ქეცბაია, ყაველაშვილი, იაშვილი |
| 10.02.98 | მტ | საქართველო 3:1 მალტა<br>ყაველაშვილი 2, ჯამარაული |
| 02.05.98 | ამ | ტუნისი 1:1 საქართველო<br>ქინქლაძე |
| 30.05.98 | ამ | საქართველო 1:1 რუსეთი<br>ზ. ჯანაშია |
| 12.08.98 | ამ | აზერბაიჯანი 1:0 საქართველო |
| 19.08.98 | ამ | უკრაინა 4:0 საქართველო |
| 05.09.98 | ეჩშ | საქართველო 1:0 ალბანეთი<br>ა. არველაძე |
| 10.10.98 | ეჩშ | ლატვია 1:0 საქართველო |
| 14.10.98 | ეჩშ | საბერძნეთი 3:0 საქართველო |
| 18.11.98 | ამ | საქართველო 3:1 ესტონეთი<br>აშვეთია 2, დ. ჯანაშია |
| 20.03.99 | ამ | საქართველო 0:1 უკრაინა |
| 27.03.99 | ეჩშ | საქართველო 1:1 სლოვენია<br>ზ. ჯანაშია |
| 28.04.99 | ეჩშ | საქართველო 1:4 ნორვეგია<br>ზ. ჯანაშია |
| 30.05.99 | ეჩშ | ნორვეგია 1:0 საქართველო |
| 05.06.99 | ეჩშ | საქართველო 1:2 საბერძნეთი<br>ქეცბაია |
| 04.09.99 | ეჩშ | სლოვენია 2:1 საქართველო<br>შ. არველაძე |
| 08.09.99 | ეჩშ | საქართველო 2:2 ლატვია<br>შ. არველაძე, ყაველაშვილი |
| 09.10.99 | ეჩშ | ალბანეთი 2:1 საქართველო<br>შ. არველაძე |
| 04.02.00 | კტ | რუმინეთი 1:1 (4:2პ) საქართველო<br>ქეცბაია |
| 06.02.00 | კტ | საქართველო 2:1 სომხეთი<br>ზ. ჯანაშია, მენთეშაშვილი |
| 29.03.00 | ამ | ისრაელი 1:1 საქართველო<br>ქინქლაძე |

სულ: 60 თამაში, 21 მოგება, 9 ფრე, 30 წაგება, ბურთები 80:89

ამ - ამხანაგური მატჩი, ეჩშ - ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი, მჩშ - მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი, მტ, კტ - მალტის, კვიპროსის ტურნირი

| სახელი | გვარი | ამპლუა | დაბადების თარიღი | კლუბი | ამხანაგური მატჩი | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | ევრო 96-ის მატჩი | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | მსოფლიო 98-ის მატჩი | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | ევრო 2000-ის მატჩი | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | სულ თამაში | გოლი | გაფრთხილება | გაძევება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გიორგი | ნემსაძე | ნ | 10.05.72 | დინამო | 25 | 0 | 4 | 0 | 5 | 0 | 2 | 0 | 7 | 0 | 3 | 0 | 9 | 0 | 3 | 0 | 46 | 0 | 12 | 0 |
| გოჩა | ჯამარაული | ნ | 23.07.71 | ციურიხი, შვეიცარია | 21 | 5 | 2 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 9 | 0 | 1 | 0 | 42 | 5 | 3 | 0 |
| თემურ | ქეცბაია | ნ | 18.03.68 | ნიუკასლი, ინგლისი | 17 | 5 | 4 | 0 | 7 | 4 | 1 | 0 | 8 | 2 | 0 | 0 | 6 | 1 | 1 | 0 | 38 | 12 | 6 | 0 |
| გიორგი | ქინქლაძე | ნ | 06.07.76 | დერბი ქაუნთი, ინგლისი | 15 | 3 | 0 | 0 | 9 | 3 | 1 | 0 | 7 | 1 | 1 | 1 | 4 | 0 | 0 | 0 | 35 | 7 | 2 | 1 |
| შოთა | არველაძე | თ | 22.02.73 | აიაქსი, ჰოლანდია | 12 | 5 | 0 | 0 | 10 | 4 | 0 | 0 | 6 | 2 | 0 | 0 | 5 | 3 | 0 | 0 | 33 | 14 | 0 | 0 |
| მიხეილ | ყაველაშვილი | თ | 22.07.71 | ციურიხი, შვეიცარია | 15 | 6 | 3 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 1 | 1 | 6 | 1 | 2 | 0 | 31 | 7 | 5 | 1 |
| მურთაზ | შელია | მ | 25.03.69 | დინამო | 13 | 0 | 4 | 0 | 9 | 0 | 2 | 0 | 6 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 29 | 0 | 7 | 0 |
| კახა | გოგიჩაიშვილი | ნ | 31.10.68 | უგუნდო | 11 | 1 | 1 | 0 | 9 | 0 | 1 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 26 | 1 | 2 | 0 |
| კახა | ცხადაძე | მ | 07.09.68 | უგუნდო | 13 | 0 | 3 | 0 | 5 | 0 | 2 | 0 | 7 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 25 | 1 | 5 | 0 |
| ლევან | კობიაშვილი | მ | 10.07.77 | ფრაიბურგი, გერმანია | 10 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 1 | 0 | 9 | 0 | 1 | 0 | 24 | 0 | 2 | 0 |
| გიორგი | ჩიხრაძე | მ | 01.10.67 | ლოკომოტივი | 8 | 0 | 1 | 0 | 9 | 0 | 2 | 1 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 22 | 0 | 3 | 1 |
| არჩილ | არველაძე | თ | 22.02.73 | ბრედა, ჰოლანდია | 8 | 2 | 1 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 | 6 | 1 | 0 | 0 | 4 | 1 | 0 | 0 | 22 | 4 | 1 | 0 |
| კახა | კალაძე | მ | 22.02.78 | დინამო, კიევი, უკრაინა | 10 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 1 | 9 | 0 | 3 | 0 | 22 | 0 | 4 | 1 |
| დიმიტრი | კუდინოვი | მ | 08.02.63 | თამაში მიატოვა | 12 | 1 | 2 | 0 | 7 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 20 | 1 | 4 | 0 |
| გელა | შეყილაძე | მ | 14.09.70 | ლიერსი, ბელგია | 9 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 | 6 | 0 | 1 | 0 | 18 | 0 | 3 | 0 |
| ლევან | ცქიტიშვილი | მ | 10.10.76 | ფრაიბურგი, გერმანია | 9 | 1 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 2 | 0 | 16 | 1 | 2 | 0 |
| ირაკლი | ზოიძე | მკ | 21.03.69 | ტორპედო | 8 | -8 | 0 | 0 | 3 | -5 | 0 | 0 | 5 | -9 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 16 | -22 | 0 | 0 |
| აკაკი | დევაძე | მკ | 28.11.71 | უგუნდო | 8 | -11 | 0 | 0 | 7 | -8 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 15 | -19 | 1 | 0 |
| გიორგი | გახოკიძე | ნ | 09.11.77 | მაკაბი, ჰაიფა, ისრაელი | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 13 | 1 | 2 | 0 |
| ნუგზარ | ლობჟანიძე | მ | 07.09.71 | უგუნდო | 6 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 13 | 0 | 4 | 0 |
| დავით | გვარამაძე | მკ | 08.11.75 | კრილია სოვეტოვი, რუსეთი | 6 | -6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 6 | -8 | 0 | 0 | 12 | -14 | 0 | 0 |
| გიორგი | კიკნაძე | ნ | 26.04.76 | ალანია, რუსეთი | 6 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 11 | 1 | 1 | 0 |
| ზაზა | რევიშვილი | მ | 23.09.68 | თამაში მიატოვა | 7 | 0 | 1 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 11 | 0 | 1 | 0 |
| გივი | დიდავა | მ | 26.03.76 | დინამო | 5 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 1 | 0 | 11 | 0 | 2 | 0 |
| გიორგი | დემეტრაძე | თ | 26.09.76 | დინამო, კიევი, უკრაინა | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 | 11 | 0 | 0 | 0 |
| ნიკოლოზ | ტოგონიძე | მკ | 26.04.71 | ბათუმი | 6 | -9 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 2 | -4 | 0 | 0 | 11 | -13 | 0 | 0 |
| დავით | ჯანაშია | თ | 07.08.72 | ტორპედო | 8 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 10 | 3 | 2 | 0 |
| რევაზ | არველაძე | ნ | 15.09.69 | დინამო | 7 | 1 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10 | 1 | 0 | 0 |
| გელა | ინალიშვილი | ნ | 03.10.66 | თამაში მიატოვა | 4 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 10 | 0 | 0 | 0 |
| გოჩა | გოგრიჭიანი | თ | 12.08.64 | ჟემჩუჟინა, რუსეთი | 3 | 1 | 1 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 2 | 1 | 0 |
| გიორგი | დარასელია | ნ | 17.09.68 | ჰაპოელი, ქვარ სავა, ისრაელი | 7 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 9 | 2 | 0 | 0 |
| დავით | ყიზილაშვილი | თ | 12.12.70 | თამაში მიატოვა | 8 | 2 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 2 | 0 | 0 |
| გია | ჯიშკარიანი | ნ | 30.11.67 | თამაში მიატოვა | 9 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 9 | 1 | 1 | 0 |
| ლევან | სილაგაძე | მ | 04.08.76 | ალანია, რუსეთი | 8 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 9 | 0 | 1 | 0 |
| ბესიკ | ბერაძე | მ | 20.02.68 | სამგურალი | 5 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 8 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი | ლუდუშაური | ნ | 18.02.73 | თბილისი | 4 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 8 | 0 | 0 | 0 |
| მამუკა | წერეთელი | მ | 17.01.79 | ალანია, რუსეთი | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 6 | 0 | 2 | 1 | 8 | 0 | 2 | 1 |
| ალექსანდრე | იაშვილი | თ | 23.10.77 | ფრაიბურგი, გერმანია | 6 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 7 | 2 | 1 | 0 |
| ზაზა | ჯანაშია | თ | 10.02.76 | ლოკომოტივი, მოსკოვი, რუსეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 3 | 2 | 1 | 1 | 7 | 4 | 2 | 1 |
| მიხეილ | აშვეთია | თ | 10.11.77 | ალანია, რუსეთი | 4 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 6 | 2 | 0 | 0 |
| რატი | ალექსიძე | თ | 08.09.78 | ჩელსი, ინგლისი | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 |
| თენგიზ | სიჭინავა | ნ | 15.05.72 | დინამო | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 |
| კახა | სიდამონიძე | მ | 17.04.71 | ბათუმი | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 | 0 | 0 |
| სოსო | გრიშიკაშვილი | მკ | 21.12.72 | დინამო | 4 | -2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | -1 | 0 | 0 | 5 | -3 | 0 | 0 |
| გია | გურული | თ | 20.05.64 | თამაში მიატოვა | 2 | 1 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 1 | 1 | 0 |
| ვალტერ | გუჩუა | მ | 06.07.75 | დინამო | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 1 | 0 |
| დავით | ცომაია | ნ | 04.09.67 | განთიადი | 4 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 1 | 0 |
| ზურაბ | ფოფხაძე | მ | 02.06.72 | კრილია სოვეტოვი, რუსეთი | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 1 | 0 |
| გიორგი | კილასონია | ნ | 09.09.68 | გორდა | 1 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 |
| მიხეილ | ფოცხვერია | თ | 12.08.75 | ალანია, რუსეთი | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 0 | 0 |
| კახა | კაჭარავა | თ | 19.09.66 | უგუნდო | 3 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 2 | 0 | 0 |
| მიხეილ | ჯიშკარიანი | თ | 01.11.69 | სოკოლი, სარატოვი, რუსეთი | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 |
| ზურაბ | მენთეშაშვილი | ნ | 30.01.80 | სკონტო, ლატვია | 3 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 |
| მამუკა | მაჭავარიანი | მ | 27.11.70 | თბილისი | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| ვასილ | სეფაშვილი | თ | 17.02.69 | სპარტაკი, ნალჩიკი, რუსეთი | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| თემურ | ტუღუში | თ | 24.02.72 | ბათუმი | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| ზვიად | ჯელაძე | მ | 16.12.73 | ლოკომოტივი, ს.პ. რუსეთი | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| მელორ | ბიგვავა | თ | 17.01.63 | ? გერმანია | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| დავით | ჭიჭვეიშვილი | ნ | 23.01.75 | ლოკომოტივი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 |
| გია | ჩხაიძე | მ | 23.02.70 | ლოკომოტივი | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 |
| გიორგი | ბალაშვილი | მ | 07.08.73 | ლოკომოტივი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 3 | 0 | 1 | 0 |
| ზურაბ | ხიზანიშვილი | მ | 06.10.81 | დინამო | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| მერაბ | ძოძუაშვილი | თ | 04.11.80 | ლოკომოტივი | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| კახა | კვეტენაძე | ნ | 03.06.70 | ტორპედო | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ვაჟა | თარხნიშვილი | მ | 26.08.71 | შერიფი, მოლდოვა | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| შალვა | ხუჯაძე | მ | 05.10.75 | ბათუმი | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ბადრი | ახვლედიანი | მ | 19.10.70 | ტორპედო | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 |
| რევაზ | ქემოკლიძე | მ | 13.03.79 | დინამო | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 |
| დავით | ჯანელიძე | მკ | 09.02.73 | უგუნდო | 2 | -3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | -3 | 0 | 0 |
| მალხაზ | არზიანი | მ | 15.08.64 | აკადემია | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ასლან | ბალაძე | მკ | 18.04.60 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| იური | გაბისკირია | ნ | 01.09.68 | ყუბანი, რუსეთი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ირაკლი | გემაზაშვილი | მ | 06.07.77 | უგუნდო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გოჩა | გუჯაბიძე | მ | 07.07.71 | მერანი | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი | დავითნიძე | მ | 18.07.78 | კოლხეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 |
| ირაკლი | ვაშაკიძე | მ | 13.03.76 | დინამო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| როსტომ | თორლაშვილი | ნ | 15.12.64 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ზურაბ | იონანიძე | თ | 02.12.71 | ტორპედო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გელა | კეტაშვილი | მ | 27.09.65 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ოთარ | კორღალიძე | თ | 02.09.60 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| თემურ | კაბისაშვილი | მ | 13.09.67 | ირისტონი, რუსეთი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ალექსანდრე | კაიდარაშვილი | თ | 02.11.78 | კრივბასი, უკრაინა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| მერაბ | კაციტაძე | მ | 25.02.63 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი | მეგრელაძე | თ | 21.07.78 | ტორპედო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ლაშა | მონასელიძე | ნ | 02.01.77 | დინამო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ამირან | მუჯირი | ნ | 20.02.74 | ბათუმი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| დავით | მუჯირი | ნ | 02.01.78 | შერიფი, მოლდოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი | ნადირაძე | მ | 11.02.68 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი | რევაზიშვილი | ნ | 31.03.77 | შერიფი, მოლდოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ალექსანდრე | რეხვიაშვილი | ნ | 06.08.74 | სკონტო, რიგა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გოჩა | ტყებუჩავა | მ | 24.11.63 | ჰაკოახი, რამათ განი, ისრაელი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| მამუკა | ფანცულაია | თ | 09.02.67 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გია | ფირცხალავა | მ | 03.01.65 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი | ჭანკოტაძე | მ | 04.10.77 | ვიტ ჯორჯია | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| სოსო | ჭედია | ნ | 09.10.65 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი | ყიფიანი | ნ | 12.08.78 | ვიტ ჯორჯია | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| დავით | ჩალაძე | თ | 22.01.76 | სკონტო, ლატვია | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გოჩა | ჩიქოვანი | მ | 12.10.62 | თამაში მიატოვა | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| კახა | ჩხეტიანი | ნ | 24.02.78 | ტორპედო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ნიკოლოზ | ჩხეიძე | მკ | 29.04.68 | დინამო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ვახტანგ | ხვადაგიანი | მ | 04.04.72 | ტორპედო | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ოთარ | ხიზანეიშვილი | მ | 26.06.81 | დინამო | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი | ლომაია | მკ | 08.08.79 | ლოკომოტივი | 1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | -1 | 0 | 0 |
| გრიგოლ | ჭანტურია | მკ | 25.09.73 | ტორპედო | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | -2 | 0 | 0 | 1 | -2 | 0 | 0 |
| დავით | ასლანაძე | მკ | 16.11.76 | ლოკომოტივი | 1 | -4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | -4 | 0 | 0 |



REUTERS ბუენოს აირესიდან

არგენტინა — ჩილე 4:1. არგენტინელი კილი გონსალესი და ჩილელი პატრისიო ორმასაბალი (№21)

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი

## ს. ამერიკა

### არგენტინა 4:1 ჩილე

1:0 ბატისტუტა (10), 1:1 ტელო (29) 2:1, 3:1 ვერონი (34, 71პ), 4:1 კლაუდიო ლოპესი (88)

არგენტინა: ბონანო, რ. აიალა, პოჩეტინიო, სამუელი, ხ. ძანეტი, სიმეონე, ვერონი, კილი გონსალესი, კლაუდიო ლოპესი (გუსტავო ლოპესი 89), ბატისტუტა (კრესპო 89), ორტეგა (სენსინი 82)
მწვრთნელი: მარსელო ბიელსა
ჩილე: მ. რამირესი, მალდონადო, რეიესი, მარგასი, კონტრერასი, ორმასაბალი (აროსი 80), კ. აკუნია, ტელო, დ. პიზარო (სიერა 71), სამორანო, სალასი
მწვრთნელი: ნელსონ აკოსტა
მსაჯი: ბირონ მორენო (ეკვადორი)
50 000 მაყურებელი

არგენტინელებმა მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ჩინებული სტარტი აიღეს და ჩილეს 4:1 მოუგეს. არადა, ჩილე ხელწამოსაკრავი მეტოქე სულაც არ გახლავთ. თუმცა არგენტინის წინააღმდეგ თამაში ძალიან ძნელია, მით უმეტეს, მსაჯიც თუ სცოდავს.

პირველი გოლი გაბრიელ ბატისტუტამ საჯარიმოთი შეაგდო. გოლი მართლაც ულამაზესი გახლდათ — ფიორენტინელმა 30 მეტრიდან დაარტყა, ბურთმა ცოცხალ კედელს შემოუფრინა და ბადეში გაეხვია. აი, თავად ჯარიმა კი მეტად საეჭვო იყო. ეკვადორელმა არბიტრმა ბირონ მორენომ ვერ შენიშნა, ტელეკამერას კი რა გამოეპარება — არიელ ორტეგას კლარენს აკუნიამ ბურთი სუფთად აართვა, წესები არ დაურღვევია.

მეორე გოლი ხუან სებასტიან ვერონის და ხავიერ ძანეტის კომბინაციას მოჰყვა. ისინი მეტოქის საჯარიმოში შეიჭრნენ და ვერონმა გარღვევა კარის აღებით დაასრულა.

შესვენების შემდეგ ვერონმა მესამეც შეაგდო, ამჯერად პენალტით და არბიტრი აქაც შეცდა. ბურთისთვის ორტეგა და როდრიგო ტელო იბრძოდნენ. აშკარად გამოჩნდა, რომ არგენტინელმა მეტოქეს უბიძგა და შემდეგ თავადაც თეატრალურად გაგორდა მინდორზე. სტუმართა პროტესტმა არ გასჭრა, მსაჯმა თერთმეტმეტრიანის ნიშნულზე მიანიშნა.

ჩილელთა განადგურება კი კლაუდიო ლოპესმა დაასრულა. ბატისტუტამ ვალენსიელს მარჯვენა ფლანგიდან ჩააწოდა და კლაუდიომაც დაუფიქრებლად დაარტყა.

მასპინძელთა ოთხ გოლს სტუმრებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს. პირველ ტაიმში, ვერონის გოლამდე ხუთი წუთით ადრე, ტელომ საჯარიმო დარტყმა ზუსტად შეასრულა. ჩილელებს ორიოდე ჩინებული მომენტიც ჰქონდათ და ორივე ნაკრებში დაბრუნებულმა ივან სამორანომ შექმნა. პირველ შემთხვევაში ინტერელის დარტყმულს არგენტინელთა მეკარე რობერტო ბონანომ ფეხილა დაუხვედრა, მეორედ კი ბურთი ხარიხას ოდნავ ასცდა.

### ურუგვაი 1:0 ბოლივია

1:0 პაბლო გარსია (26)
ურუგვაი: კარინი, გუსტავო მენდესი, დიეგო ლოპესი, მონტერო, როდრიგესი, პაბლო გარსია, კერესი (ნ. ოლივეირა 57), კოელო, ფ. ონილი, რეკობა (პოიეტი 89), დიეგო ალონსო (ზალაიეტა 76)
მწვრთნელი: დანიელ პასარელა
ბოლივია: ფერნანდესი, რივერა, ოსკარ სანჩესი, პენა, სანდი (რიმბა 75), კასტილიო, ხუსტინიანო, კრისტალდო, ლიმბერგ გუტიერესი (სუარესი 60), ერვინ სანჩესი, ხაიმე
60 000 მაყურებელი
მსაჯი: ანტონიო პერეირა (ბრაზილია)

ბოლივიის ნაკრები კარგად მხოლოდ შინ თამაშობს. ამას თავისი ახსნა აქვს. საქმე ისაა, რომ ბოლივიელები მეტოქეს ლა პასში, ზღვის დონიდან 3600 მეტრის სიმაღლეზე მასპინძლობენ და გაიშვიათებულ ჰაერს სხვებზე უკეთ ეგუებიან. აი, სტუმრად მათ მოგებას ძნელად თუ გაიხსენებს კაცი.

ამჯერადაც ასე იყო, ურუგვაელთა გამარჯვებაში ეჭვი არავის შეჰპარვია და მონტევიდეოს სტადიონზე გულშემატკივართა 60-ათასიანი არმია შეიკრიბა. მასპინძლებმა გაიმარჯვეს, თუმცა მოედანზე საინტერესო არაფერი მომხდარა. 26-ე წუთზე ნახევარმცველმა პაბლო გარსიამ შორეული დარტყმით ერთადერთი გოლი გაიტანა. ამის შემდეგ ურუგვაელები საკმაოდ უნიათოდ ირჯებოდნენ, თუმცა ბოლივიელთა კიდევ უფრო უსახური თამაშის კვალობაზე მათი უპირატესობა მაინც აშკარად იყო.

რაღაცას ფაფხურობდა ალვარო რეკობა. ის ორიოდჯერ თითქოს სახიფათოდ ჩაერთო შეტევაში, მაგრამ მონდომება და ბრძოლის ჟინი აკლდა. ბოლივიელებს კი ერთადერთი კარგი მომენტი ჰქონდათ. მეორე ტაიმში შეცვლაზე შესული ბერტი სუარესის დარტყმული ურუგვაელმა მეკარე ფაბიან კარინიმ უხერხულად მოიგერია და ის იყო, ანგარიში უნდა გათანაბრებულიყო, რომ გუსტავო მენდესმა ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა.

ეს იყო და ეს. ურუგვაის ნაკრებს, გამარჯვების მიუხედავად, აშკარად რაღაც აკლდა. მათი მწვრთნელი, ყოფილი მსოფლიოს ჩემპიონი დანიელ პასარელა კი იმედოვნებს, რომ ურუგვაულ ფეხბურთს ძველ დიდებას დაუბრუნებს.

### პერუ 2:0 პარაგვაი

1:0 სოლანო (54პ), 2:0 პალასიოსი (56)
პერუ: იბანიესი, სოტო, პაუელო, რებოსიო, ოლივარესი (ხუამინი 71), დელ სოლარი, ხაიო, პალასიოსი, სოლანო, ზუნიგა (მ. ოლსენი 54), კ. პიზარო (კიურლიზა 80)
პარაგვაი: ჩილავერტი, არსე, ს. აიალა, გამარა, კანისა, რ. აკუნია, პარედესი (გავილანი 74), ენკისო (გონსალესი 65), ხ. კამპოსი, კარდოზო (სტრუვა 65), სანტა კრუზი
მსაჯი: ორასიო ელისონდო (არგენტინა)
46 000 მაყურებელი

პერუს ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე 1982 წლის შემდეგ აღარ უთამაშია. იქნებ ნავსი გავტეხოთო და პარაგვაის წინააღმდეგ თავდაუზოგავად იბრძოლეს. ფიცხელ ბრძოლას კი უხეშობა მოჰყვა და მსაჯს ექვსი პერუელის გაფრთხილება მოუხდა. სტუმართაგან კი ყვითელი ბარათით ორი ფეხბურთელი დაისაჯა, მათ შორის — სახელგანთქმული მეკარე ხოსე ლუის ჩილავერტი. მან გაფრთხილება მსაჯთან კამათისთვის დაიმსახურა. აქვე შეგახსენებთ, რომ „ველეს სარსფილდში" მოთამაშე გოლკიპერი არგენტინის ჩემპიონატის მე-5 ტურში დაშავდა — მის ფეხებთან მავანი მაყურებლის მიერ ნასროლი მაშხალა აფეთქდა და ჩილავერტმა დამწვრობა მიიღო. ის ახლახან გამოჯანმრთელდა.

პირველი გოლი კი ჩილავერტის კარში პენალტით გავიდა. კლაუდიო პიზაროს წაქცევისთვის თერთმეტმეტრიანი დარტყმა დაინიშნა, რომელიც ნოლბერტო სოლანომ ზუსტად შეასრულა. სოლანოს ამბავსაც შეგახსენებთ. „ნიუკასლში" მოთამაშე ეს ფეხბურთელი ნაკრებს ამერიკაში, კონკაკაფის ოქროს თასის გათამაშებაზე ახლდა. მას ტრავმა აწუხებდა და ბობი რობსონმა შეუთვალა, მინდორზე არ გახვიდე, მხოლოდ ექიმებს გაესინჯე და უკან დაბრუნდიო. სოლანომ დამრიგებლის რჩევა არად ჩააგდო, ითამაშა კიდეც და კლუბსაც დაგვიანებით დაუბრუნდა, რისთვისაც რობსონის რისხვა დაიმსახურა.

პერუელთა მეორე გოლი რობერტო პალასიოსის ანგარიშზეა. ჩილავერტი უძლური იყო, მისი შორეული, მაგრამ უძლიერესი დარტყმული მოეგერიებინა. ამ გოლიდან 16 წუთის შემდეგ კი მეკარეთა დუელი შედგა. პერუელი ოსკარ იბანიესის კარში პენალტი დაინიშნა, რომლის დარტყმაც, ცხადია, ჩილავერტმა ითავა. გამარჯვება იბანიესს დარჩა. ამის შემდეგ ანგარიში აღარ შეცვლილა და პერუმ სამი ქულა მიითვალა.

### ეკვადორი 2:0 ვენესუელა

1:0 დელგადო (17), 2:0 აგინაგა (50)
გაძევება: მონტანო (25, ეკვადორი)
მსაჯი: ედუარდო გამბოა (ჩილე)
50 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 |
| ეკვადორი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| პერუ | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ურუგვაი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ბრაზილია | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| კოლუმბია | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ბოლივია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| პარაგვაი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ვენესუელა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ჩილე | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |

*მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გადის ოთხი საუკეთესო გუნდი. მეხუთეადგილოსანი პლეი ოფში ხვდება ოკეანეთის გამარჯვებულს.*

ფეხბურთის რუ[illegible]



**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაციამ „ლიდსი" და „ტოტენჰემი" 150-150 ათასი გირვანქით დააჯარიმა. 12 თებერვალს გამართულ პრემიერლიგის ტურის მატჩში ამ გუნდების ფეხბურთელებმა ერთმანეთში იჩხუბეს, რასაც ერთობ სერიოზული გამოხმაურება მოჰყვა. გავრცელდა ჭორები, თითქოს „ლიდსსა" და „ტოტენჰემს" გაცილებით მკაცრად დასჯიდნენ და ქულებს დააკლებდნენ, თუმცა ასოციაციამ მხოლოდ ფულადი ჯარიმა იკმარა. ფეხბურთელებს შორის წაკინკლავების ფაქტი „ჩელსისა" და „უიმბლდონის" მატჩშიც აღინიშნა. „სტემფორდ ბრიჯის" გასასვლელ დერეფანში მომხდარ ინციდენტს უახლოეს დღეებში განიხილავენ და არ არის გამორიცხული, გუნდებს ქულებიც კი დააკლონ.

**არგენტინის 20-წლამდელთა ნაკრების მცველი ფაბრიციო კოლოჩინი „მილანის" შემადგენლობაში საბოლოოდ ჩაირიცხა და 28 ნომერი მაისურა მოირგო. იტალიის ჩემპიონის ხელმძღვანელობამ ფიფასგან საგანგებო ნებართვა ითხოვა, რათა ფეხბურთელისთვის ტრანსფერის უფლება მიეცათ, რადგან როგორც ცნობილია, ამჟამად იტალიაში სატრანსფერო სეზონი დახურულია. „მილანის" ერთ-ერთ ძირითად წევრს, ლუიჯი სალას „იუვენტუსთან" მატჩის ბოლოს საკუთარ მეკარე აბიატისთან შეჯახებისას ცხვირი გაუტყდა და ვერ თამაშობს. შედეგად, იტალიელები დაფაცურდნენ და იანვრიდან გუნდში მოვარჯიშე კოლოჩინი „ბოკა ხუნიორსიდან". სეზონის ბოლომდე ითხოვეს, თუმცა არ არის გამორიცხული, სულ მალე მასთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმონ.**

**იტალიელი** მცველი პასკუალე პადალინო „ფიორენტინამ" საოპერაციოდ გაუშვა. ფეხბურთელი შარშან დეკემბერში იტალიის თასზე „პერუჯასთან" მატჩში დაშავდა და მას შემდეგ ველარ თამაშობს. ექიმების ცნობით, პადალინო კიდევ ოთხ თვეს ვერ იასპარეზებს, ხოლო ამის შემდეგ ყველაფერი მის ჯანმრთელობაზეა დამოკიდებული.

**ინგლისის პირველ დივიზიონში მოასპარეზე „ფულემმა" მთავარი მწვრთნელი პოლ ბრისუელი თანამდებობიდან გაათავისუფლა. გუნდის ხელმძღვანელობამ სპეციალისტის მოღვაწეობა წარუმატებლად მიიჩნია. „ფულემის" მეპატრონე მილიარდერ მოჰამედ ალ ფაედს ვაკანტურ პოსტზე სახელოვანი მწვრთნელის დანიშვნა სურს. გუნდის პრესატაშემ პრესკონფერენციაზე განაცხადა: „პოლი კარგი სპეციალისტია, მაგრამ კლუბს ვერ მოერგო და შედეგს ვერ მიაღწია. სამწუხაროა, რომ მისი გათავისუფლება მოგვიხდა. შესაძლო კანდიდატურებს შევარჩევთ და ახალ თავკაცს მალე დავასახელებთ. არ არის გამორიცხული, რომელიმე ცნობილი სპეციალისტი მოვიწვიოთ". ბრიტანული სააგენტოების ცნობით, მწვრთნელად დროებით გერმანელი კარლ-ჰაინც რიდლე დაინიშნა, რომელიც ბოლო ხანს „ფულემში" თამაშობდა.**

**ინგლისის** ნაკრების მთავარი მწვრთნელის, კევინ კიგანის თქმით, „ჩელსის" ნახევარმცველმა გრემ ლე სომ შესაძლოა ნაკრებში ადგილი დაკარგოს და ევროპის მომავალ ჩემპიონატზე ვერ ითამაშოს. „ლე სო ფორმიდან ამოვარდა, ერთობ საეჭვოა, რომ მან ევრო 2000-ზე იასპარეზოს — ამბობს კიგანი — წლეულს მას აშკარად არ უმართლებს, არა მგონია, ნაკრებში მოვიწვიო". „ივნინგ სტანდარტისთვის" მიცემულ ინტერვიუში კიგანმა აღნიშნა, რომ ევრო 2000-ზე, ალბათ, „ვესტ ჰემის" მოთამაშეს, ჯო კოულს წაიყვანს, თუმცა ეს საბოლოოდ არ გადაუწყვეტია. „ნაკრებში რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელის მიწვევა მსურს, ერთ-ერთი მთავარი კანდიდატი ჯო კოულია. თუმც ახლა ყველაფერი მასზეა დამოკიდებული. თუ წარმატებით იასპარეზებს, აუცილებლად ავიყვან გუნდში".

**ჰოლანდიელ თავდამსხმელ პიერ ვან ჰოიდონკს „ვიტესის" დატოვება და კარიერის ინგლისში გაგრძელება სურს. ერთ-ერთ ინტერვიუში მან განაცხადა: „პრემიერლიგა ყოველთვის მიტაცებდა, იქ ადრეც მითამაშია და ვთვლი, რომ ინგლისს ერთ-ერთი საუკეთესო ჩემპიონატი აქვს. მოსალოდნელია, რომ „ტოტენჰემში" გადავბარგდე, ჯორჯ გრემი საუცხოო მწვრთნელია და მასთან მუშაობა ნამდვილი სიამოვნებაა. მჯერა, რომ დიდ გუნდში თამაში შემიძლია, ჯორჯ გრემთან ამის დამტკიცება გაცილებით იოლია. ერთი ხანობა „ნოტინგემ ფორესტი" მეპატიჟებოდა, მაგრამ ტრანსფერი რატომღაც არ შედგა და კვლავ „ვიტესში" ვარ". პიერ ვან ჰოიდონკი თავისი გუნდის საუკეთესო, ხოლო ჰოლანდიის ჩემპიონატის მეორე ბომბარდირია.**

**საბერძნეთის** ჩემპიონმა „ოლიმპიაკოსმა" სლოვენიელი ნახევარმცველი ზლატკო ზაჰოვიჩი მთავარ მწვრთნელ ალბერტო ბიგონთან შელაპარაკების გამო დასაჯა და სეზონის ბოლომდე დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. ამასთანავე ერთობ სოლიდური თანხაც (57 ათასი დოლარი) გადაახდევინა. მწვრთნელი და ფეხბურთელი წინა შაბათს „ოლიმპიაკოსისა" და „პანათინაიკოსის" შეხვედრის დროს შელაპარაკდნენ. ბიგონმა ზაჰოვიჩს შეცვლა დაუპირა, ფეხბურთელმა კი უკმაყოფილება გამოთქვა და მწვრთნელს უხეშად გამოელაპარაკა. შეგახსენებთ, რომ „ოლიმპიაკოსმა" ზაჰოვიჩი შარშან ნოემბერშიც დასაჯა, როცა სლოვენიის ნაკრებში მიწვეული ფეხბურთელი საბერძნეთში დროზე არ დაბრუნდა. მაშინაც ხანგრძლივად უპირებდნენ ფეხბურთიდან მოკვეთას, მაგრამ კლუბის ფანების მოთხოვნით და პრეზიდენტ სოკრატის კოკალისის გადაწყვეტილებით ნახევარმცველს მაშინ სასჯელი შეუმსუბუქეს.

**არგენტინული ფეხბურთის ლეგენდამ, დიეგო მარადონამ საკუთარი კარიერა შესაძლოა ფიფას დაუკავშიროს. ზეპ ბლატერს სურს, რომ დიეგო არმანდომ მსოფლიოს საფეხბურთო მმართველობის სისტემაში აქტიური მონაწილეობა მიიღოს. „მარადონას მთელი მსოფლიო იცნობს. მას ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება შეუძლია, პელეს, მიშელ პლატინისა და ფრანც ბეკენბაუერის მსგავსად — განაცხადა ბლატერმა არგენტინისა და ჩილეს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის ხილვამდე — დიეგოს დავუკავშირდი და ციურიხში შეხვედრაზე მივიპატიჟე. დროა, წარსული დავივიწყოთ და მომავალზე ვისაუბროთ." ფიფასგან არაერთგზის განაწყენებული მარადონა ნარკომანიისგან გამოწვეული გულის დაავადებით კვლავ კუბაში მკურნალობს. მისი რეაქცია ბლატერის წინადადებაზე ჯერჯერობით უცნობია.**

**რუმინელ** ფორვარდ ადრიან ილიეს პრიმერადივიზიონის ბოლო ტურის მატჩში კუნთი დაეჭიმა და დაახლოებით ოთხ კვირას ვერ ითამაშებს. „ვალენსიას" ფორვარდი ესპანეთის პირველობის რამდენიმე ტურის და ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში „ლაციოს" წინააღმდეგ ორივე შეხვედრას გამოტოვებს. „ვალენსიას" ბოლო ხანს ტრავმები გაუხშირდა. გუნდის კაპიტანი გაისკა მენდიეტა დაშავებულია და „ლაციოსთან" პირველ მატჩში ალბათ ვერ ითამაშებს. აგრეთვე საეჭვოა ფრანგი მცველის, ალენ როშისა და ნახევარმცველების — დევიდ ალბელდას და ლუის მიიას ასპარეზობა. სამივეს ტრავმა აწუხებს.

ამხანაგური მატჩები

# გვახსოვდეს აქლემი



REUTERS ბარსელონიდან

ესპანეთი — იტალია 2:0. იტალიელი მასიმო ამბროზინი (№6) ხოსეპ გვარდიოლას ფეხებში ჩაუვარდა

### ესპანეთი 2:0 იტალია

1:0 ალფონსო (69), 2:0 აბელარდო (79)

ესპანეთი: მოლინა (კანისარესი 46), ველასკო, აბელარდო, პაკო, არანსაბალი (ფრანი 73), ეჩებერია (რუფეტე 63), გვარდიოლა (ელგერა 73), ვალერონი, ენგონგა (83), ფრანი, რაული (მუნიტისი 77), ურსაისი (ალფონსო 46)

იტალია: ბუფონი, ფერარა, კანავარო, მალდინი, ფუზერი (ძამბროტა 46), დი ბიაჯო (ტაკინარდი 46), ამბროზინი (გატუზო 60), პესოტო (პანკარო 73), ფიორე (ს. ინძაგი 60), დელ პიერო (ტოტი 46), ფ. ინძაგი (დელვეკიო 46)

მსაჯი: კლოდ კოლომბო (საფრანგეთი)

53 600 მაყურებელი

„დღეს ჩემი ბიჭების თამაშმა მართლაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა — ესპანეთს იტალიისთვის 22 წელი არ მოეგო და, ბუნებრივია, მისი მწვრთნელი ხოსე კამაჩო მოხიბლული იქნებოდა — დიახ, დიდებული მატჩი იყო, მაგრამ ახლა სხვა საზრუნავი გამომიჩნდა, შევინარჩუნებთ კი ამ ფორმას ზაფხულამდე? ბოლოს და ბოლოს დღეს როგორ ვთამაშობთ, მნიშვნელობა არ აქვს, მნიშვნელოვანი ის იქნება, თუ რა მოხდება ორი თვის შემდეგ. ბედნიერი გახლავართ, ხალხს სიამოვნება რომ მივანიჭეთ, თუმცა კიდევ უფრო სასიამოვნო იქნება თუ ფეხბურთელები არ გაყოყლოჩინდებიან“.

ბარსელონის ოლიმპიურ, იგივე „მონჟუიკის“ სტადიონზე „სკუადრა აძურა“ მეორე ტაიმში შესრულებულმა ორმა ზუსტმა თავურმა დაამარცხა. პირველი ალფონსო პერესმა დაარტყა, ხოლო მეორე აბელარდო ფერნანდესმა. ამ ორი მომენტის გარდა ესპანელებს კრისტიან ვიერის გარეშე მოთამაშე იტალიელებზე მეტი და უკეთესი შესაძლებლობები ჰქონდათ. შესვენებამდე დაშავებული არანსაბალის ნაცვლად მოთამაშე ფრან გონსალესმა მარცხენა ფრთაზე იბატონა, ხოლო წინ რაული ამძაფრებდა მასპინძელთა თამაშს.

სწორედ რაულის მონდომების შედეგი გახლდათ შეხვედრის დასაწყისშივე შექმნილი სახიფათო მომენტი, რომლის დროსაც იტალიელთა მეკარემ, ჯანლუიჯი ბუფონმა ფორვარდს თავისი წილი ოსტატობა დაუპირისპირა. აღსანიშნავია, რომ ამ შეტევის წამომწყები ზემოთ ნაქები ფრანი იყო.

სტუმრები იძულებულნი იყვნენ თავიანთი შეტევები ძირითადად მარცხენა ფრთიდან წამოეწყოთ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ესპანელთა მარჯვენა მცველს, ხუან ველასკოს შეტევის დროს მისცემდნენ, ეს კი იმ დღეს სახიფათო ... 

შინელების ტოლფასი იქნებოდა.

ყველა მომენტის აღწერა შორს წაგვიყვანდა და ამიტომ აღვნიშნოთ, რომ მეორე ტაიმში პირველისგან განსხვავებით იტალიელთა მომენტებმა იკლო, ესპანელებმა კი, როგორც ზევით მოგახსენეთ, ორი გოლი გაიტანეს.

„სკუადრა აძურას“ თავკაცი დინო ძოფი: „ესპანეთმა გვაჯობა. ეს ნაკრები ძალიან სწრაფ და ძლიერ ფეხბურთს თამაშობს, ჩვენ კი შეცდომებზე სწავლა და მუშაობა გვმართებს“.

მაშ ასე, იტალიის ნაკრები აშკარად ველარ თამაშობს ძველებურად, კლუბები უეფას თასიდან ერთდროულად დაიფრინეს, ხოლო ჩემპიონთა ლიგას ერთადერთიღა შემორჩა... რას ნიშნავს ეს? ხომ არ დაუდგა კრიზისის პერიოდი მსოფლიო ფეხბურთის დონისა და ტონის განმსაზღვრელ ქვეყანას?

შესაძლოა, მაგრამ იტალიური კრიზისი წვრილფეხობის კრიზისისგან ძალიან განსხვავდება: ნაკრები ესპანეთთან დამარცხდა, კლუბები უეფას თასს მეოთხედფინალში გამოეთიშნენ, ლიგაში შემორჩენილი გუნდი კი რვა უძლიერესს შორისაა და თასი რომ აიღოს, ძალიან არ უნდა გაგვიკვირდეს. ამიტომაც, საქართველოს ნაკრებს მომავალი მეტოქის მცირედი ფეხის დაცდენა ვერ დაამშვიდებს. აქლემი ისე არ წაიქცევაო, ხომ გსმენიათ.

### საბერძნეთი 2:0 რუმინეთი

1:0 ამანატიდისი (59), 2:0 ხუტოსი (88)

საბერძნეთი: ნიკოპოლიდისი, მავროგენიდისი (ბასინასი 65), გეორგატოსი (ვენეტიდისი 78), დაბიზასი, უზუნიდისი, პურსანიდისი, გეორგიადისი, ამანატიდისი (გუმასი 73), კიპარისისი (ხუტოსი 60), ცარტასი (ზიკოსი 86), ნინიადისი (კონსტანტინიდისი 46)

რუმინეთი: სტელია (ლობონტი 82), პეტრესკუ (პეტრე 75), ჩებოტარიუ, ფილიპესკუ, ჰილდანი, ნასტასი, მუტუ (როსუ 65), დ. მუნტეანუ (მიჰალჩეა 65), მოლდოვანი (განეა 56), ჰაჯი, კონტრა

4 590 მაყურებელი

საქართველოს ნაკრების ძველმა მოწინააღმდეგემ, საბერძნეთის ეროვნულმა გუნდმა ერთობ ექსპერიმენტული შემადგენლობით 2:0 მოუგო მომავალ მეტოქეს, რუმინეთს, რომელსაც 2000 წელს უკვე სამი მარცხი დაუგროვდა. ბერძნებმა ყოველმხრივ აჯობეს სტუმრებს, რაც გეორგის ამანატიდისის და ლამბროს ხუტოსის გოლებმა ოფიციალურად გააფორმა.

პირველი მას მერე გავიდა, რაც „ინტერის“ ნახევარმცველმა გიორგის გეორგატოსმა შორეული ჯარიმიდან ამანატიდისს გადააწოდა ბურთი. ის საჯარიმოში მდგომმა მარჯვენა ფეხით ბადეში შეაგდო. ამის მერე ბერძენთა უპირატესობა მეტისმეტად აშკარა გახდა, რისი ლოგიკური დასასრულიც თამაშის მიწურულს ანგელოს ბასინასის კუთხური და ხუტოსის ზუსტი თავური გამოდგა.

ბერძნებს ხუთი ფეხბურთელი აკლდათ და მათმა მწვრთნელმა ვასილის დანიელმა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება:

„რამდენიმე ახალი მოთამაშე გამოვცადეთ და შედეგად კარგი გუნდის წინააღმდეგ კარგი თამაში მივიღეთ. თავიდან გაგვიჭირდა, თუმცა თანდათან დავმშვიდდით და მეორე ტაიმში გაცილებით უკეთ ვითამაშეთ. ახლა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევისთვის ვემზადებით და ვგონებ, ჩინებული გამოცდა ჩავაბარეთ“.

მივაგეთ რა პატივი ევრო 2000-ის შესარჩევი ეტაპის ქართულ ხსოვნას, მომავალზე ანუ რუმინეთის ნაკრებზე გადავიტანოთ ყურადღება. ჩვენს მეტოქეს ორი საგოლე მომენტი ჰქონდა — გეორგე ჰაჯიმ, რომელიც საქართველოსთან თამაშებამდე ფეხბურიდან წასვლას გვპირდება, ორივეჯერ ჩვეული საჯარიმო დარტყმა შეასრულა.

„მთავარი პრობლემა თავდასხმაში გვქონდა. თუ შეტევას მივხედავთ, მალე სრული პოტენციალით ავთამაშდებით.“ — ბრძანა ემერიხ იენეიმ, რუმინელთა თავკაცმა.

ახლა კი, თქვენი ნებართვით, ბუქარესტის საგაზეთო ჯიხურებსაც ჩამოვუაროთ.

„ლიბერტატეა“: „შემაშფოთებელი მატჩი ათენში ლეგიონერთა მონაწილეობით“ — ასეთი გახლდათ დიდი სათაური. შემდეგ ეწერა: „ასე თუ ვითამაშებთ, ჩვენთან ამხანაგურ შეხვედრას მსოფლიოს წამყვან ნაკრებთაგან ერთიც არ ისურვებს“.

„სპორტულიროლი“: „ჩვენ, ფეხბურთელები, თავს ვერაფრით ვიმართლებთ — ამბობდა დანიელ მუნტეანუ — მაგრამ იენეიმ პასუხისმგებლობის საკუთარი წილი უნდა იტვირთოს. შემდეგ წერილის ავტორი ბრძანებდა: „ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასული რუმინეთის ნაკრები უფრო მეტად ჰგავდა საბერძნეთის სპარინგპარტნიორს, ვიდრე პირიქით. ევრო 2000-ს კატასტროფის ჩრდილი მიადგა“.

ყოველივე ამის გამო „სპორტულიროლი“ იენეის მოხსნასა და მის ნაცვლად ვიქტორ პიცურკას დაბრუნებას ითხოვდა. გაზეთის მტკიცების თანახმად, იენეის ფეხბურთელებთან კონფლიქტი აქვს.

კაცმა რომ თქვას, იენეის ათენში პირველად მიეცა საკუთარ ლეგიონერთა საქმეში ჩართვის საშუალება, მაგრამ შედეგი პირველი ცდისთვისაც სავალალო გამოდგა. შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატზე რუმინეთი გერმანიას, ინგლისსა და პორტუგალიას უნდა შეხვდეს და თუ მართლაც ასე გაგრძელდა, დიდი საფრთხეც ელის.

### უნგრეთი 0:0 პოლონეთი

უნგრეთი: კირალი, შებოკი, ფეჰერი, პრუტკა, მატიუში, ეროში, ჰალმაი, ლენდვაი (ვინცე 89), ლისტეში (კენესეი 80), ილეში, ტოკოლი (შანდორი 46)

პოლონეთი: დუდეკი, კლოსი, ზევლაკოვი, ვალდოხი, ბაკი (ზელინსკი 74), კარვანი, კრჟინოვიკი (კულუჟნი 79), სვიერჩევსკი (ივანი 46), ზდეებელი (რზასა 59), გილევიჩი, რეისი (ბიზაცკი 62)

მსაჯი: ზორან არსიჩი (იუგოსლავია)

8 000 მაყურებელი

პირველ ტაიმში მასპინძლებს სტუმრები სჯობდნენ, ორიოდ მომენტიც შექმნეს, მაგრამ ვერ გამოიყენეს — უნგრელთა მეკარემ, გაბორ კირალიმ რადოსლავ გილევიჩსა და იაცეკ კრჟინოვიკს არ გაატანინა.

უნგრეთი, რომელმაც თებერვალში ავსტრიასთან 0:3 წააგო, შესვენების შემდეგ უფრო აგრესიული გახდა, თუმცა გოლის გატანის რეალური შანსი ვერ შექმნა. თამაშის ბოლოს სურათი ისევ პოლონელთა სასარგებლოდ შეიცვალა, მაგრამ... საათებს თუ დავითვლით, მათ აგვისტოში, ესპანეთის კარში გატანის შემდეგ ცხრა საათია მეტოქის კარი არ დაულაშქრავთ.

### ბელგია 2:2 ჰოლანდია

1:0 ვერჰეინი (13), 2:0 ე. მპენზა (25), 2:1, 2:2 კლუივერტი (32, 81)

გასულ სექტემბერში ამ გუნდებმა 5:5 წაიმხანაგურეს, ამჯერად ორ-ორ გოლსაც დაყაბულდნენ, თუმცა ამათი თამაში რომ მთლად ამხანაგური ვერ გამოვიდოდა, ყველას მოეხსენება — იტალიელ მსაჯს ხუთჯერ მოუხდა ყვითელი ბარათის ჩვენება. სტუმრებმა კლუივერტის ორი გოლით შეინარჩუნეს პრესტიჟი, ბელგიელებმა კი პირველი ტაიმი ითამაშეს ჩინებულად. „ჩვენი ფეხბურთელები მატჩის მიწურულისთვის ერთობ დაღლილები ჩანდნენ, თუმცა სულისკვეთება შეინარჩუნეს, რითაც კმაყოფილი ვარ. ეს მატჩი ჩვენი ხასიათის სიმტკიცის მორიგი გამოცდა გახლდათ“ — განაცხადა ბელგიელთა მწვრთნელმა რობერტ ვასეიგმა.

### შოტლანდია 0:2 საფრანგეთი

0:1 ვილტორდი (54), 0:2 ანრი (88)

ტიერი ანრიმ ბოლო რვა თამაშში მეშვიდედ შეაგდო და ალბათ, საბოლოოდ დაიმკვიდრა ადგილი როჟე ლემერის გუნდში. 65 მილიონი გირვანქის წყალობით განახლებულ და გალამაზებულ „ჰემპდენ პარკზე“ სქოთებმა მეორე წუთზევე შეაგდეს, თუმცა მსაჯმა შენიშნა, რომ კევინ გალაჰერმა დარტყმამდე ბურთი ხელით გაისწორა და ცხადია, გოლი არ ჩათვალა. აი, ანრის გოლი კი ბრწყინვალე იყო. საგულისხმოა, რომ „არსენალის“ ფრანგმა ფორვარდმა შოტლანდიელი მცველი კოლინ ჰენდრი სამი დღის წინათაც გაამწარა, როცა მის „ქოვენთრისაც“ გაუტანა.

### პორტუგალია 2:1 დანია

0:1 იონ დალ ტომასონი (3), 1:1 რუი კოშტა (413), 2:1 ფიგუ (50)

ბარსელონელი ლუიშ ფიგუს ჩინებულმა თამაშმა და 50-ე წუთზე გატანილმა საუცხოო გოლმა პორტუგალიის ნაკრების თორმეტმატჩიანი დაუმარცხებელი სერია გააგრძელა, რითაც მასპინძელთა მწვრთნელი უმბერტუ კუელიუ კმაყოფილი დარჩა — ვაგებდით, მაგრამ ბოლომდე ვიბრძოლეთ და მოვიგეთ კიდეც. გახარებული ვარ, თუმცა ნაკლიც არაერთი შევნიშნე და ვეცდებით, ევროპის ჩემპიონატამდე ბევრი რამ გამოვასწოროთ.

ცხადია, ასეთივე განწყობა არ შეინიშნებოდა სტუმართა რიგებში. პიტერ შმაიხელმა, ვინც ლისაბონის „სპორტინგის“ კარს იცავს და სტუმარი ძნელად თუ ეთქმოდა, წაგება ასე ახსნა: ჩვეულად ვერ ვითამაშეთ. ხანგრძლივმა შესვენებამ ჩვენ გუნდს კვალი დაატყო, რაც ორივე ტაიმის ბოლო 20 წუთში გამოვლინდა. განსაკუთრებით ნახევარდაცვა მოიკოჭლებდა. ასე რომ, წინ დიდი სამუშაო გველის, ევროპის ჩემპიონატი ხომ კარს მოგვადგა. იქაც თუ ასე ვითამაშეთ, ვერაფერს მივაღწევთ.

### ავსტრია 1:1 შვედეთი

1:0 ფლოგელი (17), 1:1 პეტერსონი (86)

შვედებს აქამდე 13-ჯერ ჰქონდათ მოგებული ავსტრიაში, მაგრამ ამჯერად ფრეც ძლივს გაახერხეს იორგენ პეტერსონის გვიანი გოლით. გრაცში ისეთი თავსხმა წვიმა იყო, შესვენებაზე მატჩის გაგრძელებაც კი ეჭვქვეშ დადგა. „ბურთს ვურტყამდი თუ ლიტრ წყალს ვერ გავარჩიე“ — დაიწუწუნა ავსტრიელთა ნახევარმცველმა ანდრეას ჰერცოგმა. ჩაეშალათ მატჩი და შვედებიც კმაყოფილნი დარჩებოდნენ — მათი ნახევარმცველი სტეფან შვარცი ისე დაშავდა, ხუთი თვე მოედანს ველარ გაეკარება, შესაბამისად, ევროპის ჩემპიონატსაც გამოტოვებს.

„ძალზე ძნელი იყო ასეთ მოედანზე თამაში. სანახავი არაფერი იყო“ — სტუმართა მწვრთნელმა ლარს ლაგერბაკმა ჟურნალისტებს მოკლედ მოუჭრა. ერთადერთი, ვისაც ამ შეხვედრისგან სასიამოვნო მოგონება შერჩება, ავსტრიის ნაკრებისა და შოტლანდიური „ჰართსის“ ნახევარმცველი თომას ფლოგელია: ექვსწლიანი შესვენების შემდეგ ეროვნულ გუნდს დაუბრუნდა, თანაც პირველი სანაკრებო გოლიც შეაგდო. „პირობები, ცხადია, ცუდი გახლდათ, მაგრამ მე შოტლანდიაში ვთამაშობ და ასეთი ამინდით ვერ გამაკვირვებთ“ — თქვა ფლოგელმა.

### ხორვატია 1:1 გერმანია

0:1 რემერი (12), 1:1 ნ. კოვაჩი (70)

ზაგრებშიც, გრაცის დარად, გადაუღებლად წვიმდა. შესაბამისად, ეს მატჩიც 1:1 დამთავრდა. ჯერ გერმანელები დაწინაურდნენ, როცა მარკო რემერმა უიშვიათესი თაურით მასპინძელთა ჭაბუკი მეკარე დაამარცხა, მეორე ტაიმში კი ხორვატებმა მეტოქე თამაშგარეს შექმნისას გამოიჭირეს და „ჰამბურგში“ მოთამაშე ნიკო კოვაჩმა გაქვითა. „სასიხარულოა, რომ ამ უძნელეს პირობებში გათანაბრება შევძელით“ — ხარობდა გოლის ავტორის ძმა რობერტ კოვაჩი, ვინც ლევერკუზენის „ბაიერში“ გამოდის.

### ბულგარეთი 4:1 ბელარუსი

1:0 ტოდოროვი (23), 2:0 დონკოვი (42), 2:1 სკრიპჩენკო (57), 3:1 ი. პეტკოვი (62), 4:1 ს. პეტროვი (80)

1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მერე კრასიმირ ბალაკოვს ეროვნულ გუნდში აღარ უთამაშია. და აი, თავის 34-ე დაბადების დღეს „შტუტგარტის“ ნახევარმცველმა 70-ედ მოირგო ეროვნული მაისურა და ორმაგი იუბილე ბელარუსთა ძლევით აღნიშნა.

### უელსი 1:2 ფინეთი

0:1 ლიტმანენი (21), 0:2 ბლეიკი (42ს.კ.), 1:2 გიგზი (60)

ათასწლეულის სტადიონზე მასპინძლებმა მარცხი განიცადეს, თუმცა ორი რამ მაინც აღსანიშნავი დარჩათ: იაფი ბილეთებისა თუ სხვა რამის გამო, შეხვედრას 66 500 კაცი დაესწრო, რაც უელსის ნაკრების ისტორიაში სარეკორდო მაჩვენებელია. და მეორეც — რაიან გიგზი პირველად გაისარჯა თავისი ქვეყნისთვის ამხანაგურ მატჩში და ეს ბრწყინვალე სოლო გოლით აღნიშნა. შეაგდო უელსელთა მეორე თავდასხმელმა ნათან ბლეიკმაც, თუმცა ამან საკუთარი მეკარე გაამწარა.

### ჩეხეთი 3:1 ავსტრალია

1:0 ფუკალი (9), 2:0 კოლერი (52), 3:0 ულიხი (66), 3:1 ფოსტერი (89)

### ბოსნია 1:0 მაკედონია

1:0 კონჯიჩი (88)

### შვეიცარია 2:2 ნორვეგია

0:1 სოლბაკენი (32), 1:1 შაპუიზა (56), 1:2 სკამელსრუდი (733), 2:2 კანტალუპი (74)



REUTERS ბრიუსელიდან

ბელგია — ჰოლანდია 2:2. სტუმარი ფილიპ კოკუ ბურთს შესწვდა, გერტ ვერჰეინი კი ვერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორი ქართველი ევროპის ნაკრებში

„დასავლეთ გერმანიის ნაკრებს მეტი მაღალი კლასის ოსტატი ჰყავს, ვიდრე საბჭოელებს: ბეკენბაუერი, მიულერი, ნეცერი, ვიმერი და ბრაიტნერი შეუდარებლები არიან. რუსებს კი გამოსარჩევი მეკარე რუდაკოვი და კაპიტანი ხურცილავა ჰყავდათ, რომელიც თანაგუნდელებს ერთთავად შეტევისკენ მოუწოდებდა და ორჯერ სახიფათოდაც დაარტყა" — წერდნენ გფრ-სსრკ-ის ფინალური მატჩის შემდეგ ფრანგები.

„დღეს გერმანელებს პიკი აქვთ. ეს გუნდი გაცილებით სჯობია იმას, რომელმაც 1954 წელს მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა. მაშინდელი წარმატება გარკვეულწილად შემთხვევის ამბავი გახლდათ, ახლა კი ყველაფერი კანონზომიერია" — კვერი დაუკრეს ინგლისელებმა.

მართლაც 1972 წელს დასავლეთ გერმანელებს ფანტასტიკური გუნდი ჰყავდათ. ბევრი ევროპელი სპეციალისტი დღესაც მიიჩნევს, რომ იგი გერმანიის ისტორიაში საუკეთესო ნაკრები იყო. იმაზე უკეთესიც კი, რომელმაც ორი წლის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა...

ფინალში საბჭოელთა 3:0 დამარცხება ყველამ ლოგიკურად მიიჩნია, გარდა, ცხადია, საბჭოთა ჩინოვნიკებისა. მოსკოვში დაბრუნებულ ფეხბურთელებს არაერთი მწარე სიტყვის მოსმენა მოუხდათ, რომლებიც უსამართლო და დილეტანტური გახლდათ, რადგან მაშინ გერმანიის მომგები მართლაც არავინ იყო და ვერცხლის მედლები საბჭოელთათვისაც და ნებისმიერი კონტინენტური ნაკრებისთვისაც შესაძლებლობის მაქსიმუმად შეგვეძლო მიგვეჩნია. მაგრამ სანამ ფინალამდე მივალთ, ჯერ ის ამბები მოვყვეთ, რაც მანამდე მოხდა. ტურნირი კი თითქმის ორ წელიწადს გაგრძელდა: — 1970-ის ოქტომბერში დაიწყო და 72-ის ივნისში დამთავრდა.

### დაარტყით პენალტები

საკვალიფიკაციო მატჩების დაწყებამდე, 1970 წლის მაისში, უეფამ ევროშეჯიბრებების გამართვის სტრუქტურაში რამდენიმე ცვლილება შეიტანა. კერძოდ, თუ პლეი ოფის ორივე მატჩი დამატებითი დროის გათვალისწინებით ფრედ დამთავრდებოდა, გამარჯვებულს მატჩისშემდგომი პენალტები გაარკვევდა და არა კენჭისყრა, როგორც ადრე ხდებოდა. უეფას მაღალჩინოსნებს კარგად ახსოვდათ ევროპის წინა ჩემპიონატზე მომხდარი ამბავი, როცა საბჭოთა კავშირის ნაკრები ნახევარფინალს წაუგებლად გამოეთიშა. გამარჯვებულის ბედი აგდებულმა მონეტამ გადაწყვიტა. ერთიც, მეტოქის მინდორზე გატანილი გოლის უპირატესობა მხოლოდ საკლუბო დონეზე გავრცელდა. ევროპის ჩემპიონატებზე კი ეს წესი შემდეგი გათამაშებიდან დაინერგა. და კიდევ, ამიერიდან გუნდებს მთელი მატჩის განმავლობაში ორი ფეხბურთელის შეცვლის უფლება მიეცათ.

### მიხიჩა ბესტისა და ჯაიჩის წინააღმდეგ

საბჭოთა ნაკრებში, როგორც ყოველთვის, ხშირად ცვლიდნენ მწვრთნელებს. ჯერ ვალენტინ ნიკოლაევი ნიკოლაი გულიაევმა შეცვალა, ბოლო მატჩებში კი ნაკრებს ალექსანდრ პონომარიოვი წვრთნიდა.

ქართველებიდან ამ ციკლში სამმა ფეხბურთელმა ითამაშა: გივი ნოდიამ, რევაზ ძოძუაშვილმა და მურთაზ ხურცილავამ. ეს უკანასკნელი ბოლო ოთხ მატჩში გუნდის კაპიტანიც გახლდათ.

საბჭოელები საკმაოდ ძლიერ შესარჩევ ჯგუფში მოხვდნენ. თუ აშკარა მაჩანჩალა კვიპროსს არ ჩავთვლით, ესპანეთიცა და ჩრდილოეთ ირლანდიაც ერთობ სოლიდური გუნდები იყვნენ. საბჭოეთში ყველაზე დიდი აჟიოტაჟი 1971 წლის 22 სექტემბერს მოსკოვში ბრიტანელების, უფრო ზუსტად, ჯორჯ ბესტის სტუმრობამ გამოიწვია. ჩრდილოირლანდიელებს შემადგენლობაში სხვა ძლიერი ფეხბურთელებიც ჰყავდათ, თუნდაც დუგანი ვახსენოთ, მაგრამ ბესტი სულ სხვა გახლდათ. საბჭოთა და მათ შორის ქართველ ქომაგსაც მისი თამაში ცოცხლად არ ენახა, მხოლოდ არასრულყოფილი კინოფრაგმენტებით იცნობდნენ. მაყურებელი არ მოტყუებულა, ბესტმა რამდენჯერმე თავისებურად გაიბრწყინა, ოღონდ მხოლოდ რამდენჯერმე. მიზეზი? მას ჩინებულად სდარაჯობდა საბჭოთა ნაკრების მარჯვენა მცველი რევაზ ძოძუაშვილი. „მიხიჩამ" სპეციალისტებისგან უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. ეს მატჩი მის კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესოა. ამას წინათ ვთხოვე, იმ თამაშის ამბავი გაიხსენეთ-მეთქი. წვრილმანებიც კი ახსოვდა: რამდენიმე თვე საგანგებოდ ვემზადებოდი ბესტის წინააღმდეგ სათამაშოდ, მის სისწრაფესა და დრიბლინგის სტილს ვაკვირდებოდი და ამან ნაყოფი გამოიღო, მოსკოვში „მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავ-ფორვარდს ვაჯობეო — მითხრა ბატონმა რეზომ. ის თამაში საბჭოელებმა 1:0 მოიგეს.

შემდეგ იყო უძნელესი მატჩი სევილიაში ესპანელების წინააღმდეგ. წაგების შემთხვევაში საბჭოელების მეოთხედფინალში გასვლა სათუო ხდებოდა. 41 ათასამდე მაყურებელმა ფეხბურთის მაგიერ ნამდვილი ბრძოლა იხილა. პირველიდან ბოლო წუთამდე თერთმეტივე თეთრმაისურიანი (საბჭოთა) მოთამაშე მასპინძელთა გააფთრებულ შეტევებს იგერიებდა. მატჩის გმირი კი კიევის „დინამოს" მეკარე ევგენი რუდაკოვი გახდა. რამდენჯერმე მან რაღაც ფანტასტიკური რეაქცია გამოავლინა და გოლი არ გაუშვა. მისი თანაგუნდელი ვიქტორ კოლოტოვი იხსენებდა: „ჩემმა გამოუცნობმა მეგობარმა სასწაულები გააკეთა. გამოუცნობია იმიტომ, რომ ხანდახან გაგაკვირვებდა ისეთ იოლ ბურთს გაუშვებდა. აი, გადამწყვეტ მატჩებში კი საიმედო იყო. ჩვენ კი ნამატჩევს მისი გვერიდებოდა. ვერც მცველებმა ივარგეს და თავდასხმა ხომ საერთოდ არ გვყავდა". იმ თამაშში გოლი არ გასულა და საბჭოელებიც მეოთხედფინალში მოხვდნენ, სადაც იუგოსლავიელებს უნდა შებმოდნენ (სხვათა შორის, ესპანეთთან მატჩის შთაბეჭდილებით რუდაკოვი იმ წელს ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს).

იუგოსლავიელები მოწინააღმდეგით, ცხადია, უკმაყოფილონი იყვნენ. საბჭოელებთან თამაში მათ ყოველთვის უჭირდათ. მწვრთნელი ვუიადინ ბოშკოვი (ეს კაცი დღესაც იუგოსლავიის ნაკრების მთავარი მწვრთნელია) ბუზღუნებდა, რუსები არც თვითონ თამაშობენ და არც სხვას ათამაშებენო. მართალიც იყო, სსრკ-ის ნაკრების თავდასხმა ბოლო დროს ერთობ უფერულად მოქმედებდა და ამ ხარვეზის აღმოფხვრას დაცვის აქტიურობით ცდილობდნენ. დაცვის საყრდენი მოთამაშეები კი ქართველები, კაპიტანი ხურცილავა და ძოძუაშვილი იყვნენ. „მიხიჩამ" ბელგრადშიც ბრწყინვალედ შეასრულა ამოცანა — ლამის ბურთი არ მიალებინა იუგოსლავიელთა მთავარ ფიგურას დრაგან ჯაიჩს. აქაც უგოლო ფრე. ორი კვირის შემდეგ მოსკოვში საბჭოელებმა კოლოტოვის, ბანიშევსკისა და კოზინკევიჩის გოლებით 3:0 სძლიეს ბოშკოვის შეგირდებს და ფინალურ ეტაპზე, ანუ ოთხეულში თამაშის უფლება ზედიზედ მეოთხედ მოიპოვეს. ასეთი შედეგი მანამდე ერთ კონტინენტურ გუნდსაც არ ეჩვენებინა.

### საუკუნის დაპირისპირება: ინგლისი-გერმანია

ამ ზაფხულს ინგლისი და გერმანია ევროპის ჩემპიონატზე შეხვდებიან ერთმანეთს. მერე, ოქტომბერში, მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს გამართავენ „უემბლიზე". ეს იქნება ინგლისის ნაკრების ბოლო თამაში ლეგენდარულ სტადიონზე. მეორე დღეს „უემბლის" დანგრევას და ახლის შენებას დაიწყებენ. ალბათ სიმბოლურია, რომ ძველი „უემბლის" მინდორზე ბოლოს ეს ნაკრებები გავლენ. ინგლისი და გერმანია, ოდინდელი მეტოქეები, მათ დაპირისპირებას ათწლეულების ისტორია აქვს. ჰოდა, რაღა გასაკვირია, როცა 1972 წლის ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში ესენი ერთმანეთს შეხვდნენ, პრესამ ნაადრევ ფინალზე რომ დაიწყო ლაპარაკი. გაიხსენეს, რომ ინგლისმა გერმანიას ბოლოს ექვსი წლის წინათ 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მოუგო. შემდეგ ისინი კიდევ ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ორჯერვე გერმანელებმა იმარჯვეს ჰანოვერში, ამხანაგურ მატჩში და მექსიკის 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე.

ამჯერად ძალები მართლაც არათანაბარი იყო. „უემბლიზე" ჰელმუტ შიონის გუნდმა 3:1 მოუგო ალფ რამსეის შეგირდებს. რამსეი მოხიბლული დარჩა გერმანელთა უნიჭიერესი ფეხბურთელის, „მიონხენგლადბახის" პლეიმეიკერის გიუნტერ ნეცერის თამაშით. იმ საღამოს ნეცერმა თვით ფრანც ბეკენბაუერსაც კი აჯობა.

გფრ-მ „უემბლიზე" 3:1 მოიგო. საპასუხო მატჩი დასავლეთ ბერლინში უგოლოდ მორჩა, გერმანია ნახევარფინალში გავიდა, ინგლისი და ალფ რამსეი კი კრიტიკის ქარცეცხლში მოექცნენ. რაღას არ უწოდებდა მათ ბრიტანული პრესა — „ჩამორჩენილებს", „მოსწავლეებს", „რამსეის მხდალ არმიას". „სანდი თაიმზი": „დამარცხება არაფერია, ცუდი ისაა, რომ ინგლისელებმა ტრადიციული მებრძოლი სული და ხასიათის სიმტკიცე დაკარგეს. უნებისყოფობა, აი, რა არის ყველაზე საშინელი რამსეის გუნდში". ასეთი განწყობა დიდხანს არ გაგრძელებულა, მალე გერმანელებმა ევროპის ჩემპიონობა მოიპოვეს, თანაც მათი ლაღი, შემტევი ფეხბურთი ყველას აოგნებდა. ინგლისელებიც მიხვდნენ, რომ იმდროისათვის მსოფლიოს საუკეთესო გუნდთან დამარცხდნენ.

### ცა და დედამიწა

ფინალური „ოთხგუნდა" ბელგიაში გაიმართა და მოულოდნელობა არ მომხდარა. გერმანელები დანარჩენ სამზე გაცილებით ძლიერები იყვნენ, რაც ფინალურ მატჩშიც დამტკიცდა. მანამდე, ნახევარფინალში შიონის გუნდმა კერკეტი მასპინძელი ბელგია დაამარცხა (2:1), გადამწყვეტ მატჩში კი „საბჭოთა მანქანა" გააცამტვერა. საბჭოელებმა ფინალამდე სამი კვირით ადრეც გამოსცადეს გერმანელების ძალა და როგორც შემდეგ ამბობდნენ, ბრიუსელის „ეიზელის" მინდორზეც დაკომპლექსებულები გავიდნენ. საქმე ისაა, რომ მაისის ბოლოს მიუნხენში „ოლიმპიაშტადიონი" გაიხსნა და ამ საზეიმო საღამოს გერმანელებმა საბჭოელებს 4:1 მოუგეს: „მიუნხენის თამაშში მეტოქემ ჩვენებს სისწრაფეშიც, ტექნიკაშიც და ტაქტიკაშიც აჯობა. ამ გუნდებს შორის ძალიან დიდი სხაობაა" — წერდა გაზეთი „ფუტბოლი". სამი კვირაც და: „ახლა, როცა დრო გავიდა, კარგად ვხვდებით, რომ გერმანელების დამარცხების არანაირი შანსი არ გვქონდა. მოწინააღმდეგემ ყველაფერში გვაჯობა. მათ უამრავი მომენტი ჰქონდათ, ჩვენ კი... ძოძუაშვილის დარტყმა, რომელიც მეკარე მაიერმა ძლივს მოიგერია და ხურცილავას მიერ შეზანზარებული ხარიხა. ეს იყო და ეს. მაგრამ ისინი ხომ მცველები არიან. თავდამსხმელთაგან ბაიდაჩნიმ ერთხელ მოახერხა ბურთისთვის თავი წაეკრა, მაგრამ უხეიროდ გამოუვიდა. ვერაფერს იტყვი, ფინალის შემდეგ ჩვენმა ვერცხლის მედლებმა ელვარება დაკარგა" — ამას უკვე „სოვეტსკი სპორტი" წერდა.

მართლაც დიდი გუნდი ჰყავდა მაშინ გერმანიას და ლოზუნგი AUF GEHT'S DEUTSCHLAND! (აღორძინდი გერმანიავ) მათზე ზედგამოჭრილია. 1972-ში გერმანელები პირველად გახდნენ ევროპის ჩემპიონები.

ორი ქართველი მცველი კი ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს, რომელიც ძირითადად ფინალური მატჩის მონაწილეებისგან შედგა: *რუდაკოვი, ძოძუაშვილი, ხურცილავა (ყველა სსრკ), ბეკენბაუერი, ბრაიტნერი, ჰაინკესი, ვიმერი, ნეცერი (ყველა — გფრ), ლამბერი (ბელგია), უ. ჰიონესი, გ. მიულერი (ორივე გფრ).*

## AUF GEHT'S DEUTSCHLAND!



სარბიელის არქივიდან

ფინალი. 1972 წლის 18 ივნისი. გფრ — სსრკ 3:0. გიუნტერ ნეცერი (ბურთით) გერმანელთა დიდებულ გუნდშიც გამოირჩეოდა



სარბიელის არქივიდან

ფინალი. 1972 წლის 18 ივნისი. გფრ — სსრკ 3:0. ტურნირის საუკეთესო ბომბარდირმა გერდ მიულერმა გადამწყვეტ მატჩში საბჭოელებსაც ორი ბურთი გაუტანა

## შესარჩევი ეტაპი

### I ჯგუფი

ჩეხოსლოვაკია — ფინეთი 1:1; რუმინეთი — ფინეთი 3:0; უელსი — რუმინეთი 0:0; უელსი — ჩეხოსლოვაკია 1:3; ჩეხოსლოვაკია — რუმინეთი 1:0; ფინეთი — უელსი 0:1; ფინეთი — ჩეხოსლოვაკია 0:4; ფინეთი — რუმინეთი 0:4; უელსი — ფინეთი 3:0; ჩეხოსლოვაკია — უელსი 1:0; რუმინეთი — ჩეხოსლოვაკია 2:1; რუმინეთი — უელსი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 11:2 | 9 |
| ჩეხოსლოვაკია | 6 | 4 | 1 | 1 | 11:4 | 9 |
| უელსი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:6 | 5 |
| ფინეთი | 6 | 0 | 1 | 5 | 1:16 | 1 |

### II ჯგუფი

ნორვეგია — უნგრეთი 1:3; საფრანგეთი — უნგრეთი 3:1; ბულგარეთი — ნორვეგია 1:1; უნგრეთი — საფრანგეთი 1:1; ბულგარეთი — უნგრეთი 3:0; ნორვეგია — ბულგარეთი 1:4; ნორვეგია — საფრანგეთი 1:3; უნგრეთი — ბულგარეთი 2:0; საფრანგეთი — უნგრეთი 0:2; უნგრეთი — ნორვეგია 4:0; საფრანგეთი — ბულგარეთი 2:1; ბულგარეთი — საფრანგეთი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნგრეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 12:5 | 9 |
| ბულგარეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 11:7 | 7 |
| საფრანგეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 10:8 | 7 |
| ნორვეგია | 6 | 0 | 1 | 5 | 5:18 | 1 |

### III ჯგუფი

მალტა — საბერძნეთი 1:1; საბერძნეთი — შვეიცარია 0:1; მალტა — შვეიცარია 1:2; მალტა — ინგლისი 0:1; შვეიცარია — მალტა 5:0; ინგლისი — საბერძნეთი 3:0; ინგლისი — მალტა 5:0; შვეიცარია — საბერძნეთი 1:0; საბერძნეთი — მალტა 2:0; შვეიცარია — ინგლისი 2:3; ინგლისი — შვეიცარია 1:1; საბერძნეთი — ინგლისი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 6 | 5 | 1 | 0 | 15:3 | 11 |
| შვეიცარია | 6 | 4 | 1 | 1 | 12:5 | 9 |
| საბერძნეთი | 6 | 1 | 1 | 4 | 3:8 | 3 |
| მალტა | 6 | 0 | 1 | 5 | 2:16 | 1 |

### IV ჯგუფი

ესპანეთი — ჩრდ. ირლანდია 3:0; კვიპროსი — სსრკ 1:3; კვიპროსი — ჩრდ. ირლანდია 0:3; ჩრდ. ირლანდია — კვიპროსი 5:0; კვიპროსი — ესპანეთი 0:2; სსრკ — ესპანეთი 2:1; სსრკ — კვიპროსი 6:1; სსრკ — ჩრდ. ირლანდია 1:0; ჩრდ. ირლანდია — სსრკ 1:1; ესპანეთი — სსრკ 0:0; ესპანეთი — კვიპროსი 7:0; ჩრდ. ირლანდია — ესპანეთი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრკ | 6 | 4 | 2 | 0 | 13:4 | 10 |
| ესპანეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 14:3 | 8 |
| ჩრდ. ირლანდია | 6 | 2 | 2 | 2 | 10:6 | 6 |
| კვიპროსი | 6 | 0 | 0 | 6 | 2:26 | 0 |

### V ჯგუფი

დანია — პორტუგალია 0:1; შოტლანდია — დანია 1:0; ბელგია — დანია 2:0; ბელგია — შოტლანდია 3:0; ბელგია — პორტუგალია 3:0; პორტუგალია — შოტლანდია 2:0; პორტუგალია — დანია 5:0; დანია — ბელგია 1:2; დანია — შოტლანდია 1:0; შოტლანდია — პორტუგალია 2:1; შოტლანდია — ბელგია 1:0; პორტუგალია — ბელგია 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 6 | 4 | 1 | 1 | 11:3 | 9 |
| პორტუგალია | 6 | 3 | 1 | 2 | 10:6 | 7 |
| შოტლანდია | 6 | 3 | 0 | 3 | 4:7 | 6 |
| დანია | 6 | 1 | 0 | 5 | 2:11 | 2 |

### VI ჯგუფი

ირლანდია — შვედეთი 1:1; შვედეთი — ირლანდია 1:0; ავსტრია — იტალია 1:2; იტალია — ირლანდია 3:0; ირლანდია — იტალია 1:2; შვედეთი — ავსტრია 1:0; ირლანდია — ავსტრია 1:4; შვედეთი — იტალია 0:0; ავსტრია — შვედეთი 1:0; იტალია — შვედეთი 3:0; ავსტრია — ირლანდია 6:0; იტალია — ავსტრია 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 6 | 4 | 2 | 0 | 12:4 | 10 |
| ავსტრია | 6 | 3 | 1 | 2 | 14:6 | 7 |
| შვედეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 3:5 | 6 |
| ირლანდია | 6 | 0 | 1 | 5 | 3:17 | 1 |

### VII ჯგუფი

ჰოლანდია — იუგოსლავია 1:1; ლუქსემბურგი — იუგოსლავია 0:2; გდრ — ჰოლანდია 1:0; ლუქსემბურგი — გდრ 0:5; ჰოლანდია — ლუქსემბურგი 6:0; იუგოსლავია — ჰოლანდია 2:0; გდრ — ლუქსემბურგი 2:1; გდრ — იუგოსლავია 1:2; ჰოლანდია — გდრ 3:2; იუგოსლავია — გდრ 0:0; იუგოსლავია — ლუქსემბურგი 0:0; ჰოლანდია — ლუქსემბურგი 8:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 6 | 3 | 3 | 0 | 7:2 | 9 |
| ჰოლანდია | 6 | 3 | 1 | 2 | 18:6 | 7 |
| გდრ | 6 | 3 | 1 | 2 | 11:6 | 7 |
| ლუქსემბურგი | 6 | 0 | 1 | 5 | 1:23 | 1 |

### VIII ჯგუფი

პოლონეთი — ალბანეთი 3:0; გფრ — თურქეთი 1:1; თურქეთი — ალბანეთი 2:1; ალბანეთი — გფრ 0:1; თურქეთი — გფრ 0:3; ალბანეთი — პოლონეთი 1:1; გფრ — ალბანეთი 2:0; პოლონეთი — თურქეთი 5:1; პოლონეთი — გფრ 1:3; ალბანეთი — თურქეთი 3:0; გფრ — პოლონეთი 0:0; თურქეთი — პოლონეთი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გფრ | 6 | 4 | 2 | 0 | 10:2 | 10 |
| პოლონეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 10:6 | 6 |
| თურქეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:13 | 5 |
| ალბანეთი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:9 | 3 |

*მოგებაზე გუნდებს ერიცხებოდათ 2 ქულა.*

მონაწილე: 32 გუნდი
სულ გაიმართა 109 მატჩი, გატანილია 292 ბურთი
საუკეთესო ბომბარდირი: გერდ მიულერი (გფრ) — 11 ბურთი
საშუალო დასწრება: 32 601 მაყურებელი



1972 წელს ფრანც ბეკენბაუერმა თავისი პირველი სანაკრებო ტიტული და ჯილდო, ევროპის თასი მოიპოვა

*სარბიელის არქივიდან*

## მეოთხედფინალი

### ინგლისი 1:3 გფრ

0:1 ჰიონესი (26), 1:1 ლი (77), 1:2 ნეტცერი (843), 1:3 მიულერი (86)
ინგლისი: ბენქსი, მეიდლი, ჰიუზი, ბოლი, მური, ჰანტერი, ფ. ლი, ბელი, ჩივერსი, ჰერსტი (მარში 60), პიტერსი
მწვრთნელი: ალფ რამსეი
გფრ: მაიერი, ბრაიტნერი, ჰიოტგესი, ბეკენბაუერი, შვარცენბეკი, ჰიონესი, ჰელდი, ვიმერი, გ. მიულერი, ნეცერი, გრაბოვსკი
მწვრთნელი: ჰელმუტ შიონი
მსაჯი: ელი (საფრანგეთი)
29.04.72. ლონდონი. 100 000 მაყურებელი

### გფრ 0:0 ინგლისი

გფრ: მაიერი, ბრაიტნერი, ჰიოტგესი, ბეკენბაუერი, შვარცენბეკი, ფლოე, ვიმერი, ჰიონესი (ჰაინკესი 71), გ. მიულერი, ნეცერი, ჰელდი
მწვრთნელი: ჰელმუტ შიონი
ინგლისი: ბენქსი, მეიდლი, ჰიუზი, სთორი, მაკფარლანდი, მური, ბელი, ბოლი, ჩივერსი, მარში (სამერბი 46), ჰანტერი (პიტერსი 72)
მწვრთნელი: ალფ რამსეი
მსაჯი: გუგულოვიჩი (იუგოსლავია)
13.05.72. ბერლინი. 76 200 მაყურებელი

### იტალია 0:0 ბელგია

იტალია: ალბერტოზი, ბურგნიჩი, ფაკეტი, ბედინი, როზატო, სერა, დომენგინი (კაუზიო 46), მაცოლა, ანასტაზი, დე სისტი, რივა
მწვრთნელი: ფერუკო ვალკარეჯი
ბელგია: პიო, ეილენსი, ვან დენ დაელი, ტისენი, მარტენსი (დოლმანსი 53), ვან მური, ი. ვერჰეინი, დოკსი, სემელინგი, ლამბეი, ვან ჰიმსტი
მწვრთნელი: რაიმონდ გუტალსი
მსაჯი: ნიკოლოვი (ბულგარეთი)
29.04.72. მილანი. 63 549 მაყურებელი

### ბელგია 2:1 იტალია

1:0 ვან მური (23), 2:0 ვან ჰიმსტი (72), 2:1 რივა (863)
ბელგია: პიო, ეილენსი, ვან დენ დაელი, ტისენი, დოლმანსი, დოკსი, ი. ვერჰეინი, ვან მური (პოლენისი 46), სემელინგი, ლამბერი, ვან ჰიმსტი
მწვრთნელი: რაიმონდ გუტალსი
იტალია: ალბერტოზი, ბურგნიჩი, ფაკეტი, ბერტინი (კაპელო 46), სპინოზი, სერა, მაცოლა, ბენეტი, ბონისენა, დე სისტი, რივა
მწვრთნელი: ფერუკო ვალკარეჯი
მსაჯი: შილერი (ავსტრია)
13.05.72. ბრიუსელი. 26 561 მაყურებელი

### უნგრეთი 1:1 რუმინეთი

1:0 ბრანიკოვიჩი (11), 1:1 სეტმერიანუ (55)
უნგრეთი: გეცი, ფაბიანი, პანჩიჩი, ბალინტი, ვეპი, ლ. კოჩიში (ბენე 59), სიუჩი, ფაზეკაში, ბრანიკოვიჩი, ა. დუნაი, ზამბო
მწვრთნელი: რუდოლფ ილოვსკი
რუმინეთი: ნ. რადუკანუ, ლ. სეტმერიანუ, ნ. ლუპესკუ, დინუ, დელიანუ, დუმიტრუ, რ. ნუნვაილერი, ლუჩესკუ, დემბროვსკი, დომიდე, იორდანესკუ
მწვრთნელი: ანჯელო ნიკულესკუ
მსაჯი: სმიტი (ინგლისი)
29.04.72. ბუდაპეშტი. 68 585 მაყურებელი

### რუმინეთი 2:2 უნგრეთი

0:1 სეკე (6), 1:1 დობრინი (15), 1:2 კოჩიში (40), 2:2 ნიაგუ (80)
რუმინეთი: ნ. რადუკანუ, ლ. სეტმერიანუ, ნ. ლუპესკუ, დინუ, დელიანუ, დუმიტრუ, რ. ნუნვაილერი (ნიაგუ 61), დობრინი, დემბროვსკი (ლუჩესკუ 75), დომიდე, იორდანესკუ
მწვრთნელი: ანჯელო ნიკულესკუ
უნგრეთი: გეცი, ფაბიანი, პანჩიჩი, ბალინტი, პ. იუჰასი, ი. იუჰასი, ლ. კოჩიში (ა. დუნიაი 66), სიუჩი, სეკე (კიუ 61), ბენე, ზამბო
მწვრთნელი: რუდოლფ ილოვსკი
მსაჯი: ჩენჩერი (გფრ)
14.05.72. ბუქარესტი. 75 000 მაყურებელი

### უნგრეთი 2:1 რუმინეთი

1:0 კოჩიში (26), 1:1 ნიაგუ (31), 2:1 სეკე (89)
უნგრეთი: როტერმელი, ფაბიანი, პანჩიჩი, ბალინტი, პ. იუჰასი, ი. იუჰასი, ლ. კოჩიში, კიუ, სეკე, ბენე, ზამბო
მწვრთნელი: რუდოლფ ილოვსკი
რუმინეთი: ნ. რადუკანუ, ლ. სეტმერიანუ, ნ. ლუპესკუ, დინუ, დელიანუ (ჰელმეგიანუ 55), დუმიტრუ, რ. ნუნვაილერი, ნიაგუ, დობრინი, ლუჩესკუ, დომიდე (დემბროვსკი 46)
მწვრთნელი: ანჯელო ნიკულესკუ
მსაჯი: მიხასი (საბერძნეთი)
17.05.72. ბელგრადი. 32 130 მაყურებელი

### იუგოსლავია 0:0 სსრკ

იუგოსლავია: მარიჩი, რამლიაკი, სტეპანოვიჩი, პავლოვიჩი, პაუნოვიჩი, ჰოლცერი, ბ. იანკოვიჩი, ობლაკი, ბუკალი (ბაევიჩი 85), აჩიმოვიჩი, ჯაიჩი
მწვრთნელი: ვუიადინ ბოშკოვი
სსრკ: რუდაკოვი, ძოძუაშვილი, ხურცილავა, კაპლიჩნი, ისტომინი, მახოვიკოვი (ტროშკინი 62), დოლმატოვი, კონკოვი, ბაიდაჩნი, ბანიშევსკი, კოზინკევიჩი (ევრიუჟიხინი 75)
მწვრთნელი: ნიკოლაი გულიაევი
მსაჯი: შოირერი (შვეიცარია)
30.04.72. ბელგრადი. 80 000 მაყურებელი

### სსრკ 3:0 იუგოსლავია

1:0 კოლოტოვი (53), 2:0 ბანიშევსკი (74), 3:0 კოზინკევიჩი (90)
სსრკ: რუდაკოვი, ძოძუაშვილი, ხურცილავა, აბრამოვი, ისტომინი, კოლოტოვი, ტროშკინი, კონკოვი, ბაიდაჩნი (კოპეიკინი 66), ბანიშევსკი, ევრიუჟიხინი (კოზინკევიჩი 46)
მწვრთნელი: ნიკოლაი გულიაევი
იუგოსლავია: მარიჩი, რამლიაკი, სტეპანოვიჩი, პავლოვიჩი, პაუნოვიჩი, ჰოლცერი (პეტკოვიჩი 56), ანტონიევიჩი, ობლაკი (ი. ერკოვიჩი 73), ბ. იანკოვიჩი, აჩიმოვიჩი, ჯაიჩი
მწვრთნელი: ვუიადინ ბოშკოვი
მსაჯი: ანგონეზე (იტალია)
13.05.72. მოსკოვი. 100 000 მაყურებელი

## ნახევარფინალი

### სსრკ 1:0 უნგრეთი

1:0 კონკოვი (53)
სსრკ: რუდაკოვი, ძოძუაშვილი, ხურცილავა, კაპლიჩნი, ისტომინი, კოლოტოვი, ტროშკინი, კონკოვი, ბაიდაჩნი, ბანიშევსკი (გ. ნოდია 68), ონიშჩენკო
მწვრთნელი: ალექსანდრ პონომარიოვი
უნგრეთი: გეცი, ფაბიანი, პანჩიჩი, ბალინტი, პ. იუჰასი, ი. იუჰასი, ლ. კოჩიში (ალბერტი 60), კიუ, სეკე, ბენე (ა. დუნიაი 60), ზამბო
მწვრთნელი: რუდოლფ ილოვსკი
მსაჯი: გლეხნერი (გდრ)
14.06.72. ბრიუსელი. 30 000 მაყურებელი

### ბელგია 1:2 გფრ

0:1, 0:2 მიულერი (24, 71), 1:2 პოლენისი (84)
ბელგია: პიო, ეილენსი, დოკსი, დოლმანსი, ტისენი, მარტენსი (პოლენისი 46), ვან დენ დაელი, ი. ვერჰეინი, ლამბერი, ვან ჰიმსტი, სემელინგი
მწვრთნელი: რაიმონდ გუტალსი
გფრ: მაიერი, ჰიოტგესი, ბრაიტნერი, ბეკენბაუერი, შვარცენბეკი, ვიმერი, ჰაინკესი, ჰიონესი (გრაბოვსკი 59), გ. მიულერი, ნეცერი, ე. კრამერსი
მწვრთნელი: ჰელმუტ შიონი
მსაჯი: მალენი (შოტლანდია)
14.06.72. ანტვერპენი. 55 669 მაყურებელი

## მატჩი მე-3 ადგილისთვის

### ბელგია 2:1 უნგრეთი

1:0 ლამბერი (23), 2:0 ვან ჰიმსტი (28), 2:1 კიუ (51)
ბელგია: პიო, ეილენსი, დოკსი, დოლმანსი, ტისენი, პოლენისი, ვან დენ დაელი, ი. ვერჰეინი, ლამბერი, ვან ჰიმსტი, სემელინგი
მწვრთნელი: რაიმონდ გუტალსი
უნგრეთი: გეცი, ფაბიანი, პანჩიჩი, ბალინტი, პ. იუჰასი, ი. იუჰასი, ა. დუნიაი, კიუ, კოზმა, ალბერტი, ზამბო (სიუჩი 46)
მწვრთნელი: რუდოლფ ილოვსკი
მსაჯი: ბუსტრემი (შვედეთი)
17.06.72. ლიეჟი. 6 184 მაყურებელი

## ფინალი

### გფრ 3:0 სსრკ

1:0 მიულერი (27), 2:0 ვიმერი (51), 3:0 მიულერი (58)
გფრ: მაიერი, ჰიოტგესი, ბრაიტნერი, ბეკენბაუერი, შვარცენბეკი, ვიმერი, ჰაინკესი, ჰიონესი, გ. მიულერი, ნეცერი, ე. კრემერსი
მწვრთნელი: ჰელმუტ შიონი
სსრკ: რუდაკოვი, ძოძუაშვილი, ხურცილავა, კაპლიჩნი, ისტომინი, კოლოტოვი, ტროშკინი, კონკოვი (დოლმატოვი 46), ბაიდაჩნი, ბანიშევსკი (კოზინკევიჩი 63), ონიშჩენკო
მწვრთნელი: ალექსანდრ პონომარიოვი
მსაჯი: მარშალი (ავსტრია)
18.06.72. ბრიუსელი. 43 437 მაყურებელი

*ფინალური ეტაპი ჩატარდა ბელგიაში*



*სარბიელის არქივიდან*

1972 წლის ევროპის ჩემპიონი გფრ-ის ნაკრები. მარცხნიდან: ბეკენბაუერი, მაიერი, შვარცენბეკი, ჰაინკესი, ნეცერი, ვიმერი, მიულერი, ჰიოტგესი, კრემერსი, ბრაიტნერი, ჰიონესი

# წაგება გეგმის მიხედვით

### როგორ ადგენდნენ რეიტინგს

ევროპის მეხუთე ჩემპიონატის გამართვის სისტემა წინამორბედის ანალოგიური გახლდათ. არც მონაწილე ქვეყნების რაოდენობა შეცვლილა. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ 1972 წელს უარნათქვამი ალბანეთი ამჯერად ისლანდიამ შეცვალა. თუმცა ერთმა საკითხმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. კერძოდ, უეფამ გადაწყვიტა, ეგრეთ წოდებული „სიკვდილის ჯგუფების“ არსებობა გამოერიცხა და ფავორიტები განეთესა. კამათი სწორედ უძლიერესთა შერჩევის პრინციპმა წარმოშვა. უეფას წინადადება ასეთი იყო — ევროპის წინა ჩემპიონატის მეოთხედფინალისტებს, დასავლეთ გერმანიას, საბჭოთა კავშირს, ბელგიას, ინგლისს, რუმინეთს, იტალიას, უნგრეთსა და იუგოსლავიას, თავ-თავიანთ ჯგუფებში პირველი ნომრები დაეკავებინათ და დანარჩენებს მეორე კალათიდან ეყარათ კენჭი. მაგრამ წინა ჩემპიონატიდან ორი წელი იყო გასული (წილისყრა 1974 წლის 16 იანვარს პარიზში გაიმართა), ამ ორ წელიწადში კი ევროპაში ძალთა გადანაწილება რამდენადმე შეიცვალა. უნგრეთი და რუმინეთი სერიოზულ ძალას უკვე აღარ წარმოადგენდნენ. სამაგიეროდ, საფეხბურთო ელიტაში ჰოლანდია და პოლონეთი, ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე და მესამეადგილოსნები, შევიდნენ. იქნებ განთესვისას ევროპის გარდა მსოფლიოს ჩემპიონატის შედეგებიც გაეთვალისწინებინათ? არა, უეფა გაჯიუტდა და თავისი ვარიანტი გაიტანა. შედეგად ერთ ჯგუფში მოხვდნენ: იტალია, ჰოლანდია, პოლონეთი და ფინეთი. ფინელებზე ლაპარაკიც არ ღირს. აი, დანარჩენი სამიდან ორს კი ტურნირი ნაადრევად უნდა დაეტოვებინა.

თუმცა ოცდაექვსი წლის წინ არსებული უხეირო სისტემა რა მოსატანია, როდესაც დღეს რეიტინგების შედგენისას ურთულეს მათემატიკურ ფორმულებს იყენებენ, მაგრამ „სიკვდილის ჯგუფების“ გარეშე ერთი შეჯიბრიც არ ჩაივლის.

### პირველი — მომავალი ჩემპიონის ჯგუფი

წილისყრის შედეგად პირველ ჯგუფში ინგლისი, ჩეხოსლოვაკია, პორტუგალია და კვიპროსი მოხვდნენ. ბოლო ორი ნაკრები კარგი თამაშით ვერ დაიკვეხნიდა და მეოთხედფინალში გამსვლელ ერთადერთ ადგილს ინგლისი და ჩეხოსლოვაკია ეცილებოდნენ ერთმანეთს.

იმ დროისთვის ინგლისელებს სერ ალფ რამსეი აღარ ჰყავდათ, ის დონ რივიმ შეცვალა. ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს კი ვაცლავ ჟეჟკი ედგა სათავეში. ჟეჟკის სამწვრთნელო კარიერა მეტად უცნაურად წარიმართა. მან ნაკრები 1972 წელს ჩაიბარა და ზედიზედ ოთხი მატჩი წააგო. მომდევნო შვიდ შეხვედრაში კიდევ სამჯერ დამარცხდა და... თანამდებობა შეინარჩუნა. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ მისი მუშაობა დამაკმაყოფილებლად მიიჩნია.

დაიწყო ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპი. პირველი შეხვედრა — ინგლისმა „უემბლიზე“ ჩეხებს უმასპინძლა. ბრიტანელებმა 3:0 მოიგეს. საოცარია, რომ სპეციალისტთა აზრით, სტუმრები ინგლისელებს კლასით არ ჩამორჩებოდნენ და მათი დიდი ანგარიშით დამარცხება მაინც სტერეოტიპის ბრალი იყო — „უემბლიზე“ ჩასული გუნდები ინიციატივას ნებაყოფლობით თმობდნენ. და კიდევ ერთი საოცარი ფაქტი. ვაცლავ ჟეჟკი მოხსნას კვლავ გადაურჩა.

ინგლისელებს, წესით, პირველი ადგილის დაკავება აღარ უნდა გასჭირვებოდათ. თუმცა მათ მეორე ტურში პორტუგალიასთან წაიფორხილეს (მატჩი 0:0 დამთავრდა) და ჩეხებს იმედი მიეცათ.

კვიპროსმა ჯგუფში თამაში ისე დაასრულა, ერთი გოლიც არ გაუტანია. ამას სახელმწიფო გადატრიალებაც დაერთო. პრეზიდენტი მაკარიოსი ქვეყნიდან გაიქცა და კუნძულზე ანტითურქულმა და ანტინატოურმა განწყობამ იმძლავრა. შესაბამისად, კვიპროსი — ინგლისის მატჩი გადაიდო. ეს შეხვედრა 1975 წლის მაისში ჩატარდა და აღსანიშნავი ერთი რამის გამოა — მალკოლმ მაკდონალდმა ხუთი გოლი გაიტანა.

ჩეხოსლოვაკია — ინგლისის საპასუხო მატჩის დღეც დადგა. შეხვედრას ბრატისლავამ უმასპინძლა, რადგან ნაკრებში უმეტესად სლოვაკები თამაშობდნენ. სატურნირო მდგომარეობა მასპინძლებს აიძულებდა, მხოლოდ გამარჯვებისთვის ებრძოლათ — მათთვის ფრეც კი წაგების ტოლფასი გახლდათ. მაგრამ მატჩი არ შედგა. უფრო სწორად, დაწყებიდან 17 წუთში შეწყდა — სტადიონზე სქელი ნისლი ჩამოწვა. მეორე დღეს გადათამაშებაში ჩეხოსლოვაკიამ ნამდვილ ინგლისურ სტილში მოიგო — მასპინძლებმა ორივე გოლი თავით გაიტანეს.

შემდეგ კიდევ ერთი მოულოდნელობა მოხდა. ინგლისმა პორტუგალიასთან მეორედაც ფრედ ითამაშა და ჯგუფში პირველობა ვაცლავ ჟეჟკის გუნდს დაუთმო.

### სხვა ჯგუფები, ანუ რა არის 0:0

დანარჩენ ჯგუფებში იმათ იმარჯვეს, ვინც უფრო ძლიერები იყვნენ. ამ თვალსაზრისით მოულოდნელობები არ ყოფილა. თუმცა მეორე ჯგუფში უელსის გამარჯვება ბევრმა სენსაციად აღიქვა, უელსელებთან ერთად ხომ უნგრეთი და ავსტრია თამაშობდა. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ამ უკანასკნელთა ზეობის დროიდან მრავალმა წელმა ჩაიარა. ავსტრიელებს 30-იან წლებში ჰყავდათ დიდებული ნაკრები, ხოლო უნგრელებს — 50-იანებში. მას შემდეგ მართლაც დიდი დრო გასულა. ამიტომ უელსმა დამსახურებულად გაიმარჯვა, უნგრეთმა კი მხოლოდ ტიბორ ნილაშის მიერ ლუქსემბურგის კარში გატანილი ხუთი გოლით დაგვამახსოვრა თავი, რითაც ნილაშიმ მაკდონალდის რეკორდი გაიმეორა.

მეოთხე ჯგუფში ესპანეთი იყო საუკეთესო, თუმცა ცოტაც და დისკვალიფიკაცია არ ასცდებოდა. ესპანელებმა ჯერ დანია დაამარცხეს კოპენჰაგენში, შემდეგ შოტლანდია — გლაზგოში. ნათელი გახდა, რომ პირინეელებს კონკურენციას ვერავინ გაუწევდა, მაგრამ...

დანიელებმა უეფაში საჩივარი შეიტანეს, იქნებ გაარკვიოთ, რობერტო მარტინესს რა უფლებით ათამაშებენო. მარტინესი მოქალაქეობაშეცვლილი არგენტინელი გახლდათ, მაგრამ ამის დამადასტურებელი საბუთი არ არსებობდა. უეფამ საქმის გამოძიება დაიწყო. საინტერესოა, რომ ძიების დასრულებამდე მარტინესი ესპანეთის ნაკრებში არ მიუწვევიათ. ინციდენტი კი ასე დასრულდა — ესპანელებმა ფეხბურთელის საბუთები „აღმოაჩინეს“ და ევროპული ფეხბურთის ჩინოვნიკებსაც რაღა ეთქმოდათ. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ არგენტინელის გაესპანელების მოწმობა უკანა რიცხვით შეადგინეს, მაგრამ ასეა თუ ისე, ესპანეთი მეოთხედფინალში გავიდა.

მეხუთე — „სიკვდილის ჯგუფში“ გამარჯვება ჰოლანდიელებს დარჩათ, მარამ იტალიის ამბავიც საინტერესოა. პირველ შეხვედრაში ჰოლანდიამ იტალიას 3:1 მოუგო. სამი გოლის გაშვება ერთ მატჩში — „სკუადრა აძურა“ შეშფოთდა და მისმა მწვრთნელებმა ფულვიო ბერნარდინიმ და შემდეგ სახელოვანმა ენცო ბეარზოტიმ მთელი ყურადღება დაცვის გამაგრებაზე გადაიტანეს. შედეგი ერთის მხრივ ჩინებული აღმოჩნდა — დარჩენილ ხუთ შეხვედრაში იტალიას გოლი არ გაუშვია, მაგრამ რაღ გინდა, დაცვაში ჩამსხდრებმა შეტევა დაივიწყეს და ორად ორი ბურთის გატანა მოახერხეს. მათ საყვარელ ანგარიშად კი 0:0 იქცა.

### კიევის „დინამო“

გნებავთ, საბჭოთა კავშირის ნაკრები თქვით, გნებავთ, კიევის „დინამო“ — მნიშვნელობა არა აქვს, მაშინ ეს ერთი გუნდი იყო. თუმცა დავაზუსტოთ. 1974 წლის 30 ოქტომბერს ბესკოვისეულმა საკავშირო ნაკრებმა დუბლინში ირლანდიასთან 0:3 წააგო. გაივსო საბჭოური პრესა აღშფოთებული მშრომელების კოლექტიური წერილებით. სირცხვილიაო, ამბობდნენ. ქვეყნის ხელმძღვანელობამ ფეხბურთის ფედერაციას კონსტანტინ ბესკოვის ცვლა მოსთხოვა. ძველი მწვრთნელი ოლიმპიურ ნაკრებს ჩაუყენეს სათავეში, ახალი კი ვალერი ლობანოვსკი გახდა. 1986 წლის მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატის ამბავი გავიხსენოთ და რა გასაკვირია, რომ ვალერი ვასილიევიჩმა მთელ „დინამოს“ ნაკრებში უკრა თავი.

ფეხბურთელებს გაუჭირდათ. ისინი ერთდროულად ოთხ შეჯიბრში მონაწილეობდნენ — სსრკ-ს ჩემპიონატი, თასი, ევროტურნირები და ევროპის ჩემპიონატი. თვე-ნახევარში მათ 11 პრინციპული მატჩი გამართეს — ასეთი დატვირთვა გუნდებს დღესაც არა აქვთ. ლობანოვსკიმ, ვისაც ტერმინი „ტოტალური ფეხბურთი“ არ მოსწონდა და მას „სისტემურს“ უწოდებდა, 1975 წელს საკლუბო დონეზე უდიდეს წარმატებას მიაღწია, აი, სანაკრებოზე კი...

თუმცა ყველაფერი ჩინებულად დაიწყო. საბჭოთა კავშირის განახლებულმა ნაკრებმა ზედიზედ ოთხი შეხვედრა მოიგო და მეოთხედფინალის საგზური გაინაღდა. ბოლო მატჩი საბჭოელებს (კიეველებს) თურქეთთან სტუმრად ჰქონდათ. იქამდე ასე იყო — გუნდს ქულა სჭირდებოდა თუ არა, თამაში უნდა მოეგო, რადგან ამას პარტიული ხელმძღვანელობა მოითხოვდა. ლობანოვსკიმ გაბედა და ეს წესი დაარღვია. არაფრისმომცემ მატჩში მან შესუსტებული შემადგენლობა გაიყვანა და წააგო. რაც მთავარია, ის არ დაუსჯიათ. კიდევ ერთი საინტერესო და უპრეცედენტო ფაქტიც — საბჭოთა ნაკრებმა ყველა საშინაო შეხვედრა კიევში გამართა. უკრაინის დედაქალაქი იმ დროს საკავშირო ფეხბურთის მექა იყო, ხოლო ევროპის ჩემპიონობის მოსაპოვებლად ფეხბურთის ფედერაცია ყველანაირ დათმობებზე მიდიოდა, თუმცა ამაზე ქვემოთ.

### მეოთხედფინალები. ამიერიდან ბრიტანელებს ხულიგნებს უწოდებენ

მეოთხედფინალების წილისყრა ციურიხის სასტუმრო „ატლანტისში“ 1978 წლის 14 იანვარს მოეწყო. ცერემონიალი უეფას ახალ პრეზიდენტს, დოქტორ არტემიო ფრანკის მიჰყავდა. მან ამ პოსტზე ავიაკატასტროფაში დაღუპული გუსტავ ვიდერკერი შეცვალა (თავად ფრანკისაც შვიდი წლის შემდეგ იგივე ბედი ეწია).

გუნდები ასე დაწყვილდნენ: ჰოლანდია — ბელგია, იუგოსლავია — უელსი, ჩეხოსლოვაკია — საბჭოთა კავშირი და ესპანეთი — საბერძნეთი ან დასავლეთ გერმანია. საქმე ის გახლავთ, რომ მერვე ჯგუფში იმ დროისთვის ერთი მატჩი იყო დარჩენილი — გერმანია მალტას უნდა შეხვედროდა. გერმანელებს უსუსტეს მეტოქესთან ფრეც აძლევდათ ხელს, თუმცა მათ გამარჯვებაში ეჭვი არავის შეჰპარვია. მაგრამ წესი წესია — წილისყრისას ბერძნებიც მოიხსენიეს. გერმანელები აღშფოთდნენ და შური საბრალო მალტელებზე იძიეს — 8:0.

ჰოლანდია და ბელგია, წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის მასპინძლები, მაშინაც განუყრელნი იყვნენ. სტატისტიკოსებმა კარგა ხანს იანგარიშეს და დათვალეს, რომ იმ დროისთვის ამ ქვეყნების ნაკრებები 105-ჯერ შეხვედროდნენ ერთმანეთს. ჰოლანდიამ მეტოქეს ორივე მატჩი მოუგო — 5:0 შინ და 2:1 სტუმრად. თუმცა ერთია ანგარიში და მეორე თამაშის კლასი. ჰოლანდია კი დიდებული გახლდათ. ყველა ფეხბურთელი, მათ შორის კრუიფი, ნეესკენსი, რენსენბრინკი, ფორმაში იყვნენ და ნახევარფინალის წინ ჰოლანდიელები ჩემპიონატის უპირველეს ფავორიტებად შერაცხეს. თუმცა არსებობდა ერთი წყალქვეშა დინებაც. მას იოჰან კრუიფი ერქვა და ამაზე ცოტა მოგვიანებით ვისაუბროთ.

გერმანია იოლად გაუსწორდა ესპანეთს. ნაკრების მწვრთნელი ჰელმუტ შიონი კი ორმაგად გახარებული იყო. მან გერდ მიულერის შემცვლელი იპოვა — ახალგაზრდა ამომავალი ვარსკვლავი კლაუს ტოპმიოლერი. არადა, როგორ უჭირდათ გერმანელებს უმიულეროდ. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ნაკრები ბევრმა ფეხბურთელმა დატოვა. მწვრთნელმა ყველას მოუნახა მემკვიდრე — მიულერის დარი მეგოლე კი კარგა ხანს არ ჩანდა. მაგრამ ჰელმუტ შიონის სიხარული ხანმოკლე გამოდგა. სულ მალე ტოპმელერი ავტოკატასტროფაში მოჰყვა და მძიმედ დაშავდა.

კიდევ ერთი მეოთხედფინალი. უეფას გულისყური უპირველესად იუგოსლავია — უელსის წყვილისკენ იყო მიპყრობილი და აი, რატომ. ნახევარფინალისტებიდან ერთ-ერთი ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მასპინძელი უნდა გამხდარიყო. უეფას თადარიგი ადრიანად დაეჭირა და მასპინძლობის მსურველი ქვეყნები ცოცხალ რიგში ჩაეყენებინა. რიგში კი იდგნენ: იუგოსლავია, გფრ, ჰოლანდია, ბელგია... თუ ბალკანელები უელსს მოუგებდნენ, ეს პატივიც მათ ერგებოდათ, წინააღმდეგ შემთხვევაში მასპინძელი გერმანია ხდებოდა.

იუგოსლაველებმა ბელგრადში 2:0 მოიგეს და კარდიფში ჩავიდნენ. იქ კი ამბები დატრიალდა... მსაჯს ორჯერ მოუხდა თამაშის შეჩერება, რადგან მინდორზე ბოთლების წვიმა წამოვიდა. ერთი ლუდის ბოთლი სტუმართა მეკარესაც მოხვდა. ბრიტანეთის კუნძულებზე ეს ფაქტი ხულიგნობის პირველი შემთხვევა როდი იყო. მსგავსი რამ ცოტა ადრე, ირლანდია — თურქეთის მატჩის დროსაც მოხდა.

### ლობანოვსკის ყველაზე ცნობილი ფრაზა

ევროპის ჩემპიონობა — ამ მიზანს საბჭოთა ხელმძღვანელობამ და ვალერი ლობანოვსკიმ ყველაფერი შესწირა. ჯერ საკავშირო პირველობა დააქუცმაცეს და საშემოდგომო და საგაზაფხულო ჩემპიონატები მოაწყვეს. საშემოდგომოზე კიევის „დინამომ“ სათადარიგო შემადგენლობა გაიყვანა, ხოლო პირველი გუნდი ხანგრძლივ და მომქანცველ მოგზაურობაში გაემგზავრა. ლობანოვსკიმ ლამის მთელი ევროპა შემოიარა, ფეხბურთელებს ამხანაგურ მატჩებში ცდიდა. შემდეგ კიეველები სსრკ-ს თასისა და ჩემპიონთა თასის პირველივე ეტაპებიდან გამოეთიშნენ ბრძოლას. ფაქტობრივად, ბრძოლა არც ყოფილა, რადგან ლობანოვსკის წაგება თავიდანვე დაგეგმილი ჰქონდა. მისი აზრით, ეს ტურნირები ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებაში ხელს უშლიდა. საბჭოთა პრესა ლობანოვსკისეული მეთოდებით აღფრთოვანებული იყო. ჩეხებთან მატჩის წინ „სოვეტსკი სპორტი“ წერდა: „ახლა ჩვენ გვაქვს ჩინებული გამოცდილება იმისა, თუ როგორ უნდა მოემზადო მნიშვნელოვანი მატჩისთვის“. ეს სიტყვები რომ დაიწერა, სულ რამდენიმე დღეში საბჭოთა კავშირის ნაკრები ბრატისლავაში 0:2 დამარცხდა, ხოლო საპასუხო შეხვედრაში ფრედა გაახერხა. ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში საბჭოთა კავშირი პირველად აღმოჩნდა ფინალურ ეტაპს მიღმა. მთავარი საოცრება კი მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე მოხდა. ვალერი ლობანოვსკის მაშინ ნათქვამი ფრაზა, „ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის“, დღესაც გაუგებარი რჩება.



სარბიელის არქივიდან

1976 წლის 16 ივნისი. ნახევარფინალი. ჩეხოსლოვაკია 3:1დ.დ. (1:1) ჰოლანდია. ჩეხოსლოვაკიელი ანტონ ონდრუში (მარცხნივ) და იოჰან კრუიფი

### მიულერი, ოღონდ არა ის

ასეთი რამ არც იქამდე და არც შემდეგ მომხდარა. ფინალური ეტაპის ყველა მატჩში დამატებითი დრო დაინიშნა. შედეგიანობა? ესეც სარეკორდო იყო — 4,75 გოლი ერთ შეხვედრაში.

პირველ ნახევარფინალში დასავლეთ გერმანია მასპინძელ იუგოსლავიას დაუპირისპირდა. გასაოცარია, მაგრამ თამაში ისეთი ტემპით განვითარდა, რომელსაც ფეხბურთელები ახლაც კი ძნელად უძლებენ.

31-ე წუთისთვის ანგარიში უკვე 2:0 იყო. პოპივოდას და ჯაიჩის გოლებით მასპინძლები დაწინაურდნენ. 65-ე წუთამდე გოლი აღარ გასულა. აქ კი შეცვლაზე შესულმა ფლოემ ერთი ბურთის გაქვითვა მოახერხა. დრო გადიოდა. გერმანელთა მწვრთნელმა 80-ე წუთზე კიდევ ერთი ცვლილება მოახდინა, მინდორზე 22 წლის დიტერ მიულერი გავიდა. მიულერი თამაშში ჩაერთო და ბურთთან მისი პირველივე შეხება გოლით დასრულდა — 2:2. დამატებითი დრო, 115-ე წუთი. კვლავ მიულერის დარტყმა და 3:2. გერმანელები ხარობენ, დარჩენილ წუთებს ითვლიან, მაგრამ მიულერი ანგარიშის შენარჩუნებაზე არ ფიქრობს და კიდევ ერთი გოლი გააქვს. ფანტასტიკური შედეგი გახლავთ — ფეხბურთელმა, რომელიც მინდორზე მე-80 წუთზე გავიდა, ჰეთ თრიქი შეასრულა. გერმანია ფინალშია.

### მე ასე მსურს

ზემოთ ვთქვით, რომ ჰოლანდიის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის უდავო ფავორიტად მიიჩნევდნენ, მაგრამ ერთი წყალქვეშა დინებაც არსებობდა, რომლის სახელიც იოჰან კრუიფი იყო.

1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ რინუს მიხელსი პოსტიდან გადადგა. მისი ადგილი გრეგორიუს კნობელმა დაიკავა. სულ მალე კი კრუიფმა განაცხადა, რომ კნობელს არ ძალუძდა ფეხბურთელებისთვის მათი დავალებები სათანადოდ აეხსნა. ნაკრებში სიტუაცია დაიძაბა, მაგრამ ნახევარფინალამდე მდგომარეობა სტა-

იხილეთ მეათე გვერდი

ბილური იყო. ჩეხებთან მატჩის წინ კი აი, რა მოხდა. მწვრთნელმა მეკარე იონგბლადი ნაკრებში არ მიიწვია. ამან კრუიფი ალაშფოთა. მას ვან ჰაგენემი (არც ის მოხვდა შემადგენლობაში) და ნეესკენსიც შეუერთდნენ. ნაკრებში მწვრთნელის მომხრეებიც ბლომად იყვნენ და კრუიფმა პროვოკაციას მიმართა — ჩეხოსლოვაკიასთან თამაშზე უარი თქვა. ბელგრადში ატეხილმა სკანდალმა ამსტერდამშიც ჩააღწია. იუგოსლავიაში დაუყოვნებლივ ჩავიდნენ ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციის მესვეურები და მოლაპარაკებები გამართეს. შედეგი ასეთი გახლდათ — იონგბლადი არ ითამაშებდა, ვან ჰაგენემი შეცვლაზე შევიდოდა, კრუიფი კი სასტარტო შემადგენლობაში იქნებოდა. შეთანხმებას მიაღწიეს, მაგრამ ნაკრები სულიერად გატყდა.

შეხვედრა დაიწყო. მე-19 წუთზე ჩეხთა მცველმა ანტონ ონდრუშმა ანგარიში გახსნა. ჰოლანდიელებს ძალიან გაუჭირდათ. მათ კართან ზედიზედ იქმნებოდა სახიფათო მომენტები, თუმცა მხსნელად ისევ ონდრუში მოევლინათ, რომელმაც მეორე ტაიმში ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. იქამდე კი უელსელმა არბიტრმა ტომასმა მინდვრიდან ჩეხი პოლაკი მიაბრძანა. ძირითადი დროის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე კი იგივე ბედი ნეესკენსსაც ეწია. დამატებით დროში მსაჯმა კიდევ ერთხელ ამოიღო წითელი ბარათი — ვან ჰანეგემი.

მატჩის შემდეგ გამარჯვებულთა გასახდელში მხიარულება სუფევდა, ჰოლანდიელებისაში კი... გრეგორიუს კნობელმა გადადგომის შესახებ განაცხადა. მართალიც იყო. იოჰან კრუიფს ნაკრებში მასზე მეტი ძალაუფლება ჰქონდა, რამაც საბოლოოდ ჰოლანდია ფინალს მიღმა დატოვა. კრუიფი კი მესამე ადგილისთვის მატჩს არ დაელოდა. ის ბარსელონაში დაბრუნდა.

ბოლოს დავამატოთ, რომ კნობელი პირველი მწვრთნელი არ ყოფილა, რომელიც კრუიფმა შეიწირა. ჯერ კიდევ ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ის „ბარსელონას“ პრეზიდენტის, აუგუსტინ მონტალის კაბინეტში შევიდა და ჯიქურ განაცხადა: „ან მე, ან ვაისვალერი („ბარსას“ მაშინდელი მწვრთნელი). კრუიფი კაბინეტიდან გავიდა თუ არა, მონტალმა ვაისვალერი მაშინვე გამოიძახა და კლუბიდან გაუშვა.

## ფინალთა ფინალი

ფინალური მატჩი. გერმანია — ჩეხოსლოვაკია. თვითმხილველები ამტკიცებენ, ასეთი შთამბეჭდავი ფინალი არც მანამდე და არც შემდეგ ევროპაში არ გამართულაო.

თითქოს მომქანცველი 120-წუთიანი ნახევარფინალები არ იყოო, თამაში უსწრაფეს ტემპში წარიმართა. გადის 30 წუთი და ნახევარფინალის მსგავსად, გერმანელები ახლაც 0:2 აგებენ. და აი, მათ ერთი ბურთი გაქვითეს. ავტორი? რა საკითხავია, ცხადია, დიტერ მიულერი. მაგრამ გასათანაბრებლად გერმანელებს წუთები აღარ ჰყოფნიდათ. მატჩიც სადაცაა დასრულდება. იტალიელი მსაჯი სერჯიო გონელა წამზომს დასცქერის. ამ დროს გერმანელებმა კუთხურის ჩაწოდების უფლება მოიპოვეს. არბიტრმა გადაწყვიტა, მათთვის ბოლო შანსი მიეცა. გერმანელებმა ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდეს. ჰოლცენბაინი ხტება და თავური დარტყმით გოლი გააქვს. არადა, ჩეხებს 14 წამიღა უნდა გაეძლოთ.

დამატებით დროში არაფერი შეცვლილა — ფეხბურთელები პენალტების სერიის შესასრულებლად ემზადებოდნენ. აქაც საინტერესო ისტორიაა. რეგლამენტი გადათამაშებას ითვალისწინებდა, მაგრამ მატჩის წინ გუნდებმა უეფას თხოვნით მიმართეს, ძალიან გადავიღლებით და ფრის შემთხვევაში პენალტები დაგვარტყმევინეთო. უეფა დათანხმდა.

ბურთების ათვლა თავიდან დაიწყო — 1:1, 2:2, 3:3. ჩეხებს მეოთხეც გააქვთ. გერმანელთა ჯერია. ბურთთან ჰიონესი მიდის. არ გაუმართლა — ატირებულ ფეხბურთელს მეგობრები ანუგეშებდნენ, ცალი თვალით კი თერთმეტმეტრიანის ნიშნულს გასცქერიან. პანენკას ჯერია. ჩეხმა აუღელვებლად დაარტყა, უფრო სწორად, ბურთს ფეხი ამოჰკრა და შუაში ხარიხას ოდნავ ქვემოთ შეაგდო. ჩეხოსლოვაკიამ თავის ისტორიაში პირველი და უკანასკნელი ტიტული მოიპოვა.

## შესარჩევი ეტაპი

### I ჯგუფი

ჩეხოსლოვაკია — ინგლისი 0:3, 2:1; ჩეხოსლოვაკია — პორტუგალია 5:0, 1:1; ჩეხოსლოვაკია — კვიპროსი 4:0, 3:0; ინგლისი — პორტუგალია 0:0, 1:1; ინგლისი — კვიპროსი 5:0, 1:0; პორტუგალია — კვიპროსი 2:0, 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხოსლოვაკია | 6 | 4 | 1 | 1 | 15:5 | 9 |
| ინგლისი | 6 | 3 | 2 | 1 | 11:3 | 8 |
| პორტუგალია | 6 | 2 | 3 | 1 | 5:7 | 7 |
| კვიპროსი | 6 | 0 | 0 | 6 | 0:16 | 0 |

### II ჯგუფი

უელსი — უნგრეთი 2:0, 2:1; უელსი — ავსტრია 1:2, 1:0; უელსი — ლუქსემბურგი 5:0, 3:1; უნგრეთი — ავსტრია 0:0, 2:1; უნგრეთი — ლუქსემბურგი 4:2, 8:1; ავსტრია — ლუქსემბურგი 2:1, 6:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უელსი | 6 | 5 | 0 | 1 | 14:4 | 10 |
| უნგრეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 15:8 | 7 |
| ავსტრია | 6 | 3 | 1 | 2 | 11:7 | 7 |
| ლუქსემბურგი | 6 | 0 | 0 | 6 | 7:28 | 0 |

### III ჯგუფი

იუგოსლავია — ჩრდ. ირლანდია 0:1, 1:0; იუგოსლავია — შვედეთი 2:1, 3:0; იუგოსლავია — ნორვეგია 3:1, 3:1; ჩრდ. ირლანდია — შვედეთი 2:0, 1:2; ჩრდ. ირლანდია — ნორვეგია 1:2, 3:0; შვედეთი — ნორვეგია 3:1, 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 6 | 5 | 0 | 1 | 12:4 | 10 |
| ჩრდ. ირლანდია | 6 | 3 | 0 | 3 | 8:5 | 6 |
| შვედეთი | 6 | 3 | 0 | 3 | 8:9 | 6 |
| ნორვეგია | 6 | 1 | 0 | 5 | 5:15 | 0 |

### IV ჯგუფი

ესპანეთი — რუმინეთი 1:1, 2:2; ესპანეთი — შოტლანდია 1:1, 2:1; ესპანეთი — დანია 2:1, 2:0; რუმინეთი — შოტლანდია 1:1, 1:1; რუმინეთი — დანია 6:1, 0:0; შოტლანდია — დანია 3:1, 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 6 | 3 | 3 | 0 | 10:6 | 9 |
| რუმინეთი | 6 | 1 | 5 | 0 | 11:6 | 7 |
| შოტლანდია | 6 | 2 | 3 | 1 | 8:6 | 7 |
| დანია | 6 | 0 | 1 | 5 | 3:14 | 1 |

### V ჯგუფი

ჰოლანდია — პოლონეთი 3:0, 1:4; ჰოლანდია — იტალია 3:1, 0:1; ჰოლანდია — ფინეთი 3:1, 4:1; პოლონეთი — იტალია 0:0, 0:0; პოლონეთი — ფინეთი 2:1, 3:0; იტალია — ფინეთი 1:0, 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 6 | 4 | 0 | 2 | 14:8 | 8 |
| პოლონეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 9:5 | 8 |
| იტალია | 6 | 2 | 3 | 1 | 3:3 | 7 |
| ფინეთი | 6 | 0 | 1 | 5 | 3:13 | 1 |

### VI ჯგუფი

სსრკ — თურქეთი 3:0, 0:1; სსრკ — ირლანდია 2:1, 0:3; სსრკ — შვეიცარია 4:1, 1:0; ირლანდია — თურქეთი 4:0, 1:1; ირლანდია — შვეიცარია 2:1, 0:1; თურქეთი — შვეიცარია 2:1, 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრკ | 6 | 4 | 0 | 2 | 10:6 | 8 |
| ირლანდია | 6 | 3 | 1 | 2 | 11:5 | 7 |
| თურქეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 5:10 | 6 |
| შვეიცარია | 6 | 1 | 1 | 4 | 5:10 | 3 |

### VII ჯგუფი

ბელგია — გდრ 1:2, 0:0; ბელგია — საფრანგეთი 2:1, 0:0; ბელგია — ისლანდია 2:0, 1:0; გდრ — საფრანგეთი 2:1, 2:2; გდრ — ისლანდია 1:1, 1:2; საფრანგეთი — ისლანდია 3:0, 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 6 | 3 | 2 | 1 | 6:3 | 8 |
| გდრ | 6 | 2 | 3 | 1 | 8:7 | 7 |
| საფრანგეთი | 6 | 1 | 3 | 2 | 7:6 | 5 |
| ისლანდია | 6 | 1 | 2 | 3 | 3:8 | 4 |

მონაწილე: 32 გუნდი
სულ გაიმართა 108 მატჩი, გატანილია 308 ბურთი
საუკეთესო ბომბარდირი: დ. გივენი (ირლანდია) — 8 ბურთი
საშუალო დასწრება: 41 000 მაყურებელი




1976 წლის 20 ივნისი. ფინალი. ჩეხოსლოვაკია 2:2 (პენ.5:3) გფრ. ანტონინ პანენკას გადამწყვეტი პენალტი ზეპ მაიერის კარში

### VIII ჯგუფი

გფრ — საბერძნეთი 2:2, 1:1; გფრ — ბულგარეთი 1:0, 1:1; გფრ — მალტა 8:0, 1:0; საბერძნეთი — ბულგარეთი 2:1, 3:3; საბერძნეთი — მალტა 4:0, 0:2; ბულგარეთი — მალტა 5:0, 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გფრ | 6 | 3 | 3 | 0 | 14:4 | 9 |
| საბერძნეთი | 6 | 2 | 3 | 1 | 12:9 | 7 |
| ბულგარეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 12:7 | 6 |
| მალტა | 6 | 1 | 0 | 5 | 2:20 | 2 |

*მოგებაზე გუნდებს ერიცხებოდათ 2 ქულა.*

## მეოთხედფინალი

### ჩეხოსლოვაკია 2:0 სსრკ

1:0 მოდერი (34), 2:0 პანენკა (47)
ჩეხოსლოვაკია: ვიქტორი, დობიაში, ონდრუში, ჩაპკოვიჩი, გიოგი, მოდერი (კნაპი 76), პოლაკი, პანენკა, მასნი, პეტრაში (კროუპა 17), ნეჰოდა
მწვრთნელი: ვ. ეჟეკი
სსრკ: პროხოროვი, რეშკო, ფომენკო, ზვიაგინცევი, მატვიენკო, ტროშკინი, კონკოვი, კოლოტოვი, ლოვჩევი (ვერემეევი 57), ონიშჩენკო (ნაზარენკო 68), ბლოხინი
მწვრთნელი: ვალერი ლობანოვსკი
მსაჯი: ჰ. ოქი (თურქეთი)
24.04.76. ბრატისლავა. 47 621 მაყურებელი

### სსრკ 2:2 ჩეხოსლოვაკია

0:1 მოდერი (45), 1:1 ბურიაკი (53), 1:2 მოდერი (81), 2:2 ბლოხინი (87)
სსრკ: რუდაკოვი, ტროშკინი, ფომენკო, ზვიაგინცევი, ლოვჩევი, ბურიაკი, კონკოვი (მინაევი 53), მუნტიანი, ვერემეევი, ონიშჩენკო, ბლოხინი
მწვრთნელი: ვალერი ლობანოვსკი
ჩეხოსლოვაკია: ვიქტორი, პივარნიკი, ონდრუში, ჩაპკოვიჩი (იურკემიკი 80), გიოგი, დობიაში, პოლაკი, მოდერი, მასნი, გალისი (შვეხლიკი 87), ნეჰოდა
მწვრთნელი: ვ. ეჟეკი
გაფრთხილება: ტროშკინი, მოდერი
მსაჯი: ე. მაკენზი (შოტლანდია)
22.05.76. კიევი. 76 495 მაყურებელი

### იუგოსლავია 2:0 უელსი

1:0 ვუკოტიჩი (1), 2:0 პოპივოდა (54)
მსაჯი: პ. შილერი (ავსტრია)
24.04.76. ზაგრები

### უელსი 1:1 იუგოსლავია

0:1 კატალინსკი (19პ), 1:1 ევანსი (38)
უელსელმა იორატმა ვერ გაიტანა პენალტი (85, მეკარე)
მსაჯი: რ. გლიოკნერი (გდრ)
22.05.76. კარდიფი.

### ესპანეთი 1:1 გფრ

1:0 სანტილიანა (21), 1:1 ბეერი (60)
მსაჯი: დ. ტეილორი (ინგლისი)
24.04.76. მადრიდი

### გფრ 2:0 ესპანეთი

1:0 ჰიონესი (17), 2:0 ტოპმიოლერი (42)
მსაჯი: რ. ვურცი (საფრანგეთი)
22.05.76. მიუნხენი

### ჰოლანდია 5:0 ბელგია

1:0 რაისბერგენი (17), 2:0, 3:0 რენსენბრინკი (29, 59), 4:0 ნეესკენსი (80პ), 5:0 რენსენბრინკი (85)
მსაჯი: ჟ. დუბაში (შვეიცარია)
25.04.76. როტერდამი

### ბელგია 1:2 ჰოლანდია

1:0 ვან გოოლი (29), 1:1 რეპი (65), 1:2 კრუიფი (79)
ჰოლანდიელმა ნეესკენსმა ვერ გაიტანა პენალტი (8, ააცილა)
მსაჯი: ა. მიკელოტი (იტალია)
22.05.76. ბრიუსელი

## ნახევარფინალი

### ჩეხოსლოვაკია 3:1დ.დ. (1:1) ჰოლანდია

1:0 ონდრუში (19), 1:1 ონდრუში (74 ს.კ.), 2:1 ნეჰოდა (114), 3:1 ვესელი (118)
ჩეხოსლოვაკია: ვიქტორი, პივარნიკი, ჩაპკოვიჩი (იურკემიკი 106), ონდრუში, გიოგი, პოლაკი, პანენკა, დობიაში, მოდერი (ვესელი 91), მასნი, ნეჰოდა
მწვრთნელი: ვ. ეჟეკი
ჰოლანდია: შრაივერსი, სურბიერი, რაისბერგენი (ვან ჰანეგემი 37), კროლი, ვან კრააი, ნეესკენსი, კრუიფი, იანსენი, ვ. ვან დე კერკჰოფი, რეპი (გეელსი 67), რენსენბრინკი
მწვრთნელი: გ. კნობელი
გაფრთხილება: პოლაკი, დობიაში, ვან დე კერკჰოფი, კრუიფი
გაძევება: პოლაკი (60), ნეესკენსი (78), ვან ჰანეგემი (115)
მსაჯი: კ. ტომასი (უელსი)
16.06.76. ზაგრები. 17 879 მაყურებელი

### იუგოსლავია 2:4დ.დ. (2:2) გფრ

1:0 პოპივოდა (19), 2:0 ჯაიჩი (31), 2:1 ფლოე (65), 2:2, 2:3, 2:4 მიულერი (81, 115, 119)
იუგოსლავია: პეტროვიჩი, ბულიანი, ობლაკი (პერუზოვიჩი 106), კატალინსკი, მუჟინიჩი, ჟუნგული, შურიაკი, აჩიმოვიჩი (ვლადიჩი 106), ერკოვიჩი, პოპივოდა, ჯაიჩი
მწვრთნელი: ა. მლადინიჩი
გფრ: მაიერი, ფოგტსი, ბეკენბაუერი, შვარცენბეკი, დიტცი, ბეერი, ბონჰოფი, ვიმერი (დ. მიულერი 80), დანერი (ფლოე 46), ჰიონესი, ჰოლცენბაინი
მწვრთნელი: ჰ. შიონი
მსაჯი: ა. დელკური (ბელგია)
17.06.76. ბელგრადი. 50 652 მაყურებელი

## მატჩი მე-3 ადგილისთვის

### ჰოლანდია 3:2დ.დ. (2:2) იუგოსლავია

1:0 გეელსი (27), 2:0 ვ. ვან დე კერკჰოფი (41), 2:1 კატალინსკი (43), 2:2 ჯაიჩი (82), 3:2 გეელსი (106)
ჰოლანდია: შრაივერსი, სურბიერი, ვან კრააი, იანსენი (მიოტსტეგე 46), კროლი, ვ. ვან დე კერკჰოფი, არნცი (კისტი 72), პეტერსი, რ. ვან დე კერკჰოფი, გეელსი, რენსენბრინკი
მწვრთნელი: გ. კნობელი
იუგოსლავია: პეტროვიჩი, ბულიანი, კატალინსკი, ობლაკი, მუჟინიჩი, ჟუნგული (ვლადიჩი 46), შურიაკი, ერკოვიჩი, აჩიმოვიჩი (ჰალილჰოჯიჩი 46), პოპივოდა, ჯაიჩი
მწვრთნელი: ა. მლადინიჩი
მსაჯი: ვ. ჰუნგერბიულერი (შვეიცარია)
19.06.76. ზაგერბი. 6 766 მაყურებელი

## ფინალი

### ჩეხოსლოვაკია 2:2 (პენ.5:3) გფრ

1:0 შვეხლიკი (8), 2:0 დობიაში (25), 2:1 მიულერი (28), 2:2 ჰოლცენბაინი (90)
პენალტები: 1:0 მასნი, 1:1 ბონჰოფი, 2:1 ნეჰოდა, 2:2 ფლოე, 3:2 ონდრუში, 3:3 ბონგარცი, 4:3 იურკემიკი, 4:3 ჰიონესი (ააცილა), 5:3 პანენკა
ჩეხოსლოვაკია: ვიქტორი, პივარნიკი, ონდრუში, ჩაპკოვიჩი, გიოგი, დობიაში (ვესელი 94), მოდერი, პანენკა, მასნი, შვეხლიკი (იურკემიკი 80), ნეჰოდა
მწვრთნელი: ვ. ეჟეკი
გფრ: მაიერი, ფოგტსი, ბეკენბაუერი, შვარცენბეკი, დიტცი, ბონჰოფი, ბეერი (ბონგარცი 80), ვიმერი (ფლოე 46), ჰიონესი, დ. მიულერი, ჰოლცენბაინი
მწვრთნელი: ჰ. შიონი
გაფრთხილება: დობიაში, მოდერი
მსაჯი: ს. გონელა (იტალია)
20.06.76. ბელგრადი. 30 790 მაყურებელი

*ფინალური ეტაპი ჩატარდა იუგოსლავიაში*



1976 წლის ევროპის ჩემპიონი ჩეხოსლოვაკიის ნაკრები



წყალშია და ცეცხლი უქრება

# ოლიმპიური ჩირაღდანი პოსეიდონთან ჩაყვინთავს

რანაირად აღარ ცდილობენ ოლიმპიური ჩირაღდნის ტრადიციული ესტაფეტის გამრავალფეროვნებას...

ყველაფერი ჯერ ჩირაღდნის ხმელეთზე რბენითი ესტაფეტით დაიწყო, მერე ცეცხლს გემებით ოკეანეები თუ ზღვები გადაალახინეს, რომ ოლიმპიური თამაშების მასპინძელ კონტინენტზე მოხვედრილიყო. ამას თვითმფრინავი მოჰყვა, რათა ხაზგასმით მიენიშნებინათ თანამედროვე ეპოქაო. ახლა XXI საუკუნე გვიახლოვდებაო და ამერიკელებმა ატლანტის ოლიმპიური თამაშებისთვის იგი სიმბოლურად კოსმოსშიც გააფრინეს, რაზეც ავსტრალიელებსაც არ უთქვამთ უარი.

ახლა სიდნეის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორები ყველანაირად ცდილობენ, რათა ოლიმპიადა დიდი ხნით ჩარჩეს ჩვენს მეხსიერებაში. სანამ საქმე ასპარეზობამდე მისულა, ოზები ყურადღების მისაპყრობად ნაირგვარ სიახლეს გვთავაზობენ. მათ გადაუწყვეტიათ, რომ ოლიმპიურმა ჩირაღდანმა პირველად შეაწუხოს პოსეიდონის საუფლო. ეს მოხდება 27 ივნისს, დიდი საბარიერო რიფის რაიონში. სწორედ იქ, კატამარან „QUICKSILVER CONNECTIONS“-ის ქიმიდან, ზღვის ბიოლოგი ვენდი კრეიგ დუნკანი ჩირაღდნით ხელში წყალში გადაეშვება და ღრმად ჩაყვინთავს.

სიდნეის ოლიმპიური თამაშების პრესმდივნის დოქტორ ჰენრის განცხადებით, წარმატებულად ჩაიარა სპეციალური მოწყობილობის გამოცდამ, რომელიც ოლიმპიურ ცეცხლს ზღვის წყალში ჩაუქრობლად შეინარჩუნებს. ამის შედეგად სპეციალური მეთოდით 2000 გრადუსამდე გახურებული ალი საშუალებას მისცემს ცეცხლს წყალქვეშ სამი-ოთხი წუთი იმოგზაუროს.

ასეთი მოწყობილობა მელბურნის კომპანია „PAINS WESSEX AUSTRALIA“-მ შეიმუშავა.

სხვათა შორის, ოზებმა ოლიმპიური ჩირაღდნის ტარების უფლება მისცეს ყველა ავსტრალიელს, დაწყებული რიგითი მოკვდავიდან, დამთავრებული ცნობილი სპორტსმენებითა თუ ბიზნესმენებით. ასეთი პატივი წილად ხვდა ავსტრალიელთა სათაყვანებელ გმირს, მეგოლფე გრეგ ნორმანსაც, რომელიც 1986 და 1993 წლებში ბრიტანეთის ღია ჩემპიონატის გამარჯვებულია. მისი თქმით, ჩირაღდნის ტარება ცხოვრების შანსია.

— ეს კოსმოსში შატლით გაფრენის ტოლფასია — ამბობს იგი — როცა ასეთი შესაძლებლობა გეძლევა, ხელიდან არ უნდა გაუშვა.

საინტერესოა, რომ ნორმანი იმ 11 ათას ოზთაგანია, რომელიც ჩირაღდნით ხელში 27-ათას კილომეტრიან ავსტრალიას შემოურბენს. მათ შორის იქნებიან ოლიმპიური ჩემპიონები ცურვაში კარენ პერკინსი, სუზან ონილი და დონ ფრეზერი. ეს არჩევანი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ცურვა სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობაა მწვანე კუნძულზე.

ესტაფეტის მონაწილეთა შორის იქნება პირველი მსოფლიოს ომის ვეტერანიც, უხუცესი მეჩირაღდნე, 109 წლის ჯეკ ლოკეტი და სტიუარტ დივერიც, რომელიც ერთადერთია, ვინც ერთხელ საშინელ ზვავს გადაურჩა, 18 კი დაიღუპა, მათ შორის მისი მეუღლეც.

აი, იმ პიროვნების ვინაობა კი, რომელიც ოლიმპიურ სტადიონზე 15 სექტემბერს ცეცხლს დაანთებს, ცნობილი არ არის, თუმცა, ეს არც არის გასაკვირი, რადგან ტრადიციისამებრ ამას ბოლო მომენტამდე საიდუმლოდ ინახავენ. სამაგიეროდ, ცნობილია ის, ვისაც პირველს გადაეცემა ჩირაღდანი. ეს გახლავთ პირველი ავსტრალიელი აბორიგენი, რომელმაც ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვა — ნოვა პერის-კნიიბონი. კნიიბონმა ოქროს მედალი ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე ბალახის ჰოკეისტ ქალთა გუნდის შემადგენლობაში დაიმსახურა.

**გიგა გურასაშვილი**



# იტალიაში ფულს აგროვებენ: მილანში ტაისონი ჩადის



მაიკ ტაისონი

ოცი მაისს, მილანის „ფილაფორუმ არენაზე“ მაიკ ტაისონს ელიან. ევროპულ კრივს გაჩვეული გადმორთული „რკინის მაიკი“ ამ „ფილაფორუმის“ რინგზე, იტალიური წარმოშობის საშუალო ამერიკელ მოკრივეს, ლუ სავარეზეს შეხვდება.

ტაისონის წინა ბრძოლაზე, მანჩესტერში, ორ დღეში 21 ათასი ბილეთი გაიყიდა. ცნობილ შეჯიბრთა მასპინძლობით განთქმული „ფილაფორუმი“ კი მხოლოდ თერთმეტ ათასს იტევს. ბილეთის ფასი გვარიანია — საუკეთესო ადგილზე დაჯდომა 1639 დოლარი ეღირება, ყველაზე უარესზე კი 55 დოლარი.

ტაისონ-სავარეზეს ჩხუბი 20 აპრილისთვის იყო დაგეგმილი, მაგრამ ოცდათოთხმეტ წელს მიტანებულმა მაიკმა სავარჯიშო დრო მოითხოვა.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



# ნუ დაუჯერებთ რიოსს

კი ბისკეინი. აშშ. „ერიქსონის ღია პირველობა“. ჰარდი. საპრიზო 5,76 მილიონი $

**კაცები. მეოთხედფინალი: ანდრე აგასი** (1, აშშ) — **ტიმ ჰენმანი** (!9, ინგლისი) 7:5, 1:6, 7:6 (12:10); **გუსტავო კუერტენი** (6, ბრაზილია) — **უეინ ფერერა** (სამხრეთ აფრიკა) 6:3, 6:1



ტიმ ჰენმანი

გავარვარებულ და ნესტიან ფლორიდულ კორტზე, ორი საათისა და 35 წუთის გატარების შემდეგ დაქანცული ჩოგბურთელები ინერციითღა აგრძელებდნენ თამაშს. ტიმ ჰენმანმა უკანა ხაზიდან მორიგი მოჭრილი ბექჰენდი სულ ოდნავ გადააცილა ბადეს და ბურთს მთელი სისწრაფით უკან დაედევნა. ამჯერად ანდრე აგასი აღარ აჩქარებულა, ცალი თვალით მეტოქის მოძრაობა და ადგილი მოზომა, ჩაიმუხლა და უზუსტესი შემოვლებული დაარტყა.

ინგლისელმა ბურთს უმწეოდ გააყოლა თვალი და გონებაში, ალბათ, საკუთარ თავს ოთხი მატჩ-პოინტის ხელიდან გაშვებისთვის შეუკურთხა, აგასიმ კი ორივე ხელი მუშტებად შეკრა და კარგა ხნის მანძილზე ტუჩების მკვნეტელ შტეფი გრაფს შვებით გახედა.

„ასეთი მატჩის მოგების შემდეგ სიამაყის გრძნობა მეუფლება. მე თითის წვერებით ვებღაუჭებოდი ხსნის მცირე შანსს. შეიძლება გარედან ისე ჩანდეს, რომ ნახევარფინალში გასვლა ბევრს არაფერს ნიშნავს, მაგრამ უნდა გაუწყოთ, რომ ამჟამად შვებას კი არა, აღტაცებას ვგრძნობ“ — აღნიშნა მოგვიანებით პრესკონფერენციაზე მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა.

ერთი დღით ადრე ჰენმანთან დამარცხებულმა მარსელო რიოსმა, აგასის იოლი მოგება უწინასწარმეტყველა, მაგრამ ინგლისელს დასაკარგი არაფერი ჰქონდა და მრისხანე მეტოქეს არაფერში ჩამორჩა.

პირველი ხელის დიდ ბრძოლაში დათმობის შემდეგ, ჰენმანმა მძლავრი მოწოდება აამუშავა, ეისს ეისი მიაყოლა (სულ 14) და ხოტორა ლასვეგასელი შესამჩნევად დაჩაგრა. ინგლისელი უკანა ხაზიდან იშვიათად ცდებოდა, ხელსაყრელ შემთხვევაში კი ბადესთან გასვლასაც არ ახანებდა და მიწაზე დაუშვებელი დარტყმით ოსტატურად ითვლიდა ქულებს.

გადამწყვეტი სეტისთვის ორივე ჩოგბურთელი შესამჩნევად დაიღალა, იმათა წუნმაც, მაგრამ ბრიტი ისევ უკეთ თამაშობდა და ტრიბუნებზე შეკრებილი მაყურებლების გულის გასახეთქად 5:3-თაც დაწინაურდა.

„იმ მომენტში ერთადერთი მიზანი მქონდა: იოლად არ დამეთმო არც ერთი ქულა და მეიძულებინა ტიმი, თვითონ, საკუთარი ძალისხმევით მოეგო. მან რამდენიმე პირველი მოწოდება ააცილა, შესაძლებლობა თავად მაჩუქა და მეც გამოვიყენე. უნდა ვაღიარო, რომ ძალიან გამიმართლა“.

აგასიმ საფირმო მიღებების წყალობით ანგარიში გაათანაბრა და საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც ჰენმანს კიდევ ოთხჯერ შეეძლო ნახევარფინალის საგზურის გაფორმება.

პირველ მატჩ-პოინტზე (6:5) ინგლისელმა წინ გასვლა სულ ოდნავ დააგვიანა და ბურთი ბადეში გაახვია, მესამეზე კი (9:8) ისეთი რამ ჩაიდინა, რაც ლამით დაძინებაში ნამდვილად კარგა ხანს შეუშლის ხელს: ორმაგი შეცდომა გააკეთა.

„მსუბუქად რომ ვთქვათ, ორმაგისთვის იდეალურად შესაფერისი ის მომენტი არ იყო, მაგრამ რას იზამ, ზოგჯერ ასეც ხდება. მე მანამდეც ბევრი მსგავსი შეცდომა დავუშვი“.

თუმცა ამჯერად აგასიმ საჩუქარი შეიშნო და ორიოდ წუთში თავისი ქომაგები სიხარულისგან ფეხზეც წამოახტუნა.

ჰენმანმა მატჩში მეტოქეზე მეტი გეიმი და მეტი ქულა მოიგო, მაგრამ რა ხეირი? „სამწუხაროდ, ეტყობა მნიშვნელოვან ქულებზე ვერ ვივარგე. ენით ვერ აღვწერ, ისე იმედგაცრუებული ვარ. კარგად ვითამაშე, მაგრამ ამ დონეზე მთავარი მოგება და წაგებაა და თავს ვერაფრით ვინუგეშებ“.



მონიკა სელეში

აგასი, ცხადია, გაცილებით უკეთეს ხასიათზე გახლდათ, ცოტაოდენი რჩევები ინგლისელისთვისაც გაიმეტა, მნიშვნელოვან მომენტებში მეტისმეტად არ უნდა იჩქაროსო, და უკეთესად თამაშითაც დაიმუქრა: „აქამდე დიდი გაჭირვებით მოვაღწიე, მაგრამ რაც უფრო ძნელ მეტოქეს შევხვდები, მით უფრო უკეთ გავირჯები. ჯერ შესაძლებლობების მაქსიმუმი არ გამოვლენია და მომდევნო ორი მატჩი ამისთვის ყველაზე შესაფერისი დროა“.

ნახევარფინალში აგასის, როლან გაროსის ყოფილი ჩემპიონი გუსტავო კუერტენი ელის, რომელმაც თავის მხრივ სამხრეთაფრიკელი უეინ ფერერა საათზე ნაკლებში გაანადგურა.

„გუგას“ ამერიკელთან ზედიზედ ოთხი მატჩი და 9 სეტი აქვს წაგებული: „ბოლო ხანებში მის წინააღმდეგ ვერაფერს ვაწყობ, მაგრამ ყურების ჩამოყრას არ ვაპირებ. მთავარია, ასევე კარგად ვითამაშო და ყველაფერი შეიძლება მოხდეს“.

**ქალები. მეოთხედფინალი: მარტინა ჰინგისი** (1, შვეიცარია) — **ამანდა კუტცერი** (18, სამხრეთ აფრიკა) 6:3, 6:1; **მონიკა სელეში** (8, აშშ) — **ემი ფრეზერი** (20, აშშ) 6:0, 6:3.

კაცებისგან განსხვავებით, ქალების მეოთხედფინალური შეხვედრები დრამატიზმით არ გამოირჩეოდა: ფავორიტებმა, მონიკა სელეშმა და მარტინა ჰინგისმა ზედმეტი ფაციფუცის გარეშე დაამარცხეს მეტოქეები და ნახევარფინალში კიდევ ერთხელ მოსინჯავენ ძალას ერთიმეორის წინააღმდეგ.

„მარტინას წინააღმდეგ თამაში სულ სხვა იქნება. ის და ლინდსი ამ წუთისთვის ყველასგან განსხვავებულ დონეზე თამაშობენ“ — აღნიშნა სელეშმა, რომელიც ხუთთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ მარტში დაუბრუნდა ასპარეზობას და აქამდე მხოლოდ ზემოხსენებულ ორ მეტოქესთან დამარცხდა.

„მათ გარდა არავისთან მიჭირს თამაში. ვიცი, რაც უნდა გავაკეთო ამის გამოსასწორებლად, ოღონდ მთავარია, რომ გავაკეთო“ — განაცხადა მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა და როდესაც უფრო დაწვრილებით სთხოვეს აზრის გამოთქმა, დაუმატა — „გარკვეული ელემენტები უნდა გავაუმჯობესო. მარტინამაც და ლინდსიმაც ბოლო ხანებში ძალიან მოუმატეს, რადგან ბევრს ვარჯიშობენ. იმედია, ეს ჩემთვისაც სტიმული გახდება და შრომას არ დავიზარებ“.

რაც შეეხება ჰინგისს, კლასიფიკაციაში მის პირველობას წყალი აქვს შემდგარი. საკმარისია, დევენპორტმა ნახევარფინალში ფრანგი სანდრინ ტესტიუ დაამარცხოს, ან პირიქით, მარტინამ წააგოს სელეშთან, რომ ორშაბათიდან მსოფლიოს პირველი ჩოგანი ძონძროხა ამერიკელი გახდება.

თუმცა მარტინას ფლორიდაში კარგი დროის ტარებაში ეს ხელს არ უშლის. მორიგი იოლი გამარჯვების შემდეგ ის პლაჟზე კოტრიალსა და ღამით დისკოთეკაზე ცეკვას აპირებდა, რომლის შემდეგაც შინ საკუთარი სპორტული „პორშეთი“ დაბრუნდებოდა.

**ავთანდილ სვანიძე**

# სპორტული ლატარია "CROCO"

გერმანია. ბუნდესლიგა. 27-ე ტური

31 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 001 | ფრაიბურგი-უნტერჰახინგი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 002 | ულმი-დუისბურგი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | 1 აპრილი | | | |
| 003 | დორტმუნდი-ჰამბურგი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 004 | აინტრახტი-არმინია | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 005 | ჰერტა-შალკე | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 006 | მიუნხენ 1860-ლევერკუზენი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 007 | ვოლფსბურგი-ბაიერნი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | 2 აპრილი | | | |
| 008 | ჰანზა-ვერდერი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 009 | კაიზერსლაუტ-შტუტგარტი | 1,6 | 2,9 | 6,0 |

გერმანია. II ბუნდესლიგა. 25-ე ტური

31 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 010 | ობერჰაუზენი-ვალდჰოფი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 011 | კიკერსი-ბერლინი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 012 | ჰანოვერი-ქემნიცი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 1 აპრილი | | | |
| 013 | კიოლნი-ოფენბახი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 014 | კიოლნი-ოფენბახი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 2 აპრილი | | | |
| 015 | ალემანია-მაინცი ($17^{45}$) | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 016 | ფიურტი-მიონხენგლადბახი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 017 | ზანქტ პაული-ფორტუნა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 018 | კარლსრუე-ნიურნბერგი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | 3 აპრილი | | | |
| 019 | კოტბუსი-ბოხუმი | 2,4 | 2,8 | 2,7 |

ინგლისი. პრემიერლიგა. 31-ე ტური

1 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 020 | ქოვენტრი-ლივერპული | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 021 | ევერტონი-უოტფორდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 022 | ევერტონი-უოტფორდი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 023 | ლიდსი-ჩელსი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 024 | მანჩესტერი-ვესტ ჰემი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 025 | მანჩესტერი-ვესტ ჰემი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,5 |
| 026 | ნიუკასლი-ბრედფორდი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 027 | ნიუკასლი-ბრედფორდი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 028 | საუთჰემპტონი-სანდერლენდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 029 | უიმბლდონი-არსენალი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | 2 აპრილი | | | |
| 030 | დერბი-ლესტერი ($17^{00}$) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 3 აპრილი | | | |
| 031 | ტოტენჰემი-მიდლსბრო | 1,7 | 3,1 | 4,4 |

ინგლისი. I დივიზიონი. 40-ე ტური

31 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 032 | ჩარლტონი-ქუინზ პარკი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 033 | ჩარლტონი-ქუინზ პარკი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 1 აპრილი | | | |
| 034 | ბირმინგემი-ვულვერჰემპტონი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 035 | ბლექბერნი-შეფილდი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 036 | ქრიუ-ნოტინგემი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 037 | ფულემი-კრისტალ პალასი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 038 | გრიმსბი-ჰადერსფილდი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 039 | ნორვიჩი-ტრანმერი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 040 | პორტ ვეილი-პორტსმუთი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 041 | სუინდონი-მანჩესტერ სიტი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| 042 | უოლსოლი-ბარნსლი | 3,2 | 2,9 | 2,1 |

ინგლისი. II დივიზიონი. 40-ე ტური

1 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 043 | ბლეკპული-პრესტონი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 044 | ბრენტფორდი-უიგანი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 045 | როვერსი-სტოკი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 046 | ბერი-სკანთორპი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 047 | კარდიფი-ბარნლი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 048 | ჯილინგემი-ჩესტერფილდი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 049 | ჯილინგემი-ჩესტერფილდი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 050 | ლუტონი-კოლჩესტერი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 051 | ნოტსი-მილუოლი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 052 | ოლდემი-კემბრიჯი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 053 | ოქსფორდი-ბორნმუთი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 054 | რექსემი-რედინგი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 055 | უიკომბი-ბრისტოლი | 2,3 | 2,8 | 2,9 |

ინგლისი. III დივიზიონი. 40-ე ტური

1 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 056 | ბრაიტონი-სუონსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 057 | კარლაისლი-ჰალი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 058 | ჩელტენემი-ტორკი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 059 | დარლინგტონი-როტერჰემი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 060 | ჰალიფაქსი-ჩესტერი | 1,7 | 3,3 | 4,0 |
| 061 | ჰარტლპული-ექსეტერი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 062 | ლეიტონი-მაკლსფილდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 063 | მენსფილდი-ბარნეტი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 064 | პიტერბრო-როჩდეილი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 065 | პლიმუთი-ნორთჰემპტონი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 066 | შრიუსბერი-ლინკოლნი | 2,3 | 3,0 | 2,7 |
| 067 | საუთენდი-იორკი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

საფრანგეთი. II დივიზიონი. 31-ე ტური

31 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 068 | აიაჩო-ტულუზი | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| 069 | ამიენი-კანი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 070 | ლავალი-ლე მანი | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| 071 | ლილი-ვალანსი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 072 | ლილი-ვალანსი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 073 | ნიცა-ვასკალი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 074 | შატორუ-ლუანი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 075 | სოშო-ლორიანი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| | 1 აპრილი | | | |
| 076 | ნიმი-ნიორი | 1,8 | 2,8 | 4,4 |

იტალია. სერია "ა". 28-ე ტური

1 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 077 | ფიორენტინა-ბოლონია | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 078 | იუვენტუსი-ლაციო | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| | 2 აპრილი | | | |
| 079 | ბარი-კალიარი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 080 | ინტერი-რეჯინა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 081 | ინტერი-რეჯინა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 082 | პერუჯა-ტორინო | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 083 | რომა-უდინეზე | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 084 | ვენეცია-ლეჩე | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 085 | ვერონა-პიაჩენცა | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 086 | პარმა-მილანი | 2,4 | 2,8 | 2,7 |

იტალია. სერია "ბ". 29-ე ტური

31 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 087 | მონცა-ჯენოა | 2,7 | 2,4 | 2,9 |
| | 2 აპრილი | | | |
| 088 | ატალანტა-ბრეშა | 2,1 | 2,4 | 3,8 |
| 089 | კოზენცა-ალძანო | 1,8 | 2,5 | 5,3 |
| 090 | ფერმანა-ჩეზენა | 2,7 | 2,6 | 2,7 |
| 091 | პისტოიეზე-ვიჩენცა | 2,8 | 2,5 | 2,6 |
| 092 | რავენა-ემპოლი | 1,9 | 2,5 | 4,4 |
| 093 | სამპდორია-სალერნიტანა | 1,7 | 2,5 | 6,5 |
| 094 | სავოია-კიევო | 2,2 | 2,6 | 3,3 |
| 095 | ტერნანა-ტრევიზო | 2,3 | 2,5 | 3,2 |
| | 3 აპრილი | | | |
| 096 | პესკარა-ნაპოლი | 2,7 | 2,5 | 2,8 |

იტალია. სერია "ც1/ა". 28-ე ტური

2 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 097 | ლეკო-პიზა | 3,1 | 2,3 | 2,6 |
| 098 | ლივორნო-ბრეშელო | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 099 | ლუმეცანე-კომო | 2,2 | 2,4 | 3,6 |
| 100 | მონტევარკი-ჩიტადელა | 2,3 | 2,4 | 3,4 |
| 101 | რეჯანა-მოდენა | 2,0 | 2,4 | 4,4 |
| 102 | სანდონა-ლუკეზე | 2,8 | 2,4 | 2,7 |
| 103 | სიენა-კრემონეზე | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 104 | სპალ-ალბინოლეფე | 2,3 | 2,3 | 3,6 |
| 105 | ვარეზე-კარარეზე | 1,6 | 2,7 | 7,0 |

იტალია. სერია "ც1/ბ". 28-ე ტური

2 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 106 | არეცო-ფ.ანდრია | 1,4 | 3,3 | 8,0 |
| 107 | არეცო-ფ.ანდრია 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 108 | ატლეტიკო-ვიტერბეზე | 2,9 | 2,3 | 2,9 |
| 109 | აველინო-ანკონა | 3,0 | 2,3 | 2,7 |
| 110 | დი სანგრო-გუალდო | 1,9 | 2,5 | 4,4 |
| 111 | კროტონე-პალერმო | 1,7 | 2,5 | 6,5 |
| 112 | ლოდიჯანი-ბენევენტო | 2,1 | 2,5 | 3,6 |
| 113 | მარსალა-ნოჩერინა | 2,5 | 2,4 | 3,1 |
| 114 | სტაბია-კატანია | 2,2 | 2,4 | 3,6 |
| | 3 აპრილი | | | |
| 115 | ჯულიანოვა-ასკოლი | 3,0 | 2,3 | 2,7 |

ესპანეთი. I დივიზიონი. 31-ე ტური

1 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 116 | სოსიედადი-რეალი | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| | 2 აპრილი | | | |
| 117 | რაიო ვალეკანო-ნუმანსია ($15^{00}$) | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 118 | მალიორკა-ესპანიოლი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 119 | რასინგი-ალავესი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 120 | სელტა-ვალიადოლიდი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 121 | სევილია-დეპორტივო | 3,3 | 3,0 | 2,0 |
| 122 | ოვიედო-მალაგა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 123 | ბარსელონა-ვალენსია | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 124 | სარაგოსა-ბეტისი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 125 | ატლეტიკო-ბილბაო | 1,9 | 2,9 | 3,6 |

ესპანეთი. II დივიზიონი. 33-ე ტური

1-2 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 126 | ესტრემადურა-ტენერიფე | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 127 | ლევანტე-სპორტინგი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 128 | ვილიარეალი-უელვა | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 129 | ელჩე-ტოლედო | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 130 | ეიბარი-მერიდა | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 131 | ხეტაფე-ატლეტიკო | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 132 | ბადახოსი-ლეგანესი | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| 133 | ალბასეტე-ოსასუნა | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 134 | სალამანკა-კომპოსტელა | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 135 | ლეიდა-კორდობა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 136 | ლოგრონიესი-ლას პალმასი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

პორტუგალია. 28-ე ტური

31 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 137 | სეტუბალი-ბოავიშტა | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | 1 აპრილი | | | |
| 138 | ბენფიკა-პორტუ | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 139 | სანტა კლარა-ალვერკა | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 2 აპრილი | | | |
| 140 | ამადორა-რიუ ავე | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 141 | მარიტიმუ-კამპომაიორენსე | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 142 | სალგეირუში-ბრაგა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 143 | სპორტინგი-ბელენენსეში | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 144 | სპორტინგი-ბელენენსეში 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 145 | გიმარაეში-ლეირია | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 146 | გიმარაეში-ლეირია 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 3 აპრილი | | | |
| 147 | ფარენსე-ჟილ ვისენტე | 2,1 | 2,9 | 3,2 |

ჰოლანდია. 28-ე ტური

31 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 148 | დენ ბოსხი-ტილბურგი | 3,6 | 3,3 | 1,8 |
| 149 | ჰერენვენი-ნაიმეგენი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 150 | ჰერენვენი-ნაიმეგენი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 151 | როდა-აიაქსი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | 1 აპრილი | | | |
| 152 | გრააფსხაპი-სიტარდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 153 | მაასტრიხტი-ვიტესი | 3,5 | 3,2 | 1,9 |
| 154 | პსვ-ალკმაარი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 155 | პსვ-ალკმაარი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 2 აპრილი | | | |
| 156 | სპარტა-ტვენტე ($17^{30}$) | 3,3 | 3,0 | 2,0 |
| 157 | უტრეხტი-კამბური ($17^{30}$) | 1,5 | 3,6 | 5,0 |
| 158 | ვალვაიკი-ფეიენოორდი | 3,8 | 3,1 | 1,8 |

ბელგია. 29-ე ტური

1 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 159 | ბეერსხოტი-გენტი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 160 | ლოკერენი-გენკი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| 161 | ლომელი-მუსკრონი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 162 | ლიერსი-ბევერენი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 163 | ლიერსი-ბევერენი 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 164 | ანდერლეხტი-მეხელენი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 165 | ანდერლეხტი-მეხელენი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 166 | აალსტი-ვესტერლო | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 167 | ბრიუგე-შარლერუა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 168 | ბრიუგე-შარლერუა 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | 2 აპრილი | | | |
| 169 | გეელი-ჰარელბეკე ($17^{00}$) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 170 | სენტ ტრუიდენი-სტანდარდი | 3,5 | 3,0 | 1,9 |

საბერძნეთი. 26-ე ტური

1-3 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 171 | პანიონიოსი-კალამატა | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 172 | ირაკლისი-პანილიაკოსი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 173 | პროდეფტიკი-აპოლონი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 174 | ეთნიკოსი-ოლიმპიაკოსი | 6,5 | 3,8 | 1,4 |
| 175 | პანაჰაიკი-კავალა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 176 | პანათინაიკოსი-იონიკოსი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 177 | პანათინაიკოსი-იონიკოსი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 178 | ქსანთი-ტრიკალა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 179 | ქსანთი-ტრიკალა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 180 | პაოკ-არისი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 181 | ოფი-აეკ | 1,9 | 2,9 | 3,6 |

ჩეხეთი. 23-ე ტური

31 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 182 | ბრნო-ბუდეიოვიცე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | 2 აპრილი | | | |
| 183 | ბანიკი-ტეპლიცე ($17^{30}$) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 184 | სიგმა-დუკლა | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 185 | სლავია-დრნოვიცე | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 186 | სლავია-დრნოვიცე 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 187 | ბლშანი-ვიკტორია | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 188 | ლიბერეცი-ოპავა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 189 | ჰკრალოვე-იაბლონეცი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 190 | ბოჰემიანსი-სპარტა | 7,0 | 3,5 | 1,4 |

**პოლონეთი. მე-21 ტური**

1 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 191 | პოგონი-ვისლა (16³⁰) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 192 | პოლონია-ლეხი (17⁰⁰) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 193 | პოლონია-ლეხი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 194 | სტომილი-რუხი (17⁰⁰) | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 195 | პლოცკი-ამიცა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 196 | ოდრა-ლეგია | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 197 | რაძიონკოვი-გურნიკი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 198 | გროცლინი-ლკს | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 199 | ვიძევი-ზაგლებე | 2,0 | 2,9 | 3,4 |

**უკრაინა. მე-18 ტური**

2-3 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 200 | დინამო-ნივა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 201 | დინამო-ნივა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 202 | მარიუპოლი-ცსკა | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 203 | პრიკარპატია-მეტალისტი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 204 | შახტარი-კარპატი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 205 | შახტარი-კარპატი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 206 | ზაპოროჟიე-ჩორნომორეცი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 207 | ვორსკლა-მეტალურგი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 208 | ვორსკლა-მეტალურგი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 209 | კრივბასი-ზირკა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 210 | კრივბასი-ზირკა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 211 | დნიპრო-ტავრია | 1,8 | 3,0 | 4,0 |

**თურქეთი. 27-ე ტური**

31 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 212 | დენიზლი-ტრაბზონი | 2,8 | 2,9 | 2,3 |

1 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 213 | ერზურუმი-გალათასარაი (14⁰⁰) | 7,0 | 3,5 | 1,4 |
| 214 | გიოზთეფე-ბურსა (16³⁰) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 215 | გენჩლერბირლიგი-ადანა (16³⁰) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 216 | ფენერბაჩე-ანთალია | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 217 | ფენერბაჩე-ანთალია 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

2 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 218 | ვანი-გაზიანთეფი (14⁰⁰) | 4,0 | 3,6 | 1,6 |
| 219 | სამსუნი-ალთაი (16³⁰) | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 220 | ქოჯაელი-ისთანბული | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 221 | ბეშიქთაში-ანკარაგიუჯიუ | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 222 | ბეშიქთაში-ანკარაგიუჯიუ 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

**შოტლანდია. 29-ე ტური**

1 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 223 | აბერდინი-რეინჯერსი | 4,4 | 3,4 | 1,6 |
| 224 | დანდი-ჰართსი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 225 | ჰიბერნიანი-დანდი იუნაიტედი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 226 | მოზერუელი-სენტ ჯონსტონი | 1,8 | 3,1 | 3,8 |

2 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 227 | სელტიკი-კილმარნოკი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 228 | სელტიკი-კილმარნოკი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

**ავსტრია. 27-ე ტური**

1 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 229 | ტიროლი-ზალცბურგი (17⁰⁰) | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 230 | ტიროლი-ზალცბურგი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 231 | ლუსტენაუ-ლინცერი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 232 | რაპიდი-გრაცერი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 233 | რაპიდი-გრაცერი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 234 | რიდი-ბრეგენცი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 235 | შტურმი-აუსტრია | 1,7 | 3,0 | 4,7 |

**შვეიცარია. მე-4 ტური**

1 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 236 | ბაზელი-სერვეტი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 237 | ქსამაქსი-გრასჰოპერი | 2,8 | 2,9 | 2,3 |

2 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 238 | ივერდონი-ლოზანა (17³⁰) | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 239 | სენტ გალენი-ლუცერნი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 240 | სენტ გალენი-ლუცერნი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

**დანია. 22-ე ტური**

2 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 241 | ვაილე-ბრიონდბიუ | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 242 | ლიუნგბიუ-ორჰუსი | 1,5 | 3,6 | 5,0 |
| 243 | ესბიერგი-ოლბორგი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 244 | ოდენსე-აკადემისკი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 245 | სილკებორგი-კოპენჰაგენი | 1,9 | 3,0 | 3,5 |

3 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 246 | ჰერფიოლგე-ვიბორგი | 1,7 | 3,2 | 4,2 |

**რუსეთი. მე-2 ტური**

1 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 247 | ლოკომოტივი-კრილია | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 248 | ლოკომოტივი-კრილია 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 249 | ალანია-ფაკელი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 250 | ალანია-ფაკელი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 251 | ურალანი-სპარტაკი | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| 252 | ცსკა-სატურნი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 253 | ცსკა-სატურნი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

2 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 254 | ტორპედო-ნოვგოროდი | 1,4 | 3,8 | 5,6 |
| 255 | ტორპედო-ნოვგოროდი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 256 | ზენიტი-ანჟი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 257 | ზენიტი-ანჟი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 258 | როსტსელმაში-როტორი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

**ინგლისი. თასის 1/2 ფინალი**

2 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 259 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 5,0 | 3,2 | 1,6 |

**საფრანგეთი. ლიგის თასის 1/2 ფინალი**

1 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 260 | პსჟ-ბასტია | 1,5 | 3,3 | 6,0 |

3 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 261 | რედ სტარი-გენიონი | 2,4 | 2,9 | 2,6 |

**კალათბურთი**

31 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 801 | ბოსტონი-ვაშინგტონი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 802 | ორლანდო-ნიუ ჯერსი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 803 | შარლოტი-ტორონტო | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 804 | დეტროიტი-ფინიქსი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 805 | ინდიანა-მინესოტა | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 806 | იუტა-გოლდენ სტეიტი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 807 | ლეიკერსი-ფილადელფია | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 808 | სიეტლი-საკრამენტო | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 809 | ვანკუვერი-ნიუ იორკი | 3,5 | 12,0 | 1,2 |

1 აპრილი

810 კლივლენდი-ბოსტონი
811 ჩიკაგო-შარლოტი
812 ჰიუსტონი-ატლანტა
813 დენვერი-იუტა
814 პორტლენდი-მილუოკი

2 აპრილი

815 ნიუ ჯერსი-დეტროიტი
816 მაიამი-სან ანტონიო
817 ტორონტო-ინდიანა
818 კლივლენდი-ჩიკაგო
819 მინესოტა-ფინიქსი
820 ლეიკერსი-ნიუ იორკი
821 გოლდენ სტეიტი-მილუოკი
822 საკრამენტო-ფილადელფია
823 პორტლენდი-სიეტლი
824 ვანკუვერი-დალასი

**ჰოკეი**

31 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 825 | ბუფალო-კაროლინა | 1,6 | 3,5 | 3,0 |
| 826 | ნიუ ჯერსი-ატლანტა | 1,25 | 4,0 | 4,4 |
| 827 | ფლორიდა-ოტავა | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 828 | ნეშვილი-ვანკუვერი | 2,1 | 4,0 | 1,9 |
| 829 | კალგარი-ფინიქსი | 2,0 | 4,0 | 2,0 |

1 აპრილი

830 ბოსტონი-რეინჯერსი
831 პიტსბურგი-ფილადელფია
832 სენტ ლუისი-დეტროიტი
833 აილენდერსი-ჩიკაგო
834 ლოს ანჯელესი-ანაჰაიმი
835 მონრეალი-ბუფალო
836 ვაშინგტონი-ტორონტო
837 ფლორიდა-ტამპა ბეი
838 კალგარი-სან ხოსე
839 ედმონტონი-ფინიქსი

2 აპრილი

840 კაროლინა-ფილადელფია
841 სენტ ლუისი-ოტავა
842 კოლორადო-დალასი
843 ჩიკაგო-ვანკუვერი
844 ატლანტა-აილენდერსი
845 ტამპა ბეი-ნიუ ჯერსი
846 დეტროიტი-მონრეალი

3 აპრილი

847 ბუფალო-ტორონტო
848 პიტსბურგი-კაროლინა
849 ვაშინგტონი-რეინჯერსი
850 ფლორიდა-ნიუ ჯერსი
851 დალასი-კალგარი
852 ედმონტონი-სან ხოსე
853 ფინიქსი-ლოს ანჯელესი
854 ანაჰაიმი-ნეშვილი

**რაგბი. ექვსი ერის თასი**

1 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 855 | საფრანგეთი-იტალია | 1,05 | 7,0 | 9,0 |
| 856 | ირლანდია-უელსი | 1,35 | 7,0 | 2,7 |

2 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 857 | შოტლანდია-ინგლისი | 5,6 | 7,0 | 1,1 |

**კალათბურთის და ჰოკეის კოეფიციენტებს ადგილზე გაეცნობით**

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;

2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;

3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);

4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;

5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;

6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# სტუ-მ აზოტი ევროპულად დაამარცხა

საქართველოს 9 ჩემპიონატი
4 ტური
მექვსეული

ვერის ბაღი. 30 მარტი

**მაკაბი 68:74 სდასუ**

I ტაიმი 38:36

მაკაბი: დ. ბერიშვილი (12), ტალაბაძე (4), ბ. ნოზაძე (9), ფერიაშვილი (21), შენგელია (17); მჭედლიშვილი, ლასარეიშვილი, სარქისიანი (5), კრიხელი

სდასუ: ნ. ნოზაძე (6), უძილაური (19), ლ. აბულაძე (4), გ. გაცვლიშვილი (4), მაჭარაძე (7); ხოშტარია (27), გ. ჩხეიძე (7)

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, თემურ სადლობელაშვილი

კომისარი: ნოდარ დარახველიძე

საქართველოს 9 ჩემპიონატი
4 ტური
მექვსეული

ვერის ბაღი. 30 მარტი

**ვითა 67:86 ბასკო**

I ტაიმი 28:44

ვითა: უსტიაშვილი (5), ტურაშვილი (17), კოკოლიშვილი (17), ქევხიშვილი (8), ახალკაცი (9); გ. გაგნიძე (3), ჭირაქაძე (2), შანიძე (6)

ბასკო: დავითულიანი (19), ბელიაევი (11), ბეჟანიშვილი (13), ქარაბაკი (6), ვ. კილაძე (17); მაისურაძე (2), კვაჭაძე (8), კეშელავა (4), არხიპოვი (6)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

კომისარი: როლანდ ხომერიკი

საქართველოს 9 ჩემპიონატი
4 ტური
მექვსეული

ვერის ბაღი. 30 მარტი

**აზოტი 65:86 სტუ**

I ტაიმი 39:43

აზოტი: ლ. ჩაჩუა, გოგობერიშვილი (33), წიკლაური (12), ბაბიაშვილი (11), მ. ბერუაშვილი (9); გაბისონია, გოგოლაძე, ჯიმშელეიშვილი

სტუ: თორთლაძე (20), დ. მოისწრაფიშვილი, ტულუში (10), ორმოცაძე (13), კორძაძე (7); ოთიურიძე (8), ლოსაბერიძე (20), მინაშვილი (2), მიქაძე (2), ზ. ჩუბინიძე (4)

მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: მურმან ქურიძე



ვითა — ბასკო 67:86. ბურთი ერთია, მოთამაშე კი ოთხი: ვითელები მამუკა ტურაშვილი (მარცხნივ) და გულივერ ახალკაცი (მარჯვნივ), ბასკოელები ლევან ქარაბაკი (№14) და ანტონ არხიპოვი

გიორგი ბიკაშვილი

არავინ იცის სდასუ-სთან უიმედოდ წაგების შემდეგ სტუ-ს მთავარმა მწვრთნელმა ნუგზარ ჭეიშვილმა თავის შეგირდებს რა უთხრა, ბიჭებს დაუცაცხანა თუ ჭკუა დაარიგა, მაგრამ ფაქტია, რომ ზედიზედ მესამე თამაშია, ტექნიკოსთა გუნდი ქვას ქვაზე არ ტოვებს. ჭეიშვილის სამწყსომ ჯერ იყო და შეიდგზის ჩემპიონი „ვითა“ დაიბრიყვა, მეორე დღეს „მაკაბის“ მისდგა და სულ კუდით ქვა ასროლინა, გუშინ კი თვით რუსთავის „აზოტს“ ადინა ბდღვირი.

თუ წინა ორი მატჩის მოგება არავის გაჰკვირვებია, სტუდენტთაგან ვიცე-ჩემპიონის ძლევა, თანაც 21-ქულიანი სხვაობით, ნამდვილად შეიცხადეს ვერის ბაღში შეკრებილმა ქომაგებმა. ორიოდ დღის წინ „აზოტმა“ გათამაშების ლიდერი ბათუმის „ბასკო“ რომ გადასძალა, ხმელიძის გუნდისა უკლებლივ ყველამ ირწმუნა და ამის მერე სტუ-სთან თუ წაიბორძიკებდა, ცოტა არ იყოს, ძნელი დასაჯერებელი გახლდათ.

წაგებაცაა და წაგებაც. ბოლო დროს „აზოტი“ ასეთი დიდი სხვაობით მხოლოდ ევროსარბიელზე თუ მარცხდებოდა. შინაურ ასპარეზზე კი ნურას უკაცრავად, შიშითა და კრძალვით ეპყრობიან მას მეტოქენი.

რაც არ უნდა ვთქვათ და რუსთაველთა ჩაფლავებული მატჩის მიზეზები როგორც არ უნდა ვარკვიოთ, საბოლოოდ მაინც ერთ დასკვნამდე მივალთ: აშკარად არ იყო „აზოტი“ გუშინ სტუ-ს მომგები გუნდი, სტუდენტებმა რუსთაველები უკლებლივ ყველა სათამაშო კომპონენტში დაჯაბნეს და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს.

„აზოტმა“ ბათუმის „ბასკოს“ მართლაც თავი შეაკლა და მავანმა იქნებ ისიც თქვას, რუსთაველებს მთელი ჯანი ზღვისპირელებთან თამაშმა წაჰგვარაო. იქნებ ასეც იყოს, მაგრამ ეს გასასამართლებელ საბუთად, ვფიქრობთ, არ უნდა ვარგოდეს. ისეთი სოლიდური და შეკრულ-შეთამაშებული გუნდი, როგორიც რუსთავის „აზოტია“, მუდამ მზად უნდა იყოს ასეთი შემთხვევებისთვის. სხვანაირად სანუკვარი ოქრო წლეულსაც განზე დარჩება.

ძნელი სათქმელია, რა მოხდებოდა, გუშინ ვიცე-ჩემპიონს არჩილ ჟღენტი რომ ჰყოლოდა. „ბასკოს“ დამარცხებას „აზოტმა“ დიდ ენერგიასთან ერთად ძირითადი ხუთეულის გამთამაშებელიც შეალია (ჟღენტს დისკვალიფიკაციის გამო არ უთამაშია) და აჩიკოს ადგილი სასტარტოში ლევან ჩაჩუამ დაიკავა. ერთ-ერთი ლიდერის არყოფნა რუსთაველებმა ნაწილობრივ იმით აინაზღაურეს, რომ სტუ-სთან შეხვედრაში ცენტრი, მიხეილ ბერუაშვილი შეიმატეს, თუმც ცხადად ჩანდა, რომ მიშა ჯერაც არ იყო ბოლომდე გამოჯანმრთელებული.

საწყისი წუთები „აზოტს“ ცუდს არაფერს უქადდა. მეტიც, რიხით დაიწყეს რუსთაველმა და ბერუაშვილის აქტიურობის წყალობით 12:5 ჩამოიტოვეს მეტოქე. სტუ მას შემდეგ გამოცოცხლდა, როცა მოედანზე ოთიურიძეს და ლოსაბერიძეს უხმო ჭეიშვილმა. მათ მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს გუნდის დაცვითი თამაში და შუაგული ტაიმისთვის თორთლაძის ზუსტი სამიანის შემდეგ ახლა სტუ დაწინაურდა — 20:18.

ამის მერე სტუდენტებმა საკუთარი ძალის ირწმუნეს და ერთიორად ააჩქარეს შეტევები. ლაშა ლოსაბერიძე კი სულაც შეუჩერებელი შეიქნა, ზედიზედ სამი გარღვევა განავითარა და კიდევ უფრო განუმტკიცა თავისიანებს ლიდერობა.

შეგირდების თამაშით უკმაყოფილო ოთარ ხმელიძემ გადაადგილებები მოახდინა, ჩაჩუა გაბისონიათი შეცვალა, ბერუაშვილი კი — გოგოლაძით, რის შემდეგაც რუსთაველთა უკანახაზი მთლიანად მოიშალა და მოწინააღმდეგის ზედიზედ სამი პირველი შეტევა გაეპარა. ამის ლოგიკური დაბოლოება ის გახლდათ, რომ ტაიმის მიწურულს სტუ 10 ქულით — 39:29 გაექცა „აზოტს“.

რუსთაველთა ლიდერმა რამაზ გოგობერიშვილმა მალევე გაქვითა 6 ქულა, მომდევნო ეპიზოდში ლევან წიკლაურმა ორამდე შეამცირა ჩამორჩენა, იმავე გოგობერიშვილს გათანაბრებაც შეეძლო, თუმც ბურთი უდროო დროს გაუვარდა ხელიდან, რაც თორთლაძემ შეიფერა და საშუალო მანძილიდან ზუსტი ნასროლით პირველი ტაიმის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

მეორე ნახევარი სტუდენტებმა კოშმარად უქციეს მეტოქეს. რუსთაველთაგან პირველივე იერიში გოგობერიშვილმა ზუსტი სამიანით კი დაასრულა, მაგრამ ამის შემდეგ თითქოს, დაითარსაო „აზოტი“, 6 წუთის განმავლობაში ქულაც ვერ გაახერხა. ნავსი საჯარიმო სროლით ბერუაშვილმა გატეხა, თამაშიდან კი სულაც 11 წუთის შემდეგ ჩააგდო „აზოტმა“.

რას აკეთებდა ამ დროს სტუ? ჭეიშვილის გუნდი ლაღად, რაც მთავარია, გააზრებულად მოქმედებდა. მჭიდროდ გადარაზა თავისი კალათისკენ სავალი გზები, შეტევები კი გაცილებით უფრო მწვავე და აგრესიული გახადა. ჩინებულად ართმევდა თავს დაკისრებულ ფუნქციას ტექნიკოსთა გამთამაშებელი დავით თორთლაძე, მიზანმიმართულად უძღვებოდა იერიშებს და პარტნიორებს დროული პასებით ხელსაყრელ პოზიციაში ტოვებდა. ვერაფრით უმკლავდებოდნენ რუსთაველები ლაშა ლოსაბერიძეს, რომელიც სხარტად ირჯებოდა და შეტევას, შეტევაზე აგვირგვინებდა. შედეგად შეხვედრის დამთავრებამდე ათიოდ წუთით ადრე ანგარიშში სხვაობამ 20 ქულას (63:43) მიაღწია სტუდენტების სასარგებლოდ.

ოთარ ხმელიძე რას აღარ ეცადა, მაგრამ ყველაფერი ფუჭი იყო. სხვა გზა რომ აღარ დაჩენოდა, „აზოტი“ მთლიანად რამაზ გოგობერიშვილს დაეყრდნო, მაგრამ ეულად მანაც ველარაფერი გააწყო. რუსთაველებმა ყველაზე მეტი ის მოახერხეს, რომ ერთ ეპიზოდში ცხრა ქულამდე დაიყვანეს სხვაობა, მაგრამ მერე და მერე თვალნათლივ გამოჩნდა, რომ უკვე თავადაც აღარ სჯეროდათ გამარჯვების.

„ვითა“-„ბასკოს“ დაპირისპირებამ საინტერესო ბრძოლის მომლოდინე ქომაგები გვარიანად გააწბილა. ეგ კი არა, ამგვარი უნიათო შეხვედრა ექვსეულის თამაშთაგან ერთიც არ ყოფილა. ამაში ყველაზე ნაკლები ბრალი „ბასკოს“ მიუძღვის, რომელსაც ჩემპიონთან შეხვედრაში არანაირი პრობლემა არ შექმნია და არც იმის ჩიტია, საკუთარი თავისთვის ძალად აეტეხა ხიფათი.

„ვითა“, რეგულარული ჩემპიონატი ბოლოსლა რომ ჩაუმწარა ბათუმურ გუნდს (ბოლო ტურში მოუგო „ვითამ“ „ბასკოს“ და წაუგებელი სვლა შეაწყვეტინა), გუშინ ძალიან ინერტულად გამოიყურებოდა. დუნედ მოქმედებდნენ ჩემპიონები, იფიქრებდით მისჯილი აქვთ თამაშიო. მეტოქის შემხედვარე, ცხადია, „ბასკოც“ თავს არ იტკიებდა. ტემპი, რომელიც „ვითამ“ შესთავაზა, სავსებით მისაღები იყო ზღვისპირელთათვის, მით უფრო, რომ თამაშს თავად კარნახობდნენ მოწინააღმდეგეს და შედეგიც არ აყოვნებდა.

თანაბარმა თამაშმა მხოლოდ 5 წუთს გასტანა, ამის მერე ბათუმელთა უპირატესობა გამოიკვეთა და ტომარაძის გუნდმაც ნელ-ნელა, მეთოდურად განიმტკიცა ლიდერობა.

ვითელებისგან უმეტესად ტურაშვილი და კოკოლიშვილი აგროვებდნენ ქულებს. ცენტრები, ახალკაცი და ქევხიშვილი კი საიმედოდ ამოკეტეს კილაძემ და ქარაბაკმა.

ბათუმელთაგან საგანგებოდ გამოსარჩევნი ვლადიმერ ბეჟანიშვილი და განსაკუთრებით ალეკო დავითულიანი არიან. მამუკა აბრამიძის არყოფნაში (დისკვალიფიცირებულია 2 მატჩით) დავითულიანმა მშვენივრად შეითავსა გამთამაშებლობა და 19 ქულით ამ მატჩის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე შეიქნა.

აქტუალურ კითხვას — მეორედაც თუ შეძლებდა „ვითა“ „ბასკოს“ დამარცხებას — პირველივე ტაიმის ბოლოს გაეცა პასუხი. მეორე ნახევარი კიდევ უფრო მოსაწყენი გამოდგა, ლამაზად ჩაგდებული ბურთი თუღა ახალისებდა გულშემატკივრებს.

გუშინდელ შეხვედრათაგან საინტერესო მხოლოდ „მაკაბი“ — სდასუ-ზე ითქმის. სანახაობრივად დიდი არაფერი თამაში იყო, უბრალოდ, სატურნირო ცხრილში დაბუდებული ინტრიგის გამო ბოლოსკენ მატჩი ძალიან დაიძაბა.

შენგელიასა და ფერიაშვილის კარგი თამაშის ხარჯზე პირველ ტაიმში „მაკაბი“ მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდა და აკი შესვენებაზეც დაიმედებული წავიდა.

მეორე ნახევარში თამაში გათანაბრდა, რის შემდეგაც შეხვედრა ქულა ქულაში გაგრძელდა. დამთავრებამდე ზუსტად წუთით ადრე უძილაურის სამიანით სდასუ 3 ქულით დაწინაურდა. 22 წამით ადრე, 70:66-ზე სდასუ-ს სასარგებლოდ, „მაკაბიმ“ ბურთის გამოტანის წესი დაარღვია და ამ მატჩს, ფაქტობრივად, აქ დაესვა წერტილი.

საქართველოს 9 ჩემპიონატი
4 ტური
მექვსეული

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 26 | 24 | 2 | 2435:1950 | 50 |
| აზოტი | 26 | 20 | 6 | 2344:1984 | 46 |
| სტუ | 26 | 19 | 7 | 2328:1894 | 45 |
| სდასუ | 26 | 17 | 9 | 2131:1974 | 43 |
| ვითა | 26 | 16 | 10 | 2165:2086 | 42 |
| მაკაბი | 26 | 14 | 12 | 2170:1955 | 40 |

საქართველოს 9 ჩემპიონატი
4 ტური
მექვსეული

## საუკეთესო მოთამაშე

### ლაშა ლოსაბერიძე
-სტუ-



*მესამე მატჩია, სტუ მოედანს გამარჯვებული ტოვებს. ამჯერად მისი მსხვერპლი რუსთავის „აზოტი“ გახდა, რომელმაც წინა ტურში თვით ერთპიროვნულ ლიდერ „ბასკოს“ აართვა ორი ქულა. ბოლო დროს აშკარად მოუმატა სტუ-ს ახალგაზრდა მსროლელმა ლაშა ლოსაბერიძემ, რომელსაც ტურის საუკეთესო მოთამაშის პატივი დამსახურებულად ხვდა წილად.*

**— ლაშა, რითი ახსნით სტუ-ს ასეთ აღზევებას, რომელიც უკვე მესამე ტურია, შანსს არ უტოვებს მეტოქეებს, რომლებთანაც რეგულარული ჩემპიონატის დროს დამარცხებულა კიდეც.**

— მართალია, რეგულარული ჩემპიონატი მესამე ადგილზე დავასრულეთ, მაგრამ თუ გადავხედავთ სტუ-ს შემადგენლობას, უკეთესი შედეგის მიღწევაც შეგვეძლო. გუნდის ნახევარზე მეტი ახალწვეულია და ერთმანეთთან შეუთამაშებლობის გამო რამდენიმე დაუგეგმავი დამარცხება განვიცადეთ. რაც დრო გადის, მით უფრო შევეწყვეთ ერთმანეთს და ჩვენი წარმატებებიც ვარჯიშის შედეგია და მეტი არაფერი.

**— სტუ-მ თუ ასე გააგრძელა, შეიძლება პროგნოზები თავდაყირა დააყენოს და ფინალშიც კი მოხვდეს.**

— თქვენ რომელ პროგნოზებს გულისხმობთ?

**— უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ფინალში „ბასკო“ და „აზოტი“ ითამაშებს...**

— მართალია, „აზოტმა“ ერთ-ერთი წამყვანი კალათბურთელი, არჩილ ჟღენტი მოისაკლისა, მაგრამ ჩვენი უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ სტუ-ს ჩემპიონობა არარეალურად ნამდვილად არ მეჩვენება.

**— სტუ-ს ოქროს მედლებისთვის ბრძოლის ძალაც შესწევს? მან ხომ რეგულარულ ჩემპიონატში სერიოზული წინააღმდეგობაც კი ვერ გაუწია „ბასკოს“.**

— ეს იყო რეგულარული ჩემპიონატის დროს. ყველაფერი ჯერ კიდევ წინაა. „ბასკო“ ახლად შექმნილი გუნდია, ჩვენ კი წინა ჩემპიონატების პრიზიორები ვართ. არც სკამით ჩამოუვარდებით ზღვისპირელებს და ვითომ რატომ არ უნდა გვქონდეს პრეტენზია ჩემპიონობაზე?

**— დავუბრუნდეთ „აზოტთან“ მატჩს. რის ხარჯზე შეძლო სტუ-მ ამხელა უპირატესობის მოპოვება?**

— ჩვენი კოზირი სასწრაფე და გრძელი სკამია.

**— „აზოტიც“ რომ აგყოლოდათ ტემპში, მაშინ რას დაუპირისპირებდით მეტოქეს?**

— რადგან მოკლე სკამი აქვს, ვიცე-ჩემპიონი ჩვენთან სწრაფ თამაშში წარმატებას ვერ მიაღწევს.

**— თქვენ ამპლუით მსროლელი ხართ, მაგრამ სამქულიანებს მხოლოდ მეორე ნახევარში მიმართეთ, პირველ ტაიმში კი ფარქვეშ ბრძოლით იყავით დაკავებული. ეს მწვრთნელის დავალება იყო თუ...**

— სამქულიანებს მაშინ ვესვრი, როცა ფარქვეშ პრობლემები მექმნება, ან კიდევ იმ შემთხვევაში, თუ მატჩის ბედი გადაწყვეტილია.

**— თქვენი თამაშით კმაყოფილი დარჩით?**

— ცუდად არ მითამაშია, მაგრამ ჩემი მიზანია, მომავალში კიდევ მოვუმატო.

## კორაჩის თასი. ფინალი. საპასუხო მატჩები. 29 მარტი

**უნიკახა (ესპანეთი) — ლიმოჟი (საფრანგეთი) 60:51 (პირველი მატჩი 58:80)**

უნიკახა: ჟომინი (10), რომერო (3), მრშიჩი (7), ორენგა (8), სალიერი (9), მარკაჩინი (5), ფერნანდესი (10), ლასარო, კონსეისაო (4), პეტრუშკა (4)

ლიმოჟი: დიუმა (2), ბრაუნი (18), ჰემი (4), სტაჟიჩი, ბონატო (12), მეტელი, რუპერტი, ვილიამსი (11), ფრიგუ, ვეისი (4)



სტეფან სტაჟიჩი გამარჯვებულის რიტუალს ასრულებს



ლიმოჟელთა კაპიტანი იან ბონატო კორაჩის თასით

# დიდი გუნდები უკვდავები არიან

სწორედ ეს სიტყვები თქვა „ლიმოჟის“ კაპიტანმა იან ბონატომ მალაგაში გამართული მატჩის შემდეგ. კორაჩის თასის ფინალის საპასუხო შეხვედრა „უნიკახამ“ კი მოიგო, მაგრამ საბოლოოდ თასს მაინც ფრანგული კლუბი დაეუფლა.

ეს „ლიმოჟის“ მესამე წარმატებაა ამ ტურნირში (1982 და 1983 წლების შემდეგ). ამ გუნდს 1988 წელს თასების თასიც მოუგია, 1993-ში კი ევროლიგა და ამჟამად მთელი ფრანგული სპორტის ისტორიაში უტიტულოვანესი კლუბია.

ამის გამო „ლიმოჟი“ განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივით სარგებლობს მთელს ქვეყანაში, როგორც კალათბურთის გულშემატკივრებს, ისე მის ჩინოსნებს შორის. სწორედ ამან გადაარჩინა წლეულს ფინანსურ კრიზისში ჩავარდნილი „ლიმოჟი“. მას 15 მილიონი ფრანკის დეფიციტი ჰქონდა ბიუჯეტში, მაგრამ საფრანგეთის კალათბურთის ფედერაციამ მაინც არ დააქვეითა ერთი ლიგით მაშინ, როცა „სენ კანტენი“ პრო A-დან პრო B-ში ნახევარმილიონიანი პასივისთვის გააგდეს. ასეთ პრივილეგიურ მდგომარეობაში ჩაყენებამ სხვა გუნდების ხელმძღვანელობის უკმაყოფილება კი გამოიწვია, მაგრამ...

გასაჭირისა და პრობლემების მიუხედავად, „ლიმოჟი“ მაინც განაგრძობდა სეზონს და თან როგორ! თითქოს 80-იანი წლების დიდი გუნდიაო, თამაშს თამაშზე იგებდა და კორაჩის თასის ფინალსაც ხომ უწია. საშინაო სარბიელზე კი „ვილერბანის“ შემდეგ სატურნირო ცხრილში მეორე ადგილი უკავია და დიდი ხანია, პლეი ოფში მონაწილეობა გაინაღდა.

ყველაფერი ეს კი მთელი გუნდის და მთელი ქალაქის უდიდესი ძალისხმევის (სპორტული და ფინანსური) ხარჯზე გახდა შესაძლებელი. კალათბურთელებს ხელფასები შეუმცირდათ და რამდენიმე თვის დაგვიანებითაც ურიგდებოდათ. გულშემატკივრები, ვისაც რამდენი შეეძლო, კლუბის ანგარიშზე რიცხავდნენ ფულს. ერთი სიტყვით, „ლიმოჟი“ გადარჩა და... „ეს ჩემი საუკეთესო წელია, როგორც სპორტული, ისე ადამიანური ურთიერთობების თვალსაზრისით. ჩვენ თითქმის შეუძლებელი გავაკეთეთ“ — განაცხადა ბონატომ. მას კორაჩის თასი ეპყრა ხელთ. თასი, რომელიც ნამდვილად მთელმა ლიმოჟმა დაიმსახურა.

ისე, ტურნირის გამარჯვებულის ბედი, ფაქტობრივად, ფინალის პირველივე მატჩში გადაწყდა, რომელიც ფრანგებმა 22 ქულის სხვაობით (80:58) მოიგეს. თუმცა ესპანელები უბრძოლველად დანებებას არ აპირებდნენ, მით უმეტეს, რომ 5 ათასი ქომაგის ღრიანცელიც ზურგს უმაგრებდათ.

და დაიწყო „უნიკახას“ შეტევები და წინსვლა. ანდალუზიელებს თავიდან ყველაფერი გამოსდიოდათ, მათი მოწინაალმდეგე კი ერთგვარად შებოჭილად თამაშობდა. ორენგასა და მრშიჩის მშვენიერი თამაშის (რაც, მათდა საუბედუროდ, მატჩის ბოლომდე არ გაჰყვათ) წყალობით მასპინძლები მე-4 წუთისთვის 12:5 იგებდნენ. „ლიმოჟის“ ყოფილმა მწვრთნელმა, ვისი ხელმძღვანელობითაც გუნდმა ევროლიგაში გაიმარჯვა, ახლა კი მალაგელთა დამრიგებელმა ბოჟიდარ მალკოვიჩმა, მეტოქეს სიურპრიზი შესთავაზა — სასტარტო ხუთეულში ხავი ფერნანდესის ნაცვლად რომერო დააყენა და მას ფრანგთა ამერიკელი ლეგიონერის, ბრაუნის მჭიდრო მეურვეობა დაავალა. სიახლემ თავიდან გაამართლა კიდეც, სტუმრები შეტევაში საკმაოდ სუსტად ირჯებოდნენ და მე-7 წუთზე უკვე 13 ქულას აგებდნენ (18:5).

„ლიმოჟს“ ამის მერეც ძალიან გაუჭირდა საკუთარი თამაშის პოვნა, მაგრამ რის ვაი-ვაგლახით მეტოქისთვის უფრო წინ წასვლის საშუალება აღარ მიუცია. სტუმართა რიგებში ბონატო და ვილიამსი გააქტიურდნენ და რამდენიმე შეტევა წარმატებით დააგვირგვინეს. დაცვაში კი თავიდან ვეისი ირჯებოდა კარგად, რამდენიმე ფარიდან ასხლეტილ ბურთსაც დაეუფლა, მაგრამ მერე პეტრუშკასთან ორთაბრძოლისას მესამე პერსონალური ჯარიმა მიიღო და ძალიან დიდი სიფრთხილით ათამაშდა. მე-13 წუთისთვის ანგარიში 28:16 იყო. ამ დროს კი ბრაუნიც გამოერკვა და მისი ძალისხმევით სამიოდ წუთში სხვაობა 8 ქულამდე შემცირდა (29:21).

შემდეგ მალაგელებს ჯარიმები მოუმრავლდათ, მაგრამ მათი მეტოქე ერთობ უხეიროდ ისროდა საჯარიმოებს (მთელ მატჩში 21-დან მხოლოდ 12 ჩააგდო). ამიტომც „უნიკახამ“ შესვენების წინ ისევ შეძლო უპირატესობის გაზრდა და გასახდელშიც იმედიანად შევიდა (43:29).

მეორე ტაიმში მოედანზე ვითარება მკვეთრად შეიცვალა. „ლიმოჟის“ დაცვა თითქმის უშეცდომოდ ათამაშდა, შეტევაც მეტ-ნაკლებად დალაგდა და ესპანელთა უპირატესობა თვალსა და ხელს შუა დადნა. ანდალუზიელთა სამ მოთამაშეს — მრშიჩს, სალიერსა და ჟომინს სამ-სამი პერსონალური შენიშვნა ჰქონდა და დაჯარიმების შიშით დაცვაში დიდად ველარ აქტიურობდნენ. შეტევაშიც ხომ ცუდად ჰქონდათ საქმე მასპინძლებს და სამქულიანებს მიეძალნენ, თუმცა 22 ცდიდან მხოლოდ 8 ჩააგდეს. მეორე საწყის 15 (თხუთმეტ) წუთში ესპანელებმა ოდენ 6 (ექვსი!) ქულის ალება მოახერხეს. ანგარიში კი ამ დროისთვის 49:45 იყო მათ სასარგებლოდ.

ბოლო წუთებში სტუმრებმა თამაში დააწყნარეს, შეტევისთვის განკუთვნილ 30 წამს ბოლომდე იყენებდნენ და სასურველი ანგარიშითაც დამარცხდნენ, მაგრამ, აბა, წაგება ვის დაამწუხრებდა, როცა თასი მათი გახდა.

მშობლიურ ქალაქში საყვარელ გუნდს მშვენიერი შეხვედრა მოუწყვეს ქომაგებმა და მთელი გუშინდელი დღეც ზარზეიმით გაატარებინეს. ალალიც იყო.

**გაიოზ თალაკვაძე**

### ლიმოჟის ყველა ევროთასი

| | |
|---|---|
| 1982 | კორაჩის თასი |
| 1983 | კორაჩის თასი |
| 1988 | თასების თასი (დღევანდელი საპორტას თასი) |
| 1993 | ჩემპიონთა თასი (დღევანდელი ევროლიგა) |
| 2000 | კორაჩის თასი |

## ევროლიგა

მეოთხედფინალი. გადამწყვეტი მატჩები. 30 მარტი

| | |
|---|---|
| **ბარსელონა** | 2 |
| ოლიმპია | 1 |

ბარსელონა 71:66 ოლიმპია

| | |
|---|---|
| **ეფესი** | 2 |
| ვილერბანი | 1 |

ეფესი 68:66 ვილერბანი

| | |
|---|---|
| **მაკაბი** | 2 |
| ფორტიტუდო | 1 |

მაკაბი 79:64 ფორტიტუდო

*დახრილი შრიფტით გამოყოფილი გუნდები გავიდნენ „ოთხთა ფინალში“, რომელიც გაიმართება 18-20 აპრილს საბერძნეთის ქალაქ სალონიკში. ათენის „პანათინაიკოსმა“ ეს უფლება მანამდე გაინაღდა.*

## საბერძნეთი

5-12 ადგილებზე გასული გუნდების პლეი ოფი

| | |
|---|---|
| ირაკლისი | 1 |
| მარუსი | 0 |

ირაკლისი 85:75 მარუსი

| | |
|---|---|
| არისი | 1 |
| ნიარ ისტი | 0 |

არისი 88:57 ნიარ ისტი

| | |
|---|---|
| პანიონიოსი | 1 |
| ირაკლიონი | 0 |

პანიონიოსი 78:74 ირაკლიონი

| | |
|---|---|
| პერისტერი | 1 |
| დაფნი | 0 |

პერისტერი 70:61 დაფნი

*საპასუხო მატჩები გაიმართება 4-5 აპრილს*

## რეგულარული ჩემპიონატი

# სტაბილურობის განსახიერება

29 მარტი

**სიეტლი 95:110 ნიუ იორკი**

სიეტლი: პეიტონი (21 ქულა, 10 პასი), ბერი (11), პატერსონი (7), ბეიკერი (15), გრანტი (8); ლუისი (18), მაქსველი (7), ვილიამსი (4), მაკკოი (2), ბორელი (2), ფოსტერი, სტეფანია

ნიუ იორკი: ვორდი (13), ჰიუსტონი (19), სპრიუელი (18), ჯონსონი (8), იუინგი (17); კემბი (18 ქულა, 19 მოხსნა), ტომასი (10), ჩაილდსი (7), დადლი, ბრანსონი

„სიეტლ სუპერსონიქსმა“ ოფიციალურად არა, მაგრამ ფაქტობრივად შეასრულა ამ სეზონში თავისი პროგრამა-მინიმუმი, პლეი ოფი დაიბევა და ახლა მაინცდამაინც თავს არ იკლავს. თუმცა სტეფანიას გუნდს მერვე ადგილი, რომელიც ამჟამად უკავია, ხეირს არ მოუტანს, რადგან პლეი ოფის პირველ წრეში პირდაპირ „ლეიკერსის“ კლანჭებში ვარდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „სონიქსი“ პირველი წრიდან გავარდება. ისე, როგორც ჩანს, „ლეიკერსთან“ დაჯახების პერსპექტივა ნაკლებად აფორიაქებთ სიეტლში და მის თავიდან ასაცილებლად ბევრ ოფლს არ ღვრიან. აი, „ნიუ იორკთანაც“ წააგეს, ზედიზედ მეხუთედ. აღსანიშნავია, რომ ხუთივე თამაში სიეტლში ჩატარდა და მართალია, სტეფანიას გუნდს საკმაოდ კარგი მეტოქეები ჰყავდა, მაინც არ ამართლებს მის უგერგილო თამაშს. აი, „ნიუ იორკს“ კი ჯერაც შერჩენია მოტივაცია და თამაშის ხალისი, უნდა აჯობოს მოსისხლე „მაიამის“ და ატლანტიკის დივიზიონის ცხრილის პირველ საფეხურზე დაასრულოს რეგულარული ჩემპიონატი, რაც მას ავტომატურად მოუტანს მეორე ნომრად განთესვას. ასე რომ, ნიუიორკელებს ჯერ ხელი არ ჩაუქნევიათ და მათთვის სეზონი კვლავ გრძელდება.

ამ შეხვედრაშიც მეტი ჯიგრით ითამაშა „ნიუ იორკმა“ და იოლად მოიპოვა ათქულიანი უპირატესობა, რაც ფარქვეშ გაბატონებამ მოიტანა. სტუმრებმა დაიპყრეს ფარი და მასპინძლები გარეთ გამოაძევეს. ეს მოხსნებშიც შესაბამისად აისახა. „ნიუ იორკს“ ლამის ორჯერ მეტი მოხსნა დაუგროვდა — 57 30-ის წინააღმდეგ, რაც საკმარისია იმისთვის, „სონიქსი“ თამაშში განწირულად ჩათვალო. სტუმართა ამ მძლავრობაში ლომის წილი ახალგაზრდა მარკუს კემბის ეკუთვნის, რომელმაც 18 ქულასთან ერთად 19 მოხსნაც გააჩერხა და პირადი რეკორდიც დაამყარა. კემბის კარგად წაეშველნენ გამოცდილი თანაგუნდელები — იუინგი, ჰიუსტონი და სპრიუელი. მეორე ტაიმში, როცა გადასაწყვეტი თითქმის აღარაფერი იყო, მათაც მოადუნეს მოლილი კუნთები. ერთი სპრიუელი არ ცხრებოდა, რასაც თავისი მიზეზი ჰქონდა. მისთვის თამაში მაშინ დამთავრდა, როცა თავისი ბოლო ორქულიანი ჩაუშვა კალათში და კარიერაში დაგროვილ ქულებში ათი ათასიან ზღვარს გადააბიჯა. ამის შემდეგ აღარც სპრიუელს მოუკლავს თავი, თუმცა მატჩის დამთავრებამდე ხუთიოდე წუთი კიდევ რჩებოდა.

**ვანკუვერი 99:108 ლეიკერსი**

ვანკუვერი: დიკერსონი (32), აბდურ-რაჰიმი (30 ქულა, 13 მოხსნა)

ლეიკერსი: ბრაიანტი (28), ონილი (19)

**იუტა 98:84 ფილადელფია**

იუტა: მელოუნი (30), სტოქტონი (20)

ფილადელფია: აივერსონი (18), კუკოჩი (18)

**ჩიკაგო 81:86 კლივლენდი**

ჩიკაგო: ბრენდი (27), ჰოკინსი (20), ენსტი (18 ქულა, 11 მოხსნა)

კლივლენდი: სურა (20)

**დეტროიტი 91:98 შარლოტი**

დეტროიტი: ჰილი (26), სტეკჰაუზი (19)

შარლოტი: მეისონი (22 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი), კემბელი (16 ქულა, 13 მოხსნა)

**ვაშინგტონი 93:101 დენვერი**

ვაშინგტონი: რიჩმონდი (22), ჰოვარდი (17)

დენვერი: ვან ექსელი (26), პოუზი (25), მაკდაიესი (24 ქულა, 12 მოხსნა)

ლიგის უძლიერეს ბომბარდირ ალენ აივერსონს „იუტასთან“ სროლები არ წაუვიდა, 21-დან მხოლოდ შვიდი ჩააგდო და მისთვის მოკრძალებულ 18 ქულას დასჯერდა. ამის შედეგად სოლტ ლეიკ სიტიში დასრულდა „ფილადელფიას“ შვიდმატჩიანი წაუგებელი სერია. თუმც ამ მარცხს მხოლოდ აივერსონის ცუდ თამაშს ვერ დავაბრალებთ, „იუტაში“ ხომ კვლავაც ძველებურად ირჯება უბერებელი სტოქტონ-მელოუნის წყვილი. ამ ორმა ბებერმა სუპერვარსკვლავმა იმ დღესაც გააკეთა თავისი საქმე. მელოუნი ხომ სულაც სტაბილურობის განსახიერებაა. ჯერ ნაადრევია ამაზე საუბარი, მაგრამ მაინც ვთქვათ, რომ იგი წლეულსაც უპრობლემოდ მიაღწევს 2000 ქულას, ისევე როგორც წინა თერთმეტ სეზონში. ზედიზედ 12 სეზონში 2000 ქულის დაგროვება კი ნბა-ს ისტორიაში ჯერ ვერავის მოუხერხებია. მელოუნს ამისთვის კიდევ 185 ქულა სჭირდება, რაც ბევრი-ბევრი 8-9 თამაშის საქმეა. ამ გამარჯვებით კი მისმა „იუტამ“ კიდევ უფრო გაიმყარა პირველი ადგილი შუა დასავლეთის დივიზიონში.

იმ დღეს ვერ ივარგა ალენ აივერსონის მოცილემ ბომბარდირთა დავაში, შაკილ ონილმა. უფრო ზუსტად, ონილს „ვანკუვერთან“ არაფრის მომცემ, ერთ რიგით თამაშში თავი არ მოუკლავს, 18 ქულას დასჯერდა. მისმა გუნდმა კი ისედაც მოუგო დასავლეთის ერთ-ერთ აუტსაიდერ „ვანკუვერს“. თავის გამარჯვებათა ნუსხას „ლეიკერსმა“ ერთიც წაუმატა და უკვე 60 მოუგროვდა.

შინ დამარცხდა მაიკლ ჯორდანის „ვაშინგტონ ვიზარდსი“. დედაქალაქელებს „დენვერმა“ მოუგო, და რამდენიმე დღის წინ შინ დამარცხების რევანშიც აიღო. „ვაშინგტონმა“ დიდი ხანი არაა, რაც თავისი ძალა ირწმუნა და ახლა ყველა მატჩს მონდომებით ატარებს. ახლაც „ჯადოქრები“ შემართებით შეებნენ მეტოქეს და თავდაპირველად მცირე უპირატესობაც მოიპოვეს, მაგრამ მეორე ნახევარში „დენვერის“ გამთამაშებელმა, მანამდე უქმად მყოფმა ნიკ ვან ექსელმა გამოიდო თავი, თავისიანებს ერთი მონაკვეთი 16:0 მოაგებინა და 13-ქულიანი უპირატესობა მისცა. ვან ექსელის დაწყებული საქმე ახალბედა ჯეიმს პოუზიმ გააგრძელა და კარიერაში სარეკორდო, 25 ქულასაც გამოჰკრა ხელი.

**ირაკლი ფირაშვილი**

# ნიცაში ქალების ცვენაა

## ერთი ქალდაცემული საავადმყოფოში გააქანეს

8000 პაცის გამამხნევებელი ყიჟინის ფონზე ისრიალეს გუშინწინ, ნიცის ფიგურულად მოსრიალეთა მსოფლიოს პირველობაზე ფრანგებმა, სტეფან ბერნადისმა და სარა აბიტოლმა. გმირი უფრო ბერნადისი იყო, რომელსაც ელეგანტური შავი პიჯაკი ეცვა და გრძელი სახელო კარგად უფარავდა წინადღით, ჯერაც დაუდგენელი პირისგან სამართებლით მიყენებულ 25-სანტიმეტრიან ჭრილობას, რამდენიმე ნაკერით რომ შეეკერათ ქირურგებს. მღელვარება კი უფრო მეტად მანდილოსანს ეტყობოდა. იგი გრძელი პროგრამის დასრულებისთანავე პარტნიორს მხურვალედ მოეხვია და შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, ცეკვისას სულ ფეხები მიკანკალებდაო. დაუფასდათ ფრანგებს ნერვიულობა. მათმა კანადელმა კონკურენტებმა, ჯემი სეილმა და დავიდ პელეტიემ, რომლებმაც მოკლე პროგრამაში მესამე ადგილი დაიკავეს, ამჯერად შეცდომები დაუშვეს და მეოთხე ადგილს დასჯერდნენ, ბრინჯაო კი მასპინძლებს დარჩათ. ამანაც განაპირობა გულშემატკივრების ოვაცია. მოსრიალენი დარბაზიდან ისეთი ტაშის გრიალით გააცილეს, ბევრად უფრო პატივცემული ადამიანიც რომ ძვირად ეღირსება.

ეს, რაც გუშინ კარგი იყო, ახლა ცუდიც ვთქვათ. უკრაინელ მოციგურავე დმიტრი პარამარჩუკს თავზე დიდი სიმძიმე დაემხო, დაშავდა და ჩემპიონატზე ველარ გამოვა. უკრაინელმა და მისმა პარტნიორმა, იულია ობერტასმა, თავიანთი გამოსვლისას ერთი ეფექტური ილეთის შესრულება განიზრახეს, კაცმა ქალი ჰაერში აიტაცა და სწორედ მაშინ მოუცურდა ციგურა. რადგან დაცემულს ზემოდან ქალი დაეცა, ველარ წამოდგა. იტყობინებიან, რომ დამატებითი გამოკვლევების დასრულებამდე პარამარჩუკი საავადმყოფოდან ვერ გამოვა. დაახლოებით მსგავსი ამბავი 4 წლის წინ კანადელებს — კრისტი სარჟონსა და კრის ვირცსაც შემთხვევიათ და მაშინაც კაცი გამხდარა სამკურნალო. ადრინდელიდან გამოყოლილი კომპლექსი იყო თუ რა, გუშინწინ სრიალისას ვერცხლის [illegible] რედ ასეთ სიტუაციაში [illegible] ოდნავ ციგურა, შეჩერდა და პარტნიორი დაბლა ჩამოსვა. ამან წყვილი მუსიკის რიტმიდან ამოაგდო და კი ითხოვეს კანადელებმა, თავიდან დავიწყებთ სრიალსო, მაგრამ უარი მიიღეს. მოციგურავეებმა შეწყვეტილი ადგილიდან განაგრძეს და როცა დაამთავრეს, ვირცმა აცრემლებულმა დატოვა დარბაზი, სარჟონი კი უფრო გულმაგრად გამოიყურებოდა და ჟურნალისტებიც გაიკარა. „ძალიან ცუდი ამბავი მოხდა" — თქვა კანადელმა — „თუმცა ჩემი ქმარი (ისინი ცხოვრებაშიც პარტნიორები არიან) სწორად მოიქცა, როცა შეჩერდა. ახლა ორივენი ფეხზე მაინც ვდგავართ". კანადელები საბოლოოდ მეათენი იყვნენ და ბევრს გაასწრეს, მაგალითად, საქართველოს სახელით მოსრიალე დუეტს, ევგენია ფილონენკოს და ალექსანდრ ჩესტნიხს, რომელიც მე-16 ადგილზე გავიდა.

გრძელი პროგრამა რუსებმა მოიგეს. მოკლეში მეორეზე დარჩენილმა მარია პეტროვამ და ალექსეი ტიხონოვმა ამჯერად ვივალდის „ოთხი დროის" თანხლებით მეტად ეფექტურად ისრიალეს და წინადღის გამარჯვებული ჩინური დუეტის (ჰუ შენი და ჰონგბო ჟაო) დაჩაგვრა მოახერხეს. ნიცის ჩემპიონატის მომდევნო ეტაპი ქალთა ერთეულებს დაეთმობათ.

**დავით გულუა**



REUTERS ნიცადან

ფრანგთა, სარა აბიტოლისა და სტეფან ბერნადისის ბრინჯაო სისხლისფერია



იულია ობერტასმა მეწყვილე დმიტრი პარამარჩუკი ყინულზე დასცა



NHL

30 მარტი

**ფლორიდა — დალასი 1:4**

0:1 0:2 1:1

0:1 ნუინდაიკი 2'42 (14); 0:2 კარბონო 32'24 (10); 0:3 ტორნტონი 33'23 (6); 0:4 ტორნტონი 44'32 (7); 1:2 პ. ბურე 48'46 (55)

მიუხედავად იმისა, რომ დალასს მაიკ მოდანო აკლდა და წამყვანი მცველი სერგეი ზუბოვი პირველივე პერიოდში დაუშავდა, სკოტ ტორნტონისა და ბრეტ ჰალის (3 პასი) ძალისხმევით მაინც იოლი გამარჯვება მოიპოვა და ზედიზედ მეოთხედ, დივიზიონში პირველობა გაინაღდა. ჩემპიონატის ერთპიროვნულმა სნაიპერმა პაველ ბურემ, უქმეებზე ორი გოლი გაიტანა და ვალერი ბურესთან ერთად ლიგის ერთი უძველესი რეკორდი დაამხო, რომელიც ძმებ ბობი და დენის ჰალებს ეკუთვნოდათ (88 შაიბა). დღესდღეობით ბურეების მარაგში 90 შაიბაა (შესაბამისად 55 და 35).

# ძმა ძმისთვისაო, რეკორდისთვისაო

## ჰალების რეკორდი ბურეებმა დაისაკუთრეს

**ატლანტა — ფინიქსი 2:3**

1:2 1:0 0:1

0:1 დებრუსკი 2'23 (4); 0:2 გრინი 7'47 (23); 1:2 ფერარო 18'40 (18); 2:2 დომენიჩელი 29'16 (10); 2:3 დრეიკი 52'39 (13)

ფინიქსმა ძლივს შეწყვიტა 7-მატჩიანი წაგებების სერია.

**კაროლინა — ნეშვილი 3:1**

2:0 0:0 1:1

1:0 მალიკი 2'57 (4); 2:0 ფრენსისი 10'50 (23); 3:0 კოვალენკო 54'28 (15); 3:1 რონინგი 57'41 (25)

**დეტროიტი — ვანკუვერი 6:3**

0:1 2:0 4:2

0:1 ნესლუნდი 1'11 (27); 1:1 ფიოდოროვი 22'59 (26); 2:1 ლ. მერფი 27'55 (9); 2:2 შეფერი 42'55 (16); 2:3 მორისონი 44'13 (7); 3:3 გილი 48'09 (3); 4:3 დრეიპერი 50'37 (5); 5:3 რესტი 55'21 (6); 6:3 დიუშენი 58'58 (9)

დეტროიტმა დიდი ნებისყოფა გამოავლინა. მეორე პერიოდში ტრავმების გამო სამმა „წითელფრთიანმა", მათ შორის სტივ აიზერმანმაც დატოვა ყინული, მაგრამ მასპინძლებმა მაინც იმარჯვეს. სერგეი ფიოდოროვმა ლიგაში მე-300 შაიბა შეაგდო.

**მონრეალი — ბოსტონი 4:3**

0:2 2:0 2:1

0:1 ნაბლი 10'06 (12); 0:2 ნიკულასი 13'26 (3); 1:2 ბრიუნე 28'05 (14); 2:2 სურეი 36'51 (2); 3:2 ბელიონი 45'43 (3); 3:3 მაკლარენი 47'51 (8); 4:3 ჟოლტოკი 59'45 (25)

**სენტ ლუისი — ტორონტო 2:3**

1:1 1:1 0:1

0:1 კროსი 1'25 (4); 1:1 კონროი 5'56 (12); 1:2 ჰოგლუნდი 22'28 (28); 2:2 ჰელტი 24'58 (10); 2:3 ტომასი 45'57 (22)

სენტ ლუისის პირველი წაგება კანადურ გუნდებთან (მანამდე +13=3-0) ორმა შემთხვევითმა გოლმა განაპირობა. სტუმრებს მასპინძელთა ყველაზე საიმედო მცველმა კრის პრონგერმაც შეუწყო ხელი, რომელმაც ზონიდან გადაგდებული შაიბა პირდაპირ სტივ ტომასს მიაწოდა.

**კოლორადო — ედმონტონი 3:2**

1:0 2:0 0:2

1:0 ბურკი 19'58 (17); 2:0 მესიე 26'33 (3); 3:0 ტანგეი 36'58 (15); 3:1 სელივანოვი 47'21 (24); 3:2 უეიტი 50'23 (19)

კოლორადოს თავის უშუალო მეტოქესთან, შეუდარებელი ჯო საკიკის ორმა ზუსტმა პასმა მოაგებინა. მარტის უეჭველად საუკეთესო მოთამაშეს კი, ბოლო 14 მატჩში 27 (16+1) ქულა მოუგროვდა.

**ლოს ანჯელესი — სან ხოსე 1:1**

1:0 0:1 0:0 0:0

1:0 ბუკბერგერი 19'18 (6); 1:1 სუნდსტრომი 28'17 (11)

**სამველ ღარიბიანი**



REUTERS

კოლორადო — ედმონტონი. ედმონტონს მესამედ ალექს ტანგეიმ გაუტანა

### სატურნირო ვითარება

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| *ნიუ ჯერსი* | 77 | 42 | 8 | 5 | 27 | 237:191 | 97 |
| *ვაშინგტონი* | 76 | 42 | 11 | 1 | 23 | 212:178 | 96 |
| *ტორონტო* | 76 | 42 | 7 | 3 | 27 | 232:205 | 94 |
| *ფილადელფია* | 76 | 40 | 12 | 3 | 24 | 219:171 | 95 |
| *ფლორიდა* | 76 | 40 | 5 | 5 | 31 | 224:195 | 90 |
| *ოტავა* | 75 | 38 | 11 | 2 | 26 | 226:192 | 89 |
| პიტსბურგი | 76 | 33 | 8 | 6 | 35 | 225:222 | 80 |
| მონრეალი | 77 | 33 | 9 | 3 | 35 | 182:182 | 78 |
| კაროლინა | 77 | 33 | 10 | 0 | 34 | 205:208 | 76 |
| ბუფალო | 76 | 32 | 10 | 3 | 34 | 200:196 | 77 |
| რეინჯერსი | 78 | 29 | 11 | 3 | 38 | 214:233 | 72 |
| ბოსტონი | 76 | 23 | 18 | 6 | 35 | 196:228 | 70 |
| აილენდერსი | 77 | 22 | 8 | 1 | 47 | 182:263 | 53 |
| ტამპა | 75 | 17 | 8 | 7 | 50 | 184:282 | 49 |
| ატლანტა | 76 | 13 | 7 | 4 | 56 | 157:289 | 37 |

**დასავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| *სენტ ლუისი* | 76 | 48 | 10 | 0 | 18 | 231:150106 | |
| *დალასი* | 77 | 43 | 8 | 5 | 26 | 201:169 | 99 |
| კოლორადო | 78 | 38 | 11 | 1 | 29 | 221:194 | 88 |
| *დეტროიტი* | 78 | 47 | 9 | 2 | 22 | 268:198105 | |
| ლოს ანჯელესი | 77 | 36 | 11 | 4 | 30 | 234:219 | 87 |
| ფინიქსი | 76 | 36 | 7 | 3 | 33 | 218:215 | 82 |
| ედმონტონი | 77 | 29 | 16 | 8 | 32 | 209:198 | 82 |
| სან ხოსე | 77 | 32 | 10 | 7 | 35 | 214:203 | 81 |
| ანაჰაიმი | 77 | 32 | 12 | 2 | 33 | 203:214 | 78 |
| ვანკუვერი | 77 | 28 | 14 | 8 | 35 | 213:225 | 78 |
| კალგარი | 76 | 30 | 9 | 5 | 37 | 196:236 | 74 |
| ჩიკაგო | 76 | 29 | 9 | 2 | 38 | 222:234 | 69 |
| ნეშვილი | 78 | 27 | 7 | 7 | 44 | 193:228 | 68 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში ნაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.*

*დახრილი შრიფტით აღნიშნულია პლეი ოფში გასული გუნდები*


## იყიდება

ოროთახიანი ბინა დიღმის მასივში, გაზით, ტელეფონით, 30 კვ. მეტრი მიშენებით. 1 სართული, საგარაჟე ადგილით. სარდაფით. მისამართი: დიღმის მასივი, მე-4 კვარტალი მე-19 კორპუსი.
დაგვიკავშირდით: 8 99 51-15-19; 95-88-61; 52-68-90



# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli